# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 23 დეკემბერი, 2008 წელი.

№ 239 (6096)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




④ **გვაამებდი საჯდით — „ვარმისია 08. 08.08-მდე“**

**ზურაბ აბაშიძე:**



**სწორად ვერ შევაფასეთ რუსეთის ფაქტორი და მისგან მომდინარე საფრთხე** ②

⑥ **ვის ხარჯზე მდიდრდებიან ჩინოვნიკები?**

**საჯარო რეესტრის მძღოლის ხელფასი აკადემიკოსისას აღემატება!**

## მიშა მაგარია, თანაც ძალიან! ③



⑦



საქართველოს სულიერი სიმტკიცის გაძლიერებისთვის...

**მაღალ-ხელფასიანი კაცი, ანუ მოუცლელი აქიშბაია** ⑧



**აფხაზეთიდან დევნილს მოთმინების ფიალა აევსო...**

## ალასანიას ჩამოსვლა, შესაძლოა ბენდუქიძის დაპატიმრებით გადაფარონ ③-⑥



## რატომ ვერ ასრულებს ქართველი გლეხი თავის ისტორიულ ფუნქციას? ⑪



## საქართველო არმიის აღდგენას ვერ ახერხებს ⑩

Herald Tribune

◉ თვალსაზრისი

# ზურაბ აბაშიძე: საქართველომ სწორად ვერ შეაფასა რუსეთის ფაქტორი და მისგან მომდინარე საფრთხე

**აგვისტოში რუსული ინტერვენციის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნაზე თავისი შთაბეჭდილებები „ინტერპრესნიუსს“ პოლიტოლოგმა, რუსეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა ზურაბ აბაშიძემ გაუზიარა.**

**— ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებთ აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის დასკვნას, რომელიც საზოგადოებას კომისიის თავმჯდომარემ პაატა დავითაიამ გააცნო?**

— ამ კომისიის შექმნა თავისთავად აუცილებელი და გარდუვალი იყო. მესმის, რომ კომისიის წინაშე დასმული ამოცანა რთული იყო და მას თავის მუშაობაში როგორც შიდაპოლიტიკური, ასევე საერთაშორისო კონიუნქტურის გათვალისწინება სჭირდებოდა.

უფრო კვალიფიციური ანალიზის და კომენტარისათვის კომისიის 200-გვერდიანი მასალის გაცნობა იქნებოდა საჭირო. რთული სათქმელია საერთაშორისო კომისიისათვის ჩვენი პარლამენტის კომისიის ამ დასკვნას რამდენად დიდი წონა ექნება. ნებისმიერ შემთხვევაში ალბათ მას განიხილავენ როგორც კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარის პოზიციას. თუმცა, მასში მოყვანილი ფაქტები საინტერესო იქნება ყველასათვის და, უპირველეს ყოვლისა, იმ საერთაშორისო კომისიისათვის, რომელსაც ქალბატონი ჰაიდი ტალიავინი ხელმძღვანელობს.

ფაქტია, რომ კომისიის მუშაობის შედეგებთან დაკავშირებით საზოგადოებაში უკმარისობის შეგრძნება აშკარად არის. ამიტომ და სხვა გარემოებების გათვალისწინებით საერთაშორისო კომისიის დასკვნას, რომელიც ევროკავშირის ეგიდით შეიქმნება, მეტი წონა ექნება.

**— რჩება შთაბეჭდილება, რომ კომისიამ ვერ გასცა პასუხი ისეთ კითხვებს, რომელიც საზოგადოებას ყველაზე მეტად აინტერესებს...**

— ჩემი მთავარი შთაბეჭდილება და ძალიან სერიოზული უკმარისობის გრძნობა და განცდა ის არის, რომ საქართველომ სწორად ვერ შეაფასა რუსეთის ფაქტორი და იქიდან მომდინარე საფრთხე. ჩვენ ვერ შევძელით ომის საფრთხის თავიდან აცილება. ეს არ ეხება მხოლოდ ერთ უწყებას ან ერთ რომელიმე ჩინოვნიკს, ეს საჭიროებს ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და ხელისუფლების ძალიან კრიტიკულ ანალიზს.

**— დღეს ბევრს საუბრობენ ომის თავიდან აცილების შესაძლებლობაზე. თქვენი აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველომ არჩევანი ნატოსა და ევროკავშირის სასარგებლოდ გააკეთა, რითაც რუსეთი უკმაყოფილებას არ მალავდა, შესაძლებელი იყო თუ არა საომარი მოქმედებების თავიდან აცილება?**

— მე დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლებოდა.

**— როგორ და რის ხარჯზე?**

— ჩემი ღრმა რწმენაა, დაკვირვებაცა და ანალიზიც მაძლევს ამ განცხადების გაკეთების საშუალებას. შეიძლებოდა და ეს აუცილებელიც იყო.



**კობა ბენდელიანი.**

◉ ინფორმაცია

## რას უზიამენ „გველეშაპს“?

**საპარლამენტო ოპოზიციის წევრი ჯონდო ბაღათურია კახა ბენდუქიძის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს. მან გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ბენდუქიძე „გველეშაპივით აზის ქართულ ეკონომიკას და ანგრევს მას“.**

**დეპუტატის თქმით, ბენდუქიძემ და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა შექმნეს სქემა, რომლის მიხედვითაც მსხვილი ბანკები მსხვილ სამშენებლო კომპანიებს თავად ქმნიან და სხვა კომპანიებზე კრედიტებს აღარ გასცემენ. მან ასევე დასძინა, რომ ისინი ხელოვნურად ანგრევენ სამშენებლო ბიზნესს, რის გამოც იანვრის ბოლოს 110 ათასი ოჯახი ულუკმაპუროდ დარჩება.**

ინტერპრესნიუსი

◉ ინფორმაცია

## ტყუილი დაპირებები, გაუთავებლად ტყუილი...

**„მემარჯვენეებისა“ და „რესპუბლიკელების“ კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის წევრები საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და თელავის მაჟორიტარ დეპუტატს გია არსენიშვილს სიცრუეში ადანაშაულებს.**

**„რესპუბლიკელების“ წარმომადგენელმა გიორგი მოსიაშვილმა განაცხადა, რომ ცოტა ხნის წინათ, თელავში მყოფი საქართველოს პრეზიდენტის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადება, თითქოს თელავი-გომბორი-თბილისის გზის აღდგენითი სამუშაოები უკვე დაწყებულია, სიმართლეს არ შეესაბამება.**

**— შეგიძლიათ მიბრძანდეთ და თავად ნახოთ, რომ პრეზიდენტმა ტყუილი თქვა. გზის აღდგენითი სამუშაოები ამ დრომდე არ დაწყებულა, — აღნიშნა გიორგი მოსიაშვილმა.**

**რაც შეეხება გია არსენიშვილის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს, მოსიაშვილის თქმით, წინასაარჩევნოდ და მას შემდეგაც თელავის მაჟორიტარი დეპუტატი გია არსენიშვილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას დაპირდა, რომ გაზი ყველა სოფელს ექნებოდა, მაგრამ სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები არ ჩატარდა.**

## ბერლუსკონი აცხადებს

**იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის განცხადებით, მან და მისმა ქვეყანამ აგვისტოს კონფლიქტის გადაჭრაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს. ბერლუსკონის მტკიცებით, სარკოზი-მედვედევის ცნობილი ექვსპუნქტიანი გეგმაც სწორედ მისი მონაწილეობით განისაზღვრა.**

**— იტალიამ, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანასთან — საფრანგეთთან ერთად, გადამწყვეტი როლი შეასრულა კავკასიაში აგვისტოს კონფლიქტის გადაჭრაში. ჩვენ სარკოზისთან მუდმივ კონტაქტში ვმუშაობდით იმისათვის, რომ შეგვემუშავებინა ექვსპუნქტიანი გეგმა, — განაცხადა იტალიის პრემიერმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ვითხოვთ სიტყვას!

# აქ ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს!

## მიმართვა ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს

ხელისუფლებაში ყოფნის დროს თქვენ და თქვენმა გუნდმა:

— საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფით მოსპეთ ბალანსი სახელისუფლებო შტოებს შორის და ქვეყნის კონსტიტუცია საკუთარ ინტერესებს მოარგეთ;

— ფეხქვეშ გათელეთ ადამიანის უფლებები და ხელყავით კერძო საკუთრება;

— ქვეყანაში დაამკვიდრეთ შერჩევითი სამართალი, გაანადგურეთ ისედაც ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი სასამართლო სისტემა და აქციეთ იგი პროკურატურის უუფლებო დანამატად;

— ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ქვეყნის მოსახლეობა დაყავით თქვენიანებად და არათქვენიანებად, მათ შორის, ახალგაზრდობა — პატრიოტებად და დანარჩენებად, რითაც გამოიწვიეთ საზოგადოებრივი განხეთქილება და თაობათა შორის დაპირისპირება;

— აბუჩად აიგდეთ ეროვნული ღირებულებები, დანერგეთ ნიჰილიზმი ჩვენი ისტორიისა და კულტურის მიმართ და ამით რეალური საფრთხე შეუქმენით ეროვნულ ცნობიერებასა და თვითმყოფადობას;

— ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ ანტიქართულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით შემუშავებული და პრაქტიკულად განხორციელებული „რეფორმის“ სახელით გაანადგურეთ სამეცნიერო-საგანამანათლებლო სისტემა და კულტურულ-სახელოვნებო კერები, დაამკვიდრეთ უმეცრება, დილეტანტიზმი და პარაზიტიზმი, რითაც გაწირეთ საქართველოს მომავალი, მიზანმიმართულად განახორციელეთ ახალგაზრდობის მორალური და ინტელექტუალური დეზორიენტაცია;

— ეროვნული სპორტი ხელში ჩაუგდეთ არაპროფესიონალ და ანგარებიან ადამიანებს, ფაქტობრივად გააუქმეთ სპორტის აკადემია, რითაც ქართულ სპორტს მოუსპეთ განვითარების პერსპექტივა;

— პროფესიული კადრების დევნის პარალელურად განახორციელეთ დანაშაულებრივი ერთპარტიული საკადრო პოლიტიკა, რითაც საზოგადოებაში დანერგეთ სასოწარკვეთა და უპერსპექტივობის განცდა;

— სახელმწიფოს რეალური მართვა ჩაანაცვლეთ პიარტექნოლოგიებით და ამით გამოიწვიეთ სახელმწიფოებრივი აზროვნების პროფანაცია;

— ქვეყანაში არნახულ სიმაღლემდე აიყვანეთ სახელისუფლებო, ე. წ. „ელიტარული“, კორუფცია;

— სრულიად უპასუხისმგებლოდ, უსისტემოდ და ქვეყნის საზიანოდ გაყიდეთ საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები;

— სახელმწიფო რეკეტი აიყვანეთ ეკონომიკური პოლიტიკის რანგში, რითაც უკიდურესად მძიმე და დამამცირებელ მდგომარეობაში ჩააყენეთ ბიზნესი;

— გამოაცხადეთ „ნულოვანი ტოლერანტობა“ და ციხეებში გამოკეტეთ ათასობით ადამიანი, მათ შორის, პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირები;

— განახორციელეთ ძალადობა თავისუფალ მედიაზე და ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებს დაუწესეთ უმკაცრესი სახელისუფლებო კონტროლი;

— ბარბაროსული მეთოდებით დაარბიეთ მშვიდობიანი საპროტესტო აქციები;

— არსებითად ერთპარტიული საარჩევნო ადმინისტრაციის, პოლიციის, უშიშროების სამსახურებისა და კრიმინალური სამყაროს კოორდინირებული მოქმედებით გააყალბეთ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო და 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები და ამით განახორციელეთ ძალაუფლების ფაქტობრივი უზურპაცია;

— კონფლიქტების მოსაგვარებლად და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ვერ შეძელით სამშვიდობო მექანიზმების შექმნა და ამუშავება;

— ქვეყნის ზღვარს გადასული მილიტარიზაციისა და აგრესიული რიტორიკის ფონზე დაივიწყეთ ხელისუფლების მთავარი მოვალეობა — აარიდოს ქვეყანას საგარეო საფრთხეები და სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურაში ჩაითრიეთ სახელმწიფო, რასაც მოჰყვა რუსეთის სამხედრო აგრესია და ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია;

— უგუნური საგარეო და საშინაო პოლიტიკით ქვეყანა მიიყვანეთ სრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ-საგანამანათლებლო, სამხედრო და მორალურ კრახამდე.

ვინაიდან თქვენი და თქვენი გუნდის უსუსური, არაკომპეტენტური და არაადეკვატური პოლიტიკის გამო დღეს საქართველოს ფაქტობრივად დაკარგული აქვს სუვერენიტეტი და ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები წყდება მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის საზღვრებს გარეთ;

ვინაიდან თქვენ და თქვენმა გუნდმა დაკარგეთ ნდობა და ავტორიტეტი საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებში და, ამდენად, აღარ მოგეპოვებათ პოლიტიკური და მორალური რესურსი მშვიდობიანი მეთოდებით თქვენ მიერვე შექმნილი ჩიხიდან ქვეყნის გამოსაყვანად;

ვინაიდან თქვენ და თქვენი გუნდი ახლაც, ოკუპაციის პირობებში, თავს გამარჯვებულად აცხადებთ და ცდილობთ ნებისმიერი საშუალებით შეინარჩუნოთ სახელისუფლებო ძალაუფლება;

ვინაიდან თქვენი და თქვენი გუნდის ხელისუფლებაში ყოფნის თითოეული დღე, თქვენი მოქმედებები და საჯარო გამოსვლები წარმოშობს ახალ-ახალ ტრაგიკულ პრობლემებს, ქმნის ომის განახლების რეალურ საშიშროებასა და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, დაშლისა და გაქრობის რეალურ საფრთხეს,

მოვითხოვთ, ამჯერად მაინც გადადგათ გონივრული ნაბიჯი, დაუყოვნებლივ დანიშნოთ რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები და ნებაყოფლობით გადადგეთ პრეზიდენტის პოსტიდან. ეს არის თქვენი, თქვენი გუნდისა და, რაც მთავარია, თქვენ მიერვე ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე მიყვანილი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი შანსი.

„ქართული აკადემია“

ზაზა აბაშიძე, ისტორიკოსი; გიორგი ანთელავა, პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე; ავთანდილ არაბული, პროფესორი, ფილოლოგი; გიგა ბათიაშვილი, აკადემიკოსი, არქიტექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე; გია ბურჯანაძე, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; ერეკლე გამყრელიძე, აკადემიკოსი, გეოლოგი; თემურ გოცაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, კომპოზიტორი; აველინა დავითულიანი, დოცენტი, ფიზიკოსი; გელა დოლიძე, ფიზიკოსი; მალხაზ ზაალიშვილი, აკადემიკოსი, ბიოფიზიკოსი; ვანო კილურაძე, აკადემიკოსი, მათემატიკოსი; თამაზ მარსაგიშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ჯემალ მებონია, პროფესორი, ფიზიკოსი; ნოდარ მგალობლიშვილი, მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი; ოთარ მელქაძე, პროფესორი, იურისტი; ზაზა მრელაშვილი, მწერალი, პუბლიცისტი; შოთა ნადირაშვილი, აკადემიკოსი, ფსიქოლოგი; მაია ნათაძე, პროფესორი, ფილოლოგი; თემურ ნანეიშვილი, პროფესორი, ფიზიოლოგი; თენგიზ სანაძე, აკადემიკოსი, ფიზიკოსი; გოგი ქავთარაძე, რეჟისორი, მსახიობი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია, რეჟისორი, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; დავით ქარქაშაძე, დოცენტი, ფიზიკოსი; გიორგი ჩაგელიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; ნინელი ჭანკვეტაძე, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; გია ჭუბაბრია, კინორეჟისორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის, ალბერტ შვეიცერის პრემიის (გფრ) ლაურეატი; ალექსანდრე ხარაზიშვილი, პროფესორი, მათემატიკოსი; მარინა ჯანაშია, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; კოტე ჯანდიერი, მწერალი, დრამატურგი; მერაბ ჯიბლაძე, პროფესორი, ფიზიკოსი; თამაზ ჯოლოგუა, პროფესორი, ფილოლოგი.

22.12.08.

**პოზიცია**

***მიშა მაგარია! და იცით, რატომ? რასაც უნდა იმას აკეთებს და თან როგორც უნდა, ისე. აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ცხედრები ჯერ კიდევ არ იყო გაციებული და ალბათ ზოგიერთი დაჭრილი ჯარისკაცი ცხინვალში, ჯავაში ან ღმერთმა იცის სად, უკანასკნელ წუთებს ითვლიდა, პრეზიდენტმა წარბშეუხრელად განაცხადა, ჯარი იმისთვის არის, უნდა დაიხოცოსო. ეს იმას ნიშნავდა, არავინ გაბედოს და თქვას „ბიჭები ჩახოცესო“. მართლაც, არავის გაუბედავს. ოდნავ მოგვიანებით კვლავ პრეზიდენტმა თქვა „რუსებმა გაანადგურეს ჩემი სიმწრით დაგებული გზებიო“. ბევრმა დედამ კი სიმწრით გაზრდილი შვილის ცხედარიც არ იცის სად არის და თანაბრად დასტირის ძმათა სასაფლაოზე დამარხულ უცნობ ჯარისკაცთა საფლავებს. ასეთ საკითხებს ხელისუფლება რიტორიკას ეძახის.***

# მიშა მაგარია, თანაც ძალიან!

ოპოზიციას გაზაფხულზე არჩევნების გამართვა სურს, ხელისუფლებას – არა. როდესაც სახელისუფლებო კულუარებში თავად დაიწყეს ამ თემაზე საუბარი და საქართველოს პრეზიდენტიც წინააღმდეგი არ იყო არჩევნების დანიშვნისა, იმ დრომ ჩაიარა. ოპოზიციის მოთხოვნამ ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობის შესახებ იმდენად უგერგილოდ გაიჟღერა, რომ ხელისუფლებას სასაცილოდ არ ეყო და საზოგადოებას არჩევნების კონტრარგუმენტები დაუდო – მსოფლიო ფინანსური კრიზისი, ეკონომიკური კრიზისი საქართველოში და ის, რომ ასეთ ვითარებაში თითოეული თეთრი, რომელიც დასაქმებას და ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს, არჩევნებში არ დაიხარჯებაო. ასე თქვა აგვისტოს მოვლენების დროს პანიკაში ჩავარდნილმა პარლამენტის თავმჯდომარემაც, ახლა ქვეყანას არჩევნების ფუფუნება არ აქვსო.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ არჩევნების ჩატარება ქვეყნის აფეთქების ტოლფასი იქნება, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც ვადამდელ არჩევნებს ის ადამიანები ითხოვენ, ვინც 2007 წლის მაისში ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით პარლამენტში მოხვდა, მაგრამ ამომრჩევლის ნებას ცივი წყალი გადაასხა, თან ისე, რომ ამ წყალმა ხელისუფლების წისქვილისკენაც მოახერხა გაქცევა და ახლა მის სადერდელს დერდავს.

„ნამდვილად არ ვაპირებ საქართველოს აფეთქებას იმ რამდენიმე ადამიანის გამო, რომელიც ხალხმა აირჩია, პარლამენტში არ შევიდა და ახლა თავისი შრომითი მოწყობით არის შეწუხებული. ისინი უნდა შესულიყვნენ მაშინ, როდესაც ხალხმა აირჩია“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

დიახ, „მიშა მაგარია“ და იცით რატომ? იგი ოპოზიციას შეცდომას არასოდეს პატიობს და როდესაც ამის შანსი ეძლევა, აბუჩადაც იგდებს.

ვერც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ლოგიკურად ვერ დაასაბუთა, ამომრჩეველს ვერ აუხსნა, თუ რატომაა აუცილებელი გაზაფხულზე არჩევნების ჩატარება.

პრეზიდენტმა კი ბრძანა, თუ არჩევნებს ჩავატარებთ, ქვეყანა აფეთქდებაო, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ იგი, ამ აფეთქების გამო, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ აიღებს. შესაბამისად, ამომრჩეველმაც საფრთხე იგრძნო. რატომ? იმიტომ, რომ ოპოზიციამ ვერასოდეს დაიცვა არამცთუ ამომრჩეველი, არამედ ის ხმაც კი, რომელიც ამ ამომრჩეველმა მას მიაკუთვნა.

ოპოზიცია ამის საპასუხოდ არ ამბობს და ვერც ხალხს უსაბუთებს, რომ ქვეყანა უკვე აფეთქებულია და მეტი უკვე აღარ შეიძლება მოხდეს. არავინ უპასუხებს, რომ 2007 წლის ნოემბრის ცნობილი მოვლენების დროს ხელისუფლება ზუსტად ასევე გვისაბუთებდა, რომ გაზაფხულზე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ქვეყანას დაღუპავდა, თუმცა ამის მიუხედავად საპრეზიდენტო არჩევნებიც ჩატარდა და საპარლამენტოც, თანაც ზუსტად გაზაფხულზე. იმედია, ხელისუფლება არ იტყვის, – რომ არა არჩევნები, რუსეთთან ომს მოვიგებდითო.

ოპოზიცია „თავისას უზერავს“. მათი არგუმენტი ასეთია: არჩევნები უნდა ჩატარდეს იმიტომ, რომ ხელისუფლება შეიცვალოს. მაგრამ ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლას მხოლოდ პრეზიდენტის შეცვლა ან პარლამენტში ოპოზიციის უმრავლესობით მოსვლა თუ გამოიწვევს. ის, რომ პრეზიდენტი საკუთარ თავს არ გადააყენებს, ცხადია ოპოზიციისთვისაც. შესაბამისად, რჩება მეორე ვარიანტი – პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა. სწორედ ამიტომ ითხოვს ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დაუსაბუთებელი, გაუგებარი არგუმენტებითა და მიუგნებელი სლოგანით.

საზოგადოება მიეჩვია იმ გარემოებას, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას თანაბრად არ მოსწონთ არათუ კრიტიკა, არამედ შენიშვნაც კი. მაგრამ ამჯერად ოპოზიციის გასაგონად უნდა ითქვას, რომ მერამდენად მოსდით შეცდომა, რისი მიზეზიც, სამწუხაროდ, მათი რეალობიდან დისტანცირებაა. ადამიანი და მით უფრო ადამიანთა ჯგუფი, როდესაც პრეტენზია აქვს, რომ ხვალ ქვეყანა უნდა ჩაიბაროს და ჩვენი ბედი განკარგოს, იმას მაინც უნდა ხვდებოდეს, რომ ქვეყნაში ცვლილებების აუცილებლობის შესახებ საუბრისას თუ მოთხოვნისას განცხადებები ისე გააკეთოს, რომ თავისი ამბიციები ლიად არ დააფიქსიროს. ოპოზიცია მესიას ელოდება, იმისათვის, რომ მის მატარებელში ჩასკუპდეს და სამთავრობო სადგურში ჩამოვიდეს.

აღნიშნულ ვითარებაში არის და იყო რამდენიმე მზა რეცეპტი იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტს ოპოზიციის მოთხოვნისთვის ხისტი პოზიცია არ დაეხვედრებინა და



თუნდაც ოფიციალურად განეცხადებინა, ხელისუფლება დაიწყებს ამ წინადადების განხილვასო. თუმცა ოპოზიციამ ამ გასაღებს დღემდე ვერ მიაგნო.

ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლების წყარო, ანუ ხალხი ჯერჯერობით არსებულ ვითარებას ეგუება. ქვეყანა თავზე გვენგრევა, ტერიტორიები ოკუპირებულია, მიმდინარეობს მასობრივი შემცირებები და ხალხს ლუკმა-პური არ აქვს – ამ არგუმენტებით არც ქუჩაში გამოვა ვინმე და არც ოპოზიციის ტაშისკვრით გადაიტყავებს ხელის გულებს. ხალხი მიხვდა, რომ უკვე მერამდენე ხელისუფლებამ მათთვის ვერ მოიცალა და დარწმუნდა, რომ ხელისუფლება ხალხისთვის არასოდეს ყოფილა. იმედი აქვთ, რომ არც არასოდეს იქნება. ამიტომაც შეეგუა რეალობას, ცდილობს თავი როგორმე გადაირჩინოს და ეს ზამთარიც გადაიტანოს. გაზაფხულზე კი შორიდან შეხედავს ხელისუფლების მოსურნეთა კიდევ ერთი ჯგუფის დაპირებებს. უცხოეთში ლუკმა-პურის საშოვნელად გადახვეწილ ქმარს, შვილს, ცოლს, დედას, მამას ან უკიდურეს შემთხვევაში უახლოეს ნათესავს, მოუყვება აქაურ ამბებს და ეტყვის, მეც შენთან ჩამოვალ, აქ ხეირი არც არასოდეს ყოფილა და არც იქნებაო. არავინ ცდილობს დაუსაბუთოს ამ ადამიანს, რომ ცდება და ხეირი იქნება. და ასე, მილიონზე მეტ გადახვეწილს კიდევ შეემატება მრავალი ათეულობით ათასი.

**გოჩა მირცხულავა,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

**ხედვა**

# „ალასანიას ჩამოსვლა, შესაძლოა ბენდუქიძის დაპატიმრებით გადაფარონ“



***ამ რამდენიმე ხნის წინათ პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: მან თქვა, რომ ხელისუფლება კახა ბენდუქიძის დაპატიმრებას აპირებს. დარწმუნებული ვარ, თუ ეს ვარაუდი გამართლდება, საზოგადოების თუნდაც უმნიშვნელო ნაწილის პროტესტსაც არ გამოიწვევს, მაგრამ ვფიქრობ მაინც საკითხავია, რა ბრალდებით აპირებენ „ნაცები“ ბენდუქიძის გისოსებს მიღმა ჩაყუდებას, ან საერთოდ რაში ჭირდებათ ეს? იქნებ ჰგონიათ, რომ ამით ხალხის თვალში შელახული პრესტიჟი აღუდგებათ, ან იქნებ საზოგადოების ანტისახელისუფლებო განწყობის დროებით მაინც გასანეიტრალებლად აურზაურის ატეხვა სურთ?***

***ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე თავად მამუკა კაციტაძეს ვესაუბრებით.***

**– ბატონო მამუკა, ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას თქვენ თქვით, რომ ხელისუფლება ბენდუქიძის დაკავებას გეგმავს, თუმცა ის დღემდე თავისუფალია... რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ ეს განცხადება და საერთოდ რაში აძლევთ ხელს ამ ეტაპზე ბენდუქიძის მოშორება?**

– დაახლოებით ორი-სამი კვირის წინათ ფიქრია ჩიხრაძემ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც ბენდუქიძის რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის დამამტკიცებელი კონკრეტული ფაქტები დადო. კონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ ამ სპეცსამსახურებთან ურთიერთობა დროებით და მყისიერად, როგორც ასეთი, არ ხდება, არამედ ეს ურთიერთობები დიდი ხანია გრძელდება, შეიძლება ითქვას, მუდმივად და ყველაფერს თავისი ლოგიკური გაგრძელებები აქვს დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ რეალობაშიც. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ბენდუქიძის პერიოდში ქვეყანაში ეკონომიკური პროექტების დიდი უმეტესობა რუსეთის დომინანტის ქვეშ განხორციელდა, ბუნებრივია, ჩნდება სრულიად საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს პიროვნება რუსეთისთვის მუშაობს. დღეს ეს უკვე საეჭვო აღარ არის, მაგრამ როგორც ფიქრია ჩიხრაძემ კონფერენციაზე აღნიშნა, ხელისუფლებისთვის ან არ არის ეს ინფორმაცია ცნობილი, ან ყველაფერი იციან და სათანადო რეაგირებას რატომღაც ვერ ახდენენ.

რაც შეეხება იმას, თუ რაში ჭირდებათ ბენდუქიძის დაპატიმრება, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლების წრეებში უკვე დაწყებულია გამოძიება მისი კრემლის აგენტურასთან თანამშრომლობის თაობაზე და იმისთვის, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი ნაწილობრივ მაინც შეიცვალოს, მზად არიან ბენდუქიძის „თამადობით“ ყველა ოდიოზური და მკვეთრად ნეგატიური პიროვნება გაწირონ. ეს ამ ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი ჟესტია, რაც გარკვეულწილად იმასაც ისახავს მიზნად, რომ ესა თუ ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა რამე სხვა მოვლენით გადაფარონ. ყველას კარგად გვახსოვს, ხუთ დეკემბერს, როცა ირაკლი ალასანიამ გადადგომის თაობაზე განცხადება გააკეთა, უცებ საქართველოს თავს დაატყდა სამთავრობო კარუსელი და ჯერაც არდანიშნულმა საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ყველას ვხსნიო... ასევე გვახსოვს, ადგილობრივი არჩევნების წინ ჯაშუშები რომ დააკავეს ექვსი კაცი, და მერე მოსკოვში გადაგზავნეს, გვახსოვს სააკაშვილი რომ განმუხურში ჩავიდა და რუს ჯარისკაცებს უკან დაახევინა, არც ის დაგვვიწყებია, კაჩინსკისთან ერთად რომ გაისეირნა კონფლიქტის ზონაში და „ლამის“ ორივე „ტერაქტში“ დაიღუპა... მოკლედ ეს ყველაფერი იყო გაგრძელება იმ მზაკვრული და ამავე დროს უგუნური პოლიტიკისა, რასაც ორი სიტყვით „გადაფარვის პოლიტიკა“ ჰქვია...

მსგავსი სცენარების განხორციელება მომავალშიცაა მოსალოდნელი, ვინაიდან, მოგეხსენებათ, ამ დღეებში ირაკლი ალასანია საქართველოში ჩამოდის. ხელისუფლება მას უმთავრეს პრობლემად აღიქვამს და გამორიცხული არ არის, მისი თბილისში დაბრუნება თუნდაც ბენდუქიძის დაპატიმრებით გადაფარონ, ყოველ შემთხვევაში ეცდებიან. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია ამის თაობაზე, თუმცა ჩემი განცხადების შემდეგ შეიძლება ეს მეთოდი აღარ გამოიყენონ.

**– რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, თუ არის თქვენთვის ცნობილი, რომელ პარტიასთან აპირებს იგი თანამშრომლობას და საერთოდ რა სტატუსით ჩამოდის საქართველოში?**

– ირაკლი ალასანიამ გააკეთა განცხადება თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე და თქვა, რომ აქამდეც აპირებდა ამ ნაბიჯის გადადგმას, რომ არა ის უკიდურესად მძიმე ვითარება, რომელიც აგვისტოში შეიქმნა. ჩვენ გვაქვს გარკვეული ინფორმაცია მისი სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ ამაზე საუბარი ჩემი მხრიდან მინიმუმ არაკორექტული იქნება. რაც შეეხება სტატუსს, პირველ რიგში ის ჩამოდის, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე. დანარჩენზე, როგორ გითხრათ, სჯობს, პირადად მისგან მოისმინოთ პასუხები.

იხ. 6 გვ.

## ყველას თავისი აზრი აქვს!



# გვამები საჯდით – „ვარგისია 08. 08.08-მდე"

### სააგენტო „ნოვოსტი - აზერბაიჯანის" ექსკლუზიური ინტერვიუ დამოუკიდებელ ქართველ პოლიტოლოგ არნო ხიდირბეგიშვილთან

**— ბატონო არნო, 23 ნოემბერს „ვარდების რევოლუციას" ხუთი წლისთავი შეუსრულდა, მაგრამ თქვენთან ის, გასული წლებისაგან განსხვავებით, ერთობ თავშეკავებულად აღნიშნეს, და ეს გასაგებიცაა: საქართველოს ხელისუფლებამ, ალბათ, გაიგო, რომ დღეს ქვეყანას არ ედღესასწაულება...**

— თქვენ ცდებით, საქართველოს ხელისუფლებას არაფერი არ გაუგია – უბრალოდ, როგორც ცნობილია, გაჩერებული საათიც დღე-ღამეში ორჯერ სწორ დროს აჩვენებს... მთელ ქართულ ისტებლიშმენტს – პოზიციას, ოპოზიციას (იშვიათი გამონაკლისების გარდა) და ა.შ. პოლიტოლოგებს დღემდე ვერ გაუგიათ, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს შემდეგ მსოფლიო ცალპოლარული უკვე აღარ არის! თუმცა ეს ახალი რეალობა შეიცნო მთელმა მსოფლიომ – ისეთი ფიგურებიც კი, როგორებიც არიან მადლენ ოლბრაიტი და ჰავიერ სოლანა, დღეს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა განახორციელოს მორალური პოლიტიკა, დაუბრუნდეს დემოკრატიული სახელმწიფოს ჩარჩოებს, გააფართოოს ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ისწავლოს, მოუსმინოს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა რუსეთი და ჩინეთი.

განა სწორი არ აღმოვჩნდი, როდესაც სააგენტო „ნოვოსტი – აზერბაიჯანთან" ინტერვიუში მიმდინარე წლის 17 სექტემბერს განვაცხადე, რომ რუსეთის საერთაშორისო იზოლაცია ჰგავს საიქიო ცხოვრების მითს: ვინ აღმოჩნდა დღეს იზოლაციაში – საქართველო თუ რუსეთი?! ვინ, პოლონეთის პრეზიდენტის კაჩინსკის გარდა (ვისაც აშკარად არ აღიარებენ საკუთარი მინისტრებიც და ვისაც თავის სავარძელში ჯდომის სულ რამდენიმე თვეღა დარჩა), ჩამოვიდა ჩვენთან „დიდი თარიღის" მოსალოცად?!

მაგრამ თუ ადრე სხვადასხვაგვარი შოუების მთავარი მომწყობი საქართველოს ხელისუფლება იყო, დღეს „ეს სახელოვანი ტრადიცია" მისგან, როგორც ეტყობა, გადაიღო ოპოზიციამ: მითხარით ერთი, რა ლოგიკითაა, რომ პოლიტიკური ოპოზიცია ქვეყანაში, რომელმაც სამი თვის წინათ დაკარგა თავისი ტერიტორიის 20 პროცენტი, მიტინგზე ტელეკომპანია „იმედის" წინ თქვენგან ზემოხსენებული „ვარდების რევოლუციის" ხუთი წლისთავზე თავის დიდ გამარჯვებად აცხადებს... ამავე ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას ეთერში პოლიტიკური თოქ-შოუების განახლების შესახებ?! იმავე დროს კი ლეიბორისტული პარტიის ინიციატივა – საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების გადადგომის საყოველთაო მოთხოვნის შესახებ – რჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა"?!

**— მაშ ვის უჭერს მხარს დღეს ყველაზე მეტად საზოგადოება, ქართველი ხალხი?**

— საქართველოს საზოგადოება დღეს ზომბირებულია „გალვანიზებული გვამებით მორგიდან" – პოლიტიკანებით და ტელეეკრანებიდან ჩამოუსვლელი ანგაჟირებული პოლიტოლოგებით, ექსპერტებით – „გრანდჭამიებით", რომელთა „ვარგისიანობის ვადა" საბოლოოდ გავიდა სამი თვის წინათ!.. „იბერია", „202", „მე-9 არხი", „თრიალეთი", „ოდიში", „ჰერეთი", „იმედი", „მზე", „მაესტრო", „ივერია" – ამ წლების განმავლობაში დახურული ტელეკომპანიების ნაცვლად დაგვიტოვეს პირველი არხი – „საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობა" და განსვენებული პატარკაციშვილის საკუთრება არხი „იმედი", რომლებსაც ხალხმა მოსწრებულად „რუსთავი-1" და „რუსთავი-3" უწოდა (სამთავრობო ტელეარხ „რუსთავი-2"-ის ანალოგიით). აგრეთვე „ალანია", რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც სამხრეთ ოსეთის დე იურე ხელისუფლების არხი და ტელეკომპანია „კავკასია", რომელიც ანტირუსულ რიტორიკაში არ ჩამორჩება ზემოხსენებულებს.

**— კი, მაგრამ, ალბათ, ასეთია საზოგადოებრივი შეკვეთაც! თუ ამ ტელეგადაცემებს უყურებენ, მაშასადამე, ისინი საქართველოს საზოგადოების მოთხოვნითაა...**

— სწორი ბრძანდებით! და ეს არის მთელი უბედურებაც: ისეთი ხელისუფლების გაძლება, როგორიც ჩვენია, შეიძლება მხოლოდ საზოგადოებაში, სადაც გადაკეტილია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყველა უკონტროლო წყარო და სადაც ცენზურის ქვეშ მყოფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საზოგადოებას ინფორმაციის მაგივრად სთავაზობენ პროპაგანდას და საზოგადოება მას „მოიხმარს"! შემდეგ კი ვჩივით, რომ წავაგეთ საინფორმაციო ომი: არადა, მისი წაუგებლობა როგორ შეიძლებოდა, როცა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აქტიური ოპონირების ნაცვლად ჩვენ „გავებუტეთ" რუსეთს, და ხელისუფლებამ რეინტეგრაციის მინისტრის იაკობაშვილის ინიციატივით გადაუკეტა საქართველოს მოსახლეობას (შესაბამისად – ქართველ ჟურნალისტებსაც) რუსეთის ყველა საიტი და ტელეარხი?! შეიძლება ნორმალურად ითვლებოდეს სახელმწიფო და ადეკვატურად – ხელისუფლება, რომელიც ებუტება სხვა ქვეყანას?! როგორ მოვიგებდით საინფორმაციო ომს, როცა სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობს საინფორმაციო პოლიტიკა და ტელეეთერში მთელი დღე-ღამის განმავლობაში ერთი და იგივე სახეები ჩანს – ოცი-ოცდაათი „პოლიტმქადაგებელი"?! განა მათ არ უნდა „ვუმადლოდეთ" სიძულვილის თესვას ყოველივე რუსულისადმი? და ეს ხდება საქართველოში, რომელიც ძველთაგანვე ცნობილი იყო თავისი ტოლერანტობითა და სტუმართმოყვარეობით?! გაბედავს კი დღეს ვინმე საქართველოში, მოაწყოს აქცია – „მე რუსი ვარ!" – იმ აქციის ანალოგიით, რომელიც მოაწყვეს რუსებმა შარშან მოსკოვში ქართველთა რუსეთიდან დეპორტაციის დამამცირებელი ფორმის პასუხად, ჩაიცვას მაისური წარწერით „მე – რუსი ვარ!" და გამოვიდეს ქუჩაში, და არა – მიათრიოს უნიტაზი რუსეთის საელჩოსთან?! და ასეა ყოველდღე – ვიყოთ გაჩუმებული, ხმა არ ამოვიღოთ, არაფერი ვთქვათ, ველოდოთ, დავუთმოთ, უკან დავიხიოთ, ანდა სულაც – ვილაჩროთ, რითაც საზოგადოებიდან და ხალხიდან გადავიქცეთ მოსახლეობად და მასად, შემდეგ კი – ბრბოდ და ნახირად, რომელსაც მიერეკებიან „მწყემსები" – ხელისუფლება, მასონები, „გრუ" თუ „ცრუ" – ამას უკვე რაღა მნიშვნელობა აქვს.

5 ათასი ქართველი, რომლებიც 1795 წელს ორი დღის განმავლობაში გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ 35-ათასიან სპარსეთის ჯარს, სანამ მათგან 150 კაცი არ დარჩა ცოცხალი, მათმა მეფემ კი – ერეკლე მეორემ, რომელიც ვერ ეღირსა რუსეთის ჯარების დახმარებას, მაშინ ხმლის 72 ჭრილობა მიიღო, მაგრამ მაინც აგრძელებდა ბრძოლას, ვიდრე ძალით არ ჩამოსვეს უნაგირიდან მისმა ჯარისკაცებმა – და ქართველები, რომლებიც ნებას რთავენ გამოურთონ მათ ინტერნეტი და ტელეარხები 21-ე საუკუნეში: ესენი ერთი და იგივე ქართველები არიან?!

**— მაგრამ რუსეთმაც ხომ გადაკეტა ქართული ინტერნეტ-საიტები?..**

— დიახ, ეს კარგი გაკვეთილი იყო რუსეთისთვის, რომელმაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ შეძლო შეექმნა საქართველოში რუსული ლობი ყველა ეროვნების, პირველ რიგში კი – ქართველების ღირსეული წარმომადგენლებისგან! ამის ნაცვლად აქცენტი კეთდებოდა უმეცრებაზე, რასთანაც რუს ჩინოვნიკებსა და დიპლომატებს სულაც არ უჭირდათ „გაერეცხათ" მცირე, თუმცა საქართველოში მაინც შემოდინებული ფული სხვადასხვა ჰუმანიტარული დახმარების პროგრამების სახით რუსი თანამემამულეებისადმი, ოდიოზურ, მაგრამ საქმეში შემოწმებულ ყოფილ პარტიულ ფუნქციონერებზე, „კგბ"-ს, „მვდ"-ს თანამშრომლებზე, ინტელიგენციის წარმომადგენლებზე, რომლებსაც აქვთ ორ-ორი პასპორტი, ბინა მოსკოვში და თავიანთი საგასტროლო ინტერესები მოსკოვში.

სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის ხელმძღვანელობამ ვერ გამოიტანა აქედან სათანადო დასკვნა და როდესაც მოწესრიგდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა (ეს კი აუცილებლად მოხდება), იგი მაინც „მოეფერება", „ფირფიტაშეცვლილ" ინტელიგენტებს და „დღის სინათლეზე კვლავ გამოსულ" ადგილობრივი ჩამოსხმის „რუს პატრიოტებს" და არც მიაქცევს ყურადღებას მათ, ისევე როგორც ქართული პოლიტისტებლიშმენტის საქდეს „ვარგისია 08.08.08-მდე"...

**— რატომ არ შექმენით თქვენ, ქართველებმა, ამდენი ხნის განმავლობაში ქართული ლობი რუსეთში, სადაც გყავთ მილიონიანი დიასპორა, უამრავი, ყველასგან პატივსაცემი სახელოვანი და მდიდარი ხალხი?**

— დიახ, თქვენ შეეხეთ ყველაზე მტკივნეულ წერტილს: აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით (რომ აღარაფერი ვთქვათ სომხებზე, რომლებსაც ჰყავთ თავიანთი ლობი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესშიც კი), ჩვენ, ქართველებმა არ ვიზრუნეთ ჩვენი საერთო ინტერესების დაცვისთვის და დღემდე ვერ შევქმენით რუსეთში გავლენიანი ქართული ლობი, გარდა... ქურდულისა. ისევე როგორც, სხვათა შორის, ყველა სხვა ქვეყანაში – საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპანეთში, საბერძნეთში, თურქეთში, ინგლისში, სადაც ქართველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობს. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ვფიქრობ, უნდა ვეძებოთ ქართული მენტალობის უარყოფით თვისებაში, რომელიც ისტორიულადაა ცნობილი – ქართველ თავადთა საუფლისწულო ადგილუფროსობა და ეგოიზმი, რომელსაც ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ებრძოდა დავით აღმაშენებელი და რასაც მაშინაც საქართველოს გათიშულობამდე მივყავდით. მაგრამ დღეს ამაში მარტო რუსეთის მილიონიანი ქართული დიასპორის დადანაშაულება უსამართლობად მიმაჩნია: ჩვენი თანამემამულეები იქ საქართველოს საზოგადოების ის ყველაზე საუკეთესო და ენერგიული ნაწილია, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტური დროიდან წავიდა თავისთვის დიდ დისკომფორტზე და გადაიქცა ნამდვილ ლტოლვილად, რომელიც იძულებული იყო დაეტოვებინა სამშობლო – საქართველო და საშოვარზე წასულიყო რუსეთში. რუსეთმა მიიღო ისინი, მისცა შესაძლებლობა (თუმცა – მძიმე შრომით) არა მხოლოდ ღირსეულად მოწყობილიყო მეორე სამშობლოში (თანაც, ყველაზე ხშირად – თავად მოსკოვში), არამედ მუდმივად დახმარებოდა საქართველოში მცხოვრებ თავის ნათესავებსა და ახლობლებს. მილიარდი დოლარი წელიწადში (ყველაზე მარტივი დაანგარიშებით) – დახმარების ეს ნაკადი რუსეთს არასოდეს გადაუკეტია – არც შარშანდელი „ჯაშუშური სკანდალის" დროს, არც ახლა, საქართველოსთან ომის დროს! ჩვენ კი დავეხმარებივართ მათ რაიმეთი, რომ უკეთ ეცხოვრათ უცხოეთში? გავხსენით იქ თუნდაც ერთი ქართული სკოლა?! არა, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენ გავყიდეთ მოსკოვში ერთადერთი ქართული კულტურის ცენტრი „მზიური", რითაც წავართვით ჩვენს თანამემამულეებს შეხვედრების ერთადერთი ადგილი (გარდა ეკლესიისა ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე).

ჩვენ, ქართველებმა, რომლებიც საქართველოში ვცხოვრობთ, ჩვენი მოქმედებითა და უმოქმედობით ხელი შევუწყვეთ საქართველოში 5 წლის წინათ დღევანდელი ხელისუფლების მოსვლას და მის მმართველობას მთელი ამ 5 წლის განმავლობაში – ხელისუფლებისა, რომელმაც, ნებსით თუ უნებლიეთ, დღეს რუსეთთან ომამდე მიგვიყვანა, რითაც დიდი პრობლემები შეუქმნა ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც იქ პრაქტიკულად მძევლებად შეიძლება ქცეულიყვნენ?! მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. არც იმას დავივიწყებთ, რომ საქართველოდან გასულ ყველა მოქალაქეს, რომლებსაც სურთ დარჩნენ იქ მუდმივად საცხოვრებლად, რუსეთმა მიანიჭა თავისი მოქალაქეობა, მისცა იმის შესაძლებლობა, რომ მოახდინოს რუსეთის საზოგადოებაში ინტეგრირება (კავკასიის ბევრი ხალხისა და ეროვნების წარმომადგენლებისაგან – მაგალითად, მესხეთელი თურქებისგან განსხვავებით, რომლებიც ასევე საქართველოდან არიან გამოსულნი), მოქალაქეობა კი – ეს არა მხოლოდ უფლებებია, არამედ ვალდებულებებიც! საქართველოს პარლამენტმა კი, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ, ჩამოართვა მათ საქართველოს მოქალაქეობა: საინტერესო რამ ხდება – მათ „კეთილგანწყობით" აძლევს საშუალებას – დაგვეხმარონ და საქართველოს საშინაო ფულად მიმოქცევაში „ჩადონ" ერთ მილიარდ დოლარზე მეტი და ამავე დროს ვაიძულებთ მათ, უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე რუსეთის მოქალაქეობის მიღებამდე. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ქართული ლობი რუსეთში მაინც არსებობს – რა ვუყოთ, რომ ისეთი ძლიერი არაა, როგორც სომხური, მაგრამ ამისთვის ბევრი მიზეზი არსებობს, და ერთი მათგანი, ზემოაღნიშნული ქართული მენტალიტეტის უარყოფითი თავისებურების გარდა, აგრეთვე წმინდა პოლიტიკური რეალიებია: სომხეთი ყოველთვის იყო და რჩება რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი კავკასიაში, და მიუხედავად ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერი ლობისა, სადაც ოთხჯერ მეტი სომეხი ცხოვრობს, ვიდრე თავად სომხეთში, მას არასოდეს შეუცვლია პრორუსული ორიენტაცია (საქართველოსგან განსხვავებით)! თუნდაც ის გავიხსენოთ, რომ როდესაც სომხეთის ხელისუფლებაში მოსვლას შეეცადნენ პროამერიკულად განწყობილი პოლიტიკოსები დემირჭიანის მეთაურობით, სომხებს უარი არ უთქვამთ უპრეცედენტო ნაბიჯზე – შეჭრილიყვნენ პარლამენტში და მოეხდინათ არასასურველთა ლიკვიდაცია ავტომატების ჯერით...

**— თქვენ ყოველთვის საუბრობდით სახელმწიფო და სამხედრო ნეიტრალიტეტის, როგორც საქართველოს გადარჩენის ერთადერთი ხსნის შესახებ. უკანასკნელ ხანებში საქართველოში სახელმწიფო ნეიტრალიტეტის შესახებ ლაპარაკი დაიწყეს სხვებმაც. ხომ არ ნიშნავს ეს ამ იდეის პოპულარობას საქართველოს საზოგადოებაში?**

— ამის შესახებ მარტო მე როდი ვლაპარაკობდი. ინტერნეტში ყველას შეუძლია გაეცნოს გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, მეცნიერების დოქტორის ალექსანდრე ჭაჭიას ბრწყინვალე პუბლიკაციებს სახელმწიფო ნეიტრალიტეტის თემაზე საქართველოსთან დამოკიდებულებაში...

ხოლო იმ ბატონებს, ვინც დღეს დაიწყო საუბარი საქართველოს ნეიტრალიტეტზე, ვფიქრობ, სახელმწიფო ნეიტრალიტეტი წარმოუდგენიათ ნეიტრალური სიჩქარის მსგავს რაღაცად ავტომობილის ტრანსმისიაში, რომლის დროსაც მას ადგილიდან ვერ დაძრავ... მე ნეიტრალიტეტი მჭირდებოდა 08.08.08-მდე – როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საშუალება. მაგრამ რისთვის დასჭირდათ ამ ბატონებს იგი ამჟამად?! „სავარძლებისთვის კრემლიდან", რისი იმედიც მათ, ალბათ, აქვთ?!

სამაგიეროდ, მე დღეს გავიგე, რომ პოლიტიკას, თურმე აქვს ეროვნულობა – მაგალითად, არსებობს ქართული პოლიტიკა... იმედი მაქვს, რომ გამოთქმა „ქართული პოლიტიკა" დროის განმავლობაში არ გახდება ამ ხალხის წყალობით ისეთივე საყოველთაოდ ცნობილი სამწუხარო ფენომენი, როგორიც „ქართული ბიზნესია"...

სამაგიეროდ, მე დღეს გავიგე, რომ ომი საქართველოში დაიწყო იმიტომ, რომ, როგორც ჩვენი პარლამენტის სპიკერმა დავით ბაქრაძემ თქვა, საქართველოს ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა არჩევანი ორ ღირებულებას – მშვიდობასა და სიცოცხლეს (?!) შორის, და საქართველოს ხელისუფლებამ აირჩია სიცოცხლე, როგორც ყველაზე დიდი ღირებულება... (?!)

სამაგიეროდ, მე დღეს ვიცი, რომ, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბატონმა ქუთელიამ თქვა, ჩვენთვის მთავარია არა „მაპი", არამედ ნატო და როგორც მან აღიარა ერთ-ერთ ინტერვიუში, რუსეთის საპასუხო მოქმედებანი თბილისისათვის გახდა მოულოდნელი, თუმცა პრეზიდენტი სააკაშვილი ამტკიცებს, რუსეთმა პირველმა დაიწყოო...

**რომან ტემნიკოვი,**
**ბაქო, 26 ნოემბერი**

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

ამრიგად, მომხსენებლები გვერდს უვლიან ამ ფანტასტიკურ გეგმებს, ზუბოვების სახით რომ ჰყავთ ერთგული მიმდევრები, და გადადიან, სპარსეთისა და ინდოეთის გარდა, საქართველოს შემოერთების საპოლიტიკო შეფასებაზე. უნდა განიხილონ ამ შენაძენის მაქნის-უმაქნისი მხარეები.

საქართველოს საქმეების ზერელე გაცნობითაც კი, ყოველივე კაცისთვის ცხადი გახდება, რომ საქართველოს დარაჯობა, თუ იგი რუსეთის ტერიტორიის შემადგენლობაში შემოვა, ჩვენ გაცილებით უფრო ძვირი დაგვიჯდება, ვიდრე ის, რომ იგი მხოლოდ ჩვენი მფარველობის ქვეშ იყოს. იმიტომ, რომ, პირველ შემთხვევაში, იგი გაცილებით უფრო მეტად მიიპყრობს სპარსეთისა და თურქეთის ყურადღებას.

იმოწმებენ მადნების სიმდიდრეს. მაგრამ, ჯერ ერთი, „ასეთი სპეკულაციები სავაჭრო კომპანიას უფრო შეჰფერის, ვიდრე დიდ სახელმწიფოს“; მეორე, ნავარაუდევი შემოსავალი ისეთი მწირია (30,000 მან. წელიწადში!ძ, რომ უმჯობესია, საქმე კერძო მეწარმეობას დარჩეს; და ბოლოს, აკი მადანს ისედაც გვითმობენ; მაშასადამე, შეგვიძლია მათ ისე მოვუაროთ, რომ არ შევეხოთ საქართველოს დამოუკიდებლობას (კოჩუბეიმ საფუძვლიანად უარყო სახელმწიფო საბჭოს გაზვიადებული წარმოდგენები საქართველოს სიმდიდრესა და შემოსავლებზე. რა სიმდიდრე შეიძლება იყოს უმოსახლოდ დარჩენილ გაპარტახებულ ქვეყანაში! საერთოდ, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, განსახილველ მოხსენებაში უფრო მეტი ცოდნა გამოსჭვივის, ვიდრე ზუბოვების მსჯელობაში, რომლებიც სპეციალისტებად ითვლებოდნენ ამ საკითხში. კერძოდ, მდიდარი მადნები, თურმე, უფრო გრაფ. მუსინ-პუშკინის წარმოდგენაში ყოფილა, ვიდრე სინამდვილეშიძ.

რჩება საზღვრების უსაფრთხოების მოსაზრებები. მაგრამ ამის შესახებ შეიძლებოდა, გველაპარაკა მხოლოდ საქართველოს სრული გაპარტახების შემთხვევაში; ხოლო თუ მას უწინდელ მდგომარეობას დავუტოვებთ, და მცირერიცხოვან ჯარს შევაშველებთ, მაშინ საზღვრების დაუცველობაზე ლაპარაკი აღარ იქნება.

ასეთი გახლდათ მოხსენების ავტორთა საპოლიტიკო არგუმენტაცია. მათ საქართველოს შემოერთება რუსეთის სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით შეაფასეს, და უარყოფითად მოეკიდნენ ამ შემოერთებას (ასევე უარყოფითად ეკიდება მუსინ-პუშკინის მოსაზრებებს და სოლიდურად აკრიტიკებს მათ ანონიმური ავტორი „განსჯისა ქართლის, იმერეთის და ოდიშის (სამეგრელოსძ შეძენის ღირსება-ნაკლოვანებების შესახებ“, რომელიც მოგვიანებით დაიბეჭდაძ. რაც შეეხება უფლებრივ თვლსაზრისს, მათ რა თქმა უნდა, საუცხოოდ იციან, რომ აქ არავითარ უფლებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება (გრ. კოჩუბეი ახლოს იცნობდა საქართველოს შესახებ საქმეების მსვლელობას, ვინაიდან, პავლე იმპერატორის დროს, როგორც ვიცე-კანცლერს უხდებოდა მასთან დაკავშირებული ქაღალდების დამოწმებაძ. ისინი პირდაპირ ამბობენ: რომ მისი დიდებულების ღირსება მოითხოვს, უკუვაგდოთ ყოველგვარი ღონისძიება, რომელიც უსამართლობას შეიცავს, და არა მარტო ეს, არამედ, სახელმწიფოს (რუსეთისძ ინტერესებიც მოითხოვს, საქართველოს დავუტოვოთ ის მდგომარეობა, რომელიც იმპერატრიცა ეკატერინეს დროს ჰქონდა.

მაგრამ მომხსენებლები არ სჯერდებიან საქართველოს შემოერთების კრიტიკას რუსეთის საპოლიტიკო საჭიროებებისა და ამოცანების თვალსაზრისით. მათ არ დავიწყნიათ, რომ ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ – სამართლისა და რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ, გაიცა სხვადასხვა განკარგულებანი. ახლა აუცილებელია, მოაგვარონ ჩახლართული ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც შექმნეს ბატონიშვილთა ჯერაც ჩაუმცხრალმა პრეტენზიებმა და მერყევმა რუსეთის ხელისუფლებამ. სწორედ ამიტომ, სთავაზობენ ხერხებს, რათა „დაამყარონ როგორც სიმშვიდე საქართველოში, ისე სისტემაც მისი მომავალი მდგომარეობისა“.

ჯერ ერთი, საჭიროა არჩეულ იქნეს მეფედ ერთ-ერთი ბატონიშვილი, მემკვიდრეობის წესის შესაბამისად, ანდა მისი პირადი თვისებების გათვალისწინებით. მაგრამ შემდეგ, როდესაც უფლისწულს ტახტზე დაამტკიცებენ, გამოარიდონ, თუ საჭირო გახდა, რუსეთში სხვა პრეტენდენტები, სანამ ყველაფერი დაწყნარდება და კალაპოტში ჩადგება.

მეორე, იმისათვის, რომ მხარი დავუჭიროთ ტახტზე აყვანილ მეფეს, საქართველოში უნდა დავტოვოთ გარკვეული რაოდენობის ჯარები, და, საერთოდ, წესად შემოვიღოთ, რომ რამდენიმე ბატალიონი არტილერიითურთ მუდამ იყოს იქ, მხარის ხარჯით.

მესამე, ქვეშევრდომობის ფიცი დავადებინოთ მოსახლეობას და გამოვაცხადოთ უმაღლესი მანიფესტით, რომ ხელმწიფე იმპერატორი ქართლის სამეფოს კვლავინდებურად ტოვებს რუსეთის ვასალობაში, და მუდამჟამს ყოველი ღონით დაიცავს და დაიფარავს საქართველოს.

მართალია, არის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც, რომ თუ საქართველოს რუსეთის სკიპტრის ქვეშ არ შევინარჩუნებთ, მაშინ ამ სამეფოს თავს დაატყდება ოსმალეთის ან სპარსეთის შურისგება. მაგრამ ეს ვარაუდი უსაფუძვლოა. ოსმალეთის დაქაბუნება და საქართველოს მომიჯნავე ფაშების ურჩობა იმის გარანტიაა, რომ პორტასი არ უნდა ეშინოდეთ. ხოლო რაც შეეხება სპარსეთს, ყველამ იცის, რომ აღამაჰმად-ხანიც კი ვერ გაბედავდა, შესეოდა საქართველოს, წინასწარ რომ გაგვეგზავნა, თუნდაც მცირე რაოდენობით, ჩვენი ჯარი.

მეოთხე, მთელი ამ გეგმების ასამოქმედებლად საჭიროა, საქართველოში მთავარსარდლად გავგზავნოთ, **პირუთვნელი** კაცი, და, ამის გარდა, დავნიშნოთ, როგორც იყო, მინისტრი მეფის კარზე. და, ბოლოს, მეხუთე, უნდა ვიზრუნოთ ბატონიშვილთა ბედზე; ამისათვის, როდესაც რომელიმე მათგანს მეფობას დავუბრუნებთ, უნდა უზრუნველვყოთ გარკვეული მდგომარეობა სხვებისთვისაც. რუსი მთავარსარდლისა და მინისტრის ყოფნა თავიდან ააცილებს მათ ყოველგვარ საფრთხეს; მაგრამ რუსეთის ხელისუფალთა მოვალეობა, სხვათა და სხვათა შორის, იქნება ისიც, რომ წინაალუდგნენ ბატონიშვილთა ხრიკებს რუსეთის მიერ დასმული მეფის წინააღმდეგ (ერთი სიტყვით, მომხსენებლებს სურდათ, დაჰბრუნებოდნენ 1783-1800 წწ. რეჟიმს, მაგრამ მოითხოვდნენ ტრაქტატის bona fide შესრულებას. განსახილველ დოკუმენტში იგრძნობა მისწრაფება, შეუთანხმონ იმპერიის ინტერესები საქართველოს სურვილს და უფლებას. იგი ერთგვარი პასუხია ქართველთა დიდი ხნის ძიებებზე. „სათხოვნელი პუნქტები“, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მეტად კვეცავს საქართველოს ავტონომიას, მაგრამ ისინი სწორედ იმიტომ გაჩნდა, რომ ტრაქტატი არ სრულდებოდა ისე, როგორც ამას ქართველები მოელოდნენ და როგორც მოგვიანებით ეწადათ ეს მოხსენების ავტორებსძ.

ხელმწიფემ საქართველოს საკითხი განსახილველად გადასცა არაოფიციალურ კომიტეტს, ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე პირველ მოსაზრებებს მიიღებდა თბილისს წარგზავნილი გენერლის კნორრინგისაგან („სახელმწიფო საბჭო.1801-1901“. შედგენილია სახელმწიფო კანცელარიაში, გვ. 10-11. არაოფიციალური კომიტეტის წევრები იყვნენ სტროგანოვი, კოჩუბეი, ნოვოსილცევი და ჩარტორისკი, საკუთრივ ხელმწიფემ საქართველოს შესახებ საკითხის განხილვა დაავალა ვორონცოვს და კოჩუბეის, რომლებმაც წარადგინეს ზემოთ განხილული მოხსენება 24 ივლისსძ. არაოფიციალურმა კომიტეტმა, სახელმწიფო საბჭოსაგან განსხვავებით, გამოიტანა დასკვნა, რომ საქართველოს შემოერთება არც არის ხელსაყრელი რუსეთისათვის, და არც ემყარება არავითარ უფლებას. გრაფების ვორონცოვისა და კოჩუბეის განხილული მოხსენება სწორედ იმ აზრების ფორმულირებას შეიცავს, რომლებსაც ადგა არაოფიციალური კომიტეტი.




1801 წლის 8 აგვისტოს გაიმართა სახელმწიფო საბჭოს გადამწყვეტი სხდომა საქართველოს ხვედრის თაობაზე.

გარკვეული ლოდინის მდგომარეობის ყოველ დღეს მოსდევდა ანარქიის ზრდა ქვეყანაში, და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ნაკლებად შეიძლებოდა ლაპარაკი ქართლის სამეფოზე, როგორც რაღაც ისეთზე, ჯერ საბოლოოდ რომ არ არის გაუქმებული; საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის სასიკეთოდაც რომ გადაწყვეტილიყო, მოუხდებოდათ უკვე შემოერთებული საქართველოს რესტავრირება. ეს, რა თქმა უნდა, ზრდიდა შემოერთების მომხრეთა შანსს, ვინაიდან ყოველი მომხდარი ფაქტი თავისთავად იწვევს ცრუმორწმუნეობრივ პატივისცემას, და მის წინაშე, ჩვეულებრივ, ქედს იდრეკენ.

1801 წლის 8 აგვისტოს სხდომაზე საბჭომ მოისმინა გენერალ კნორრინგის მოხსენება საქართველოს მდგომარეობის შესახებ, რა მდგომარეობაშიც დახვდა იგი, როცა უმაღლესი ნების შესაბამისად ჩავიდა „შესამოწმებლად“, აგრეთვე ნამდვ.საიდ. მრჩ. გრაფ ვორონცოვისა და ვიცე-კანცლერის გრ.კოჩუბეის მოხსენება, ზემოთ რომ განვიხილეთ.

წუთითაც არ უნდა შეგვეპაროს ეჭვი: ამ სხდომას ჰქონდა უდიდესი საისტორიო მნიშვნელობა არა მარტო იმიტომ, რომ აქ ერთმანეთს შეეჯახა ორი მსოფლმხედველობა, ორი საპოლიტიკო კონცეფცია, რომელთა განსხვავებაც შეიმჩნევა ყველა დიდ საპოლიტიკო საზოგადოებაში. რომელი გაიმარჯვებს ამ კონცეფციათაგან ამჟამინდელ მომენტში რუსეთში – ამაზე იყო დამოკიდებული ბევრი რამ აზია-ევროპის მომავალ ბედში. ეკატერინესეული ორბების იმპერიალიზმის წინააღმდეგ, არც ფულს და არც ადამიანებს რომ არ ზოგავდნენ ზოგჯერ საჭირო, ზოგჯერ-მხოლოდ დიადი საპოლიტიკო ზრახვების მისაღწევად, აქ გაილაშქრა კულტურულ-მოქალაქეობრივმა მიმართულებამ, ესოდენ დამახასიათებელი რომ იყო იმპერატორ ალექსანდრეს მეფობის პირველი ათწლეულისათვის.

მაშინ, როდესაც საქართველოს შემოერთების მომხრენი პირდაპირ უკავშირებენ მის შემოერთებას აღმოსავლეთით მოძრაობის შემდგომ განვრცობას, შემოერთების მოწინააღმდეგენი უარყოფითად ეკიდებიან წინა აზიასთან დაკავშირებულ ზრახვებს: იმოწმებენ რა პოლიტიკურ ეკონომიას, ისინი ამბობენ, რომ რუსეთისნაირი ქვეყნები ვერ გამდიდრდებიან ზღვისმიერი სპეკულაციებით; სპარსეთის ლაშქრობანი ახსენებს მათ არა მოუჭკოვებელ დაფნის გვირგვინებს, არამედ აურაცხელ მსხვერპლს, ამ ლაშქრობებმა რომ შეიწირეს; ისინი იმოწმებენ იმპერატორ ალექსანდრეს ზოგად საპოლიტიკო პრინციპებს და აღნიშნავენ, რომ საქართველოს შემოერთება ცხადჰყოფს ისეთ მიმდინარეობას, რომელიც ვერ მოერგება რუსეთის კულტურული განახლების ამოცანებს.

სხვაგვარ პირობებში, უფრო ცხოველი საზოგადოებრივი აზრის, პრესისა და საჯაროობის არსებობისას, ამ საკითხებს გრანდიოზული საპოლიტიკო დებატი უნდა მოჰყოლოდა. რუსეთში ეს, რა თქმა უნდა, არ ყოფილა, მაგრამ მოვლენის მნიშვნელობას ამით არაფერი აკლდება, და სახელმწიფო საბჭოში წამოჭრილი უთანხმოება მრავალმნიშვნელოვან და უაღრესად მრავლისმომასწავებელ ფაქტად რჩება.

## 7.

გენერალ კნორრინგის მოხსენებამ საბოლოოდ დაარწმუნა საბჭო საქართველოს ინკორპორაციის საჭიროებასა და გარდაუვალობაში.

სარგებლიანობის მოსაზრებებს, საბჭომ რომ გამოთქვა წინა მოსმენების დროს, ერთვის კიდევ ერთი თავისებური არგუმენტი. რუსეთის ღირსების ინტერესები მოითხოვენ, არ დავთმოთ ახალი შენაძენი, რომელიც იციან არა მარტო საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებში, არამედ უკვე – მთელს აზიასა და მთელს ევროპაში.

საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს მოსახლეობის საერთო სიხარულს, რომელიც მან კნორრინგის თბილისში შესვლისას გამოიჩინა. საბჭო მიიჩნევს,რომ უკეთუ სამეფო ოჯახის წევრებს შორის გამოჩნდებიან ზოგ-ზოგები, ვინც ალმაცერად შეხედავს საქართველოს დაქვემდებარებას რუსეთის სკიპტრისადმი – განა შეიძლება, ანგარიში გაუწიო ამ უმცირესობის დრტვინვას და „დასთმო უმრავალრიცხოვანესი და უკეთესი ნაწილი იმ რამდენიმე ავმზრახველი ადამიანის შურისგებისა და სიხარბის ზვარაკად, სულს რომ ხდიდნენ აქამდე საბრალობელ მხარეს?“

შემდეგ; საბჭო აღნიშნავს, რომ გვირგვინის პრეტენდენტი ორი უფლისწულის გამო, წარმოიშობა გადაუწყვეტელი წინააღმდეგობა: იულონის უფლებები მეფე ერეკლეს ანდერძით არის დადგენილი; დავითის უფლებები – მეფე გიორგის ანდერძის წერილით. მართალია, გიორგი, რომელმაც დავითი დანიშნა მემკვიდრედ, ერეკლეს ნების საწინააღმდეგოდ მოიქცა; მაგრამ დავითმა მიიღო უმაღლესი დასტური, როგორც მემკვიდრემ. ამრიგად, მეფედ დავითის დანიშვნა ერეკლეს ანდერძისა და საქართველოს სურვილის საწინააღმდეგო იქნებოდა, იულონის დანიშვნა – უმაღლესი დასტურისა.

და, ბოლოს, იმეორებენ მოსაზრებებს „მოთარეშე მთიელთა ალაგმვის მარჯვეობისა“ და ოსმალთა და ყიზილბაშთათვის დასწრების აუცილებლობის შესახებ, რომლებიც უეჭველად შეესევიან საქართველოს.

ყოველივე ამან ოდნავადაც ვერ დაარწმუნა მოხსენების ავტორები. გრაფმა ვორონცოვმა გამოაცხადა, რომ თავის აზრზე რჩება, და ვერ ხედავს ვერავითარ საფუძველს, შეიცვალოს აზრი.



ზუსტად ასევე, ვიცე-კანცლერმა კოჩუბეიმ საბოლოო სიტყვაში გაიმეორა ის, რაც მოხსენებაში თქვა: რომ რუსეთი ველარ შეძლებს განავრცოს თავისი საზღვრები, რომელთა დაცვას ისედაც გაჭირვებით აუდის. შემდეგ, იგი ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს შემოერთების უსამართლობას მემკვიდრეობითი მონარქიის საწყისების თვალსაზრისით; – ხოლო საქართველოში მეფეები მართავენ სწორედ მემკვიდრეობით, და არა არჩევით; რახან დინასტიის წარმომადგენლები არათუ არ ამბობენ უარს თავიანთ უფლებებზე, არამედ მტკიცედ მოითხოვენ მათ დაცვას (თუ რა ფაზისში შევიდა რუსეთის ურთიერთობა ძველ ქართულ დინასტიასთან, ნათლად ჩანს გრაფ მუსინ-პუშკინისა და ვახტანგ ბატონიშვილის შემდეგი დიალოგიდან. კითხვაზე, ხომ არ ნანობენ უფლისწული და დედამისი, ქართლის გვირგვინმა ბაგრატიონთა სახლი რომ დატოვა, ვახტანგმა ერთხანს იფიქრა, მერე კი მტკიცე ხმით უპასუხა: „არ შემიძლია! ვნანობთ და ძალიანადაც ვნანობთ! ღირსნი ვიქნებოდით, უგუნურებად შევერაცხეთ, ასეთ სინანულს რომ არ განვიცდიდეთო“. „განა არა ხართ ღირსნი, უთხრა გრაფმა, რაკი ვერ გაითვალისწინეთ, რომ თქვენი სახლის გაუთავებელი შუღლისა და მოთარეშე ავაზაკების და თავაშვებულ აზიელთა ჯარების (აქ ლეკებსა და სპარსელებზე გადაუკრაძ შეიარაღების გამო წინ ვერ დაუდგებით რუსეთის იმპერიის ძლიერებას და ჯარებს, რომელთა წინაშეც არაერთგზის ძრწოდა მთელი ევროპა?“ გრ. მუსინ-პუშკინის წერილიდან დ. ტროშჩინსკისადმი. Акты, I გვ. 095, № 502ძ, მაშინ საქართველოს შემოერთება იქნებოდა „ძალადობა მათი სამკვიდრო უფლებისადმი, საქართველოს მიმართ ჩადენილი“. ამიტომ, გრაფის წინადადებაა, დაუტოვონ საქართველოს ვასალური მდგომარეობა, როგორც ჰქონდა ეკატერინე II-ს დროს; მფარველობის ამოცანებსა და რუსეთის ინტერესებს უზრუნველყოფენ ჯარები და უმაღლესი კარის რწმუნებული მოციქული, რომელიც არ დააკლებს მეცადინეობას იმ საქმეს, რომ მშვიდობა და მყუდროება სუფევდეს სამეფო გვარის წევრებს შორის.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-230.**

**⊙ კანონი და ჩვენ**

*ყველა ხედავს, ბოლო პერიოდში პარლამენტი ისე გამეცადინდა კანონებში ცხელ-ცხელი ცვლილებების შეტანით, რომ დამუხრუჭება (მით უფრო თოვლიან ზამთარში), რაღა დაგიმალოთ და, ძალიან უჭირს. რა ვუყოთ, რომ ყოველი ასეთი ცვლილება მოქალაქეებს მორიგ გატყავებად უჯდებათ, სამაგიეროდ ბიუჯეტში შემოსავლები ერთიორად იზრდება და შესაბამისად ჩინოვნიკთა ჯიბეებიც იმავე მოქალაქეთა ხარჯზე კიდევ უფრო მძიმდება. ამის დასტურია უკვე გამზადებული ცვლილებები, რომლის შეტანასაც აპირებენ კანონში „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის შესახებ". პროექტის მიხედვით, უძრავი ქონების დასარეგისტრირებელად ისეთი დრაკონული ფასები წესდება, რომ მისი გადახდა არა თუ ფიზიკურ პირებს, მეწარმეებსაც ძლიერ გაუჭირდებათ. ამას ვერ უარყოფს ეკონომიკის ექსპერტი, ბიზნესის ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე ანზორ ბაბუხადია, რომელსაც მოსალოდნელ „სიახლესთან" დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ.*

**— იდან სესხად აიღო, რას ხმარდება? როგორც ვიცი, კრედიტის მიზანი იყო ქვეყანაში უძრავი ქონების სამართლებრივი უსაფრთხოებისა და მდგრადი გამოყენების პირობების გაუმჯობესება, კადასტრისა და საჯარო რეესტრის სისტემის ჩამოყალიბება, მიწის ნაკვეთების შენობებისა და ბინების რეგისტრაცია. თუ ეს სიმართლეა, ვერ გამიგია, რაღა საჭიროა მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოების მოთხოვნა?**

— მართალი ბრძანდებით, ბატონო ოთარ, მაგრამ ჩვენებური ჩინოვნიკების ჩარჩოების ამბავი ხომ მოგეხსენებათ — არც ერთი ქალაქისა და რაიონის სარეგისტრაციო სამსახური არ მიიღებს დოკუმენტებს, თუ მას არ ახლავს მიწის აზომვითი ნახაზი და ელექტრონული ვერსია.

ბების შეტანით კვლავ იზრდება უძრავი ქონების სარეგისტრაციო მომსახურების საფასური. მოქმედებაში შემოდის 2006 წელს გაუქმებული მომსახურების წესი და თუ ის მაშინ 150 ლარი ღირდა, ახლა 200 ლარი ეღირება, მოძრავ ქონებაზე უფლების, მასში ცვლილებების შეტანისა და შეწყვეტის რეგისტრაცია — 200 ლარი, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია (10 სამუშაო დღეში) — 300 ლარი და ა. შ.

ოხრა, — გარედან ვითომ კარგად გამოიყურებიან, შიგნით შეხვალ და გაგაწბილებენ. ლიფტი არ მუშაობდა და ამ ხნის ქალს ფეხით მომიწია ასვლა მეხუთე სართულზე. მარტო განცხადება რომ ჩამებარებინა, რიგში ორჯერ ჩავდექი. როგორც იქნა საჭირო მაგიდამდე მივაღწიე და განცხადება და ფულის გადახდის ქვითარი დავტოვე. პასუხის მისაღებად ერთი კვირის თავზე დამიბარეს. დათქმულ დროზე გამოვცხადდი, მაგრამ მოქალაქის მოწმობა თან

# ვის ხარჯზე მდიდრდებიან ჩინოვნიკები?



## საჯარო რეესტრის მძღოლის ხელფასი აკადემიკოსისას აღემატება!

— ვიდრე ცვლილებებზე რამეს ვიტყოდე, მინდა ორიოდე სიტყვით საჯარო რეესტრის მიერ გაწეული მომსახურეებისთვის მოქმედი კანონით გათვალისწინებულ ფასებზე მოგახსენოთ. 2006 წლამდე, ანუ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალი თავმჯდომარის მოსვლამდე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაცია 36 ლარი ღირდა. ამ საფასურში შედიოდა სახლთან ერთად სარდაფის, სხვენის, ავტოფარეხის რეგისტრაცია, ცნობა-დახასიათებისა და საკადასტრო რუკის გაცემა. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე შესაბამისი მომსახურება უფასო იყო. ახლა არასასოფლო-სამეურნეო მიწისა და მასზე განთავსებული სახლის რეგისტრაცია გახდა 50 ლარი. თუ ბინასთან ერთად სარდაფის, ავტოფარეხისა და სხვენის რეგისტრაციასაც მოისურვებთ, თითოეულზე 50 ლარის გადახდა მოგიწევთ. ადრე თუ ერთ უძრავ ქონებაზე რამდენიმე მესაკუთრის არსებობის შემთხვევაში რეგისტრაცია წარმოებდა ერთი ქვითრით (50 ლარი), ამჟამად საჭიროა იმდენი ქვითარი და იმდენი 50 ლარი, რამდენი მეწილე მესაკუთრეც ჰყავს აღნიშნულ ქონებას. სოფლად თუ გლეხს მიწის ფართობი აქვს 5 ნაკვეთად (დასავლეთ საქართველოში ასეთი ფაქტები უამრავია), მას დარეგისტრირებაში მოუწევს 285 ლარის გადახდა (ადრე კი უფასო იყო). ამას ემატება მიწის ნაკვეთისა და სახლის აზომვითი სამუშაოების ღირებულება, რაც არც თუ იაფია. ერთი კვ. მეტრი მიწის აზომვა, მაგალითად, 10 თეთრი ღირს, სახლისა — 1 ლარი, საკადასტრო რუკის აღება — 10 ლარი, სარეგისტრაციო არქივიდან ცნობა-დახასიათების გაცემა — 5 ლარი, გეგმის აღება — 5 ლარი. ადრე ეს ყველაფერი უფასო იყო.

**— აბა როგორ გინდათ, ბატონო ანზორ, ბოლო წლებში, ქვეყანაში განხორციელებული ეფექტური ეკონომიკური რეფორმების წყალობით, ხალხი ნამეტანი გამდიდრდა და ჯიბე ცოტათი მაინც ხომ უნდა შეუმსუბუქონ?**

— ხალხის გამდიდრებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ მათ ხარჯზე ჩინოვნიკები რომ მდიდრდებიან, ამას კი ველარავინ უარყოფს. ამას წინათ სასტუმრო „მეტეხი-პალასში" გამართულ შეხვედრაზე საჯარო რეესტრის თავმჯდომარემ წაიტრაბახა: ნახეთ რა მაგრები ვართ, სააგენტოს ბიუჯეტი 9 მილიონიდან 21 მილიონამდე გავზარდეთო. იმის თქმა კი რატომღაც დაავიწყდა, რომ ბიუჯეტი მათი კარგი მუშაობით კი არა, მოქალაქეთა მორიგი გატყავების ხარჯზე გაიზარდა (!). ახლა ჭორად დადის (არა მგონია ჭორი იყოს), საჯარო რეესტრის თავმჯდომარის მძღოლს ისეთი ხელფასი აქვს (პრემია-ბონუსების ჩათვლით), აკადემიკოსსაც შეშურდებაო.

**— ეგ აღარ მიკვირს, მაგრამ ის კი მაინტერესებს, 50 მილიონი ევრო, რომელიც საქართველომ გერმანი-**

ნოვნიკების ჩარჩოების ამბავი ხომ მოგეხსენებათ — არც ერთი ქალაქისა და რაიონის სარეგისტრაციო სამსახური არ მიიღებს დოკუმენტებს, თუ მას არ ახლავს მიწის აზომვითი ნახაზი და ელექტრონული ვერსია.

**— გამოდის, რომ 50 მილიონი ევრო წყალში გადავყარეთ, ის მილიონები, რომელიც ჩვენმა შვილებმა უნდა გაისტუმრონ?**

— ასეა, ნამდვილად წყალში გადავყარეთ. თუმცა ვერ ვიტყვი, ეს ერთადერთი შემთხვევა იყოს, რომელიც მთავრობის თავქარიანობას მოჰყვა.

**— ჰო, რა თქმა უნდა, მთავრობა ამ სენისგან არასოდეს ყოფილა დაზღვეული. თუმცა ალბათ, უმჯობესია, დავუბრუნდეთ კანონში შესატან ცვლილებას. საინტერესოა, კიდევ ხომ არ აპირებენ, უძრავი ქონების რეგისტრაციის საფასურის გაზრდას?**

— ზუსტად ასეა. იქით მსოფლიო კრიზისმა, აქეთ კიდევ ომის შედეგებმა ბაზარი საკმაოდ გააძვირა, ცალკე ინფლაცია მოგვეძალა და ჩინოვნიკობამაც, რომ არ დაზარალდეს, ბუნებრივია, შემოსავლების ახალი წყარო გამოძებნა. სამწუხაროდ, კანონში ცვლილე-

**— ბატონო ანზორ, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს ვინმე გავლენიანი მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელე ლობირებს და მისი წყალობით რაც მოესურვება, იმას აკეთებს. თქვენ რა კომენტარს გაუკეთებდით?**

— მეც ასევე ვფიქრობ, რა თქმა უნდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ახალმა თავმჯდომარემ საჯარო რეესტრში მოსვლისთანავე სამსახურიდან თითქმის ყველა თანამშრომელი უცერემონიოდ დაითხოვა. ადრე აქ მუშაკებს კონკურსის წესით იღებდნენ, ახლა კი იუსტიციის სამინისტრომ ეს წესი რატომღაც გააუქმა და სააგენტოს თავმჯდომარეს მათი ბედის ერთპიროვნულად გადაწყვეტის უფლება მისცა. რატომ? დასკვნის გაკეთება თქვენთვის და მკითხველისთვის მომინდვია.

მე, ყოველ შემთხვევაში, დასკვნა ზერელე რომ არ გამომსვლოდა, საჯარო რეესტრიდან გამოსულ ერთ ხანდაზმულ ქალბატონს გამოველაპარაკე.

**— კმაყოფილი ხართ მომსახურებით?**

— იჰ, აბა რა გითხრათ, — ამოი-

არ მქონდა და საერთოდ არავინ დამელაპარაკა. ნუთუ ასეთი ძნელია, რომ განცხადების დატოვება მაინც შეიძლებოდეს სადმე პირველ სართულზე?

დაქანცული ჩანდა პენსიონერი ვახტანგ ღუდუშაურიც, რომელსაც საჯარო რეესტრის სამისამართო ბიუროსთან (აკ. წერეთლის გამზ. №8) შევხვდი.

— გლდანის მასივიდან ორჯერ მომიწია ამ სიშორეზე გამოსვლამ, — შემომჩივლა ბერიკაცმა, — იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამხელა დედაქალაქში საცხოვრებელი ადგილის შესახებ ცნობას მხოლოდ აქ იძლევიან. პირველ მოსვლაზე მოქალაქის მოწმობა დამრჩა სახლში და განცხადება არ დაიტოვეს. ახლა კი მითხრეს, რომ იმ მოწმობის ქსეროასლია საჭირო და იმის ასაღებად ახლომახლო ქუჩებში მთელი საათი ვიბოდიალე. ცნობა? არა, არ მოუციათ, ერთი კვირის შემდეგ დამიბარეს. რა ვიცი, თუ კიდევ რამე არ გამომიძებნეს?!

ამ ფაქტების თაობაზე, რა თქმა უნდა, კომენტარი ანზორ ბაბუხადიასთვის აღარ მითხოვია.

**ოთარ ხუციშვილი.**

**⊙ ხედვა**

# „ალასანიას ჩამოსვლა, შესაძლოა ბენდუქიძის დაპატიმრებით გადაფარონ"

(მესამე გვერდიდან)

**— თქვენ, მემარჯვენეებმა და რესპუბლიკელებმა გაერთიანებული ოპოზიციიდან გამოსვლისთანავე საერთო ენა გამონახეთ. როგორ მოახერხეთ ეს, რა გქონდათ საერთო, გარდა იმისა, რომ თქვენი პოლიტიკური ხედვა ზოგი საკითხის გარშემო ერთმანეთს ემთხვევა?**

— ჩვენ მივხვდით, რომ დამოუკიდებლად არც ერთ პარტიას არ ყოფნიდა ძალა ხელისუფლების ალტერნატიული პოლიტიკური ძალის წარმოსაჩენად და ჩავთვალეთ, რომ პოლიტიკური ალიანსის შექმნა წინასაარჩევნოდ არ არის ეფექტიანი... შესაბამისად, ხანგრძლივი კონსულტაციებისა და პოზიციათა შეჯერების შედეგად მივაღწიეთ გარკვეულ შეთანხმებას და ერთობლივ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბებას...

**— სხვა პარტიებთანაც ხომ არ აპირებთ თანამშრომლობას?**

— არამარტო პარტიებთან, კონსულტაციებს ვმართავთ კონკრეტულ პიროვნებებთანაც. მათ შორის ირაკლი ალასანიასა და სოზარ სუბართან, თუმცა დეტალებზე ამ ეტაპზე არ ვისაუბრებ.

**— ზემოთ თქვენ ხელისუფლების ალტერნატივა ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, ვინ არის დღესდღეობით ყველაზე რეალური კანდიდატი?..**

— როცა ალტერნატივაზე ვსაუბრობთ, არ ვგულისხმობთ მხოლოდ ერთ პიროვნებას ან ერთ თანამდებობას, ამ შემთხვევაში საუბარია ხელისუფლების კომპლექსურ ალტერნატივაზე. ჩვენ, რესპუბლიკელებსა და მემარჯვენეებს, რა თქმა უნდა, გვყავს ჩვენი ალტერნატივა, მაგრამ ამ ეტაპზე ამაზე დეტალურად არ ვსაუბრობთ. იანვრის ბოლოს, როცა ჩვენი კოალიცია საბოლოოდ ჩამოყალიბდება, ოფიციალური განცხადებებიც მაშინ გაკეთდება...

**— ზოგი თქვენი თანაგუნდელი ვარაუდობს, რომ 2009 წლის ბოლომდე ხელისუფლება შეიცვლება. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა ვადებშია ეს მოსალოდნელი?**

— მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლება 2009 წლის პირველ ნახევარში შეიცვლება. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ამჟამად მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და ის უარყოფითი დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი, რაც დღესდღეობით საზოგადოებაშია...

**— გასაგებია, მაგრამ ანტისახელისუფლებო განწყობა საზოგადოებაში შევარდნაძის დროს თორმეტი წელი იყო...**

— გეთანხმებით, მაგრამ მაშინ შევარდნაძის ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება ქვეყნის შიგნით და გარეთ ერთმანეთს არ ემთხვეოდა, დასავლეთი მიიჩნევდა, რომ მას ჯერ კიდევ შეეძლო ქვეყნის სათავეში ყოფნა, რასაც ვერ ვიტყვით სააკაშვილზე...

ხელისუფლების შეცვლის პროცესი უფრო აქტიურად დაიწყება მას შემდეგ, რაც ბუში და კონდოლიზა რაისი თეთრ სახლს ოფიციალურად დატოვებენ. ობამას ადმინისტრაციის პირობებში არჩევნებს უფრო მალე მივაღწევთ...

**— ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ არჩევნებისთვის საჭირო თანხის გამოყოფა ბიუჯეტს დააზარალებს...**

— ეს განცხადება გააკეთა სააკაშვილმა, გააკეთა ბაქრაძემ და მერე სხვებმაც გაიმეორეს. კერძოდ ითქვა, რომ არჩევნების ჩატარებას მილიარდ ნახევარი ლარი ჭირდება, რაც არათუ სასაცილოა, მაპატიეთ და წარმოუდგენელი სისულელეა. აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ლარებში რომ გადავიყვანოთ შვიდასი მილიონი ლარი დაჯდა და ვინ უნდა დაგვარწმუნოს იმაში, რომ ხუთმილიონიან ქვეყანაში იგივე პროცედურას ორჯერ მეტი თანხა ჭირდება?!.

ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ხალხის დაშოკვას, ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, რომ არჩევნები საჭირო არ არის. ამისთვის რას არ აკეთებენ, რას არ იგონებენ?!. ადრე თუ იმას იძახოდნენ, არჩევნებმა მინიმალური ხარჯებით ჩაიარაო, ახლა საპირისპიროს ამტკიცებენ, სულ იმას ქადაგებენ, ბიუჯეტი შეგვიმცირდა და ზედმეტი ხარჯები მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებსო. ერთი სიტყვით ცოცხალი თავით წასვლა არ უნდათ, იმდენად გაუტკბათ სახელისუფლებო სავარძელი, მაგრამ მათი დღეები მაინც დათვლილია, საზოგადოებამ იცის, სად რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს და ამას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება.

**ჯაბა ჟვანია**

ღია ბარათი

# საქართველოს სულიერი სიმტკიცის გაძლიერებისთვის...

## მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ქართველთა სულიერ მამას ილია მეორეს

**უწმინდესო და უნეტარესო!**

მაპატიეთ, რომ საქართველოსთვის ამ ძნელბედობის და დიდი გამოცდის ჟამს გაწუხებთ ულირსი მონა ღვთისა, მართლმადიდებელი ქრისტიანი, დღევანდელი საზოგადოებისთვის და ვაი რომ უფრო მეტიც – ქვეყნისთვის და სამშობლოსთვის პრაქტიკულად უფუნქციოდ დარჩენილი მოქალაქე, შეიარაღებული ძალების, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტების მონაწილე და ვეტერანი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი – ბესიკ შურღაია, რომელიც თავისი ოჯახის წევრებთან ერთად მუდამდღე ლოცულობს საქართველოს გადარჩენისთვის, თქვენთვის და ოჯახის სულიერი მოძღვრის, ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის დეკანოზის მამა ელიზბარისთვის.

მადლობა უფალს, რომ ისმინა უბრალო მოკვდავთა, მართლმადიდებელ ქრისტიანთა ყოველდღიური ლოცვა და დასტაქრების დახმარებით მშვიდობით დაგაბრუნათ დედაეკლესიის წიაღში.

უმორჩილესად გთხოვთ, ხიბლში და კადნიერებაში არ ჩამითვალოთ, რომ ამ ბარათს თან ვაახლებ ჩემი სტატია-მიმართვის დედანსა და მის შემოკლებულ საგაზეთო ვარიანტს (რომელიც ა/წ 21 ნოემბრის „საქართველოს რესპუბლიკის“ №219-ში გამოქვეყნდა), იმდენად, რამდენადაც არა ვარ დარწმუნებული, რომ იმ დღეებში შესძლებდით მის გაცნობას. აქვე დავძენ, რომ ჩემთვის დღემდე გაუგებარია, თუ რატომ არ მომეცა შესაძლებლობა მე, რიგით „არაცნობად“ ქრისტიანს, მიმემართა საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობისადმი ტელემაუწყებლობა „ივერიის“ მეშვეობით. დავამატებ იმასაც, რომ ერთმა-ორმა სხვა „თავისუფალმა“ პერიოდულმა გამოცემამაც შეიკავა თავი. ნუთუ ***(მიუხედავად, ხაზს ვუსვამ, მოქალაქეობრივი და ქრისტიანული ეთიკის ნორმების დაცვისა)*** მისი შინაარსის და არასტანდარტული ფორმის გამო?! არ დაგიმალავთ, რომ ეს ბარათი პირველი არ არის ჩემს ცხოვრებაში, რომლის ადრესატიც თქვენ ბრძანდებით.

თითქმის 20 წლის წინათ, 9 აპრილის შემდეგ, როგორც იტყვიან ცხელ გულზე, მაგრამ სავსებით შეგნებულად ქართულ და რუსულ ენებზე 1989 წლის 20 აპრილს გაზეთებში – „ახალგაზრდა კომუნისტსა“ და „Молодежь Грузии“ – გამოვაქვეყნე ღია წერილი-მიმართვა პირადად



თქვენდამი (ვბედავ და მათ ქსეროასლებსაც გიგზავნითძ, რომელმაც დიდი რეზონანსი ჰპოვა არა მარტო საქართველოში. მაგრამ პირადად ჩემთვის ყველაზე ძვირფასი იყო თქვენი გამოხმაურება საპატრიარქოს ერთ-ერთი თანამშრომლის, მე მგონი ქ-ნ შორენას სატელეფონო ზარის მეშვეობით, რომლითაც თქვენ მთხოვდით შემეწყვიტა შიმშილობა, რაზეც ინფორმირებული ბრძანდებოდით პრესით და ტელევიზიით. წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება და სიხარული, როდესაც ჩავწვდი, თუ რას ნიშნავდა ჩემთვის თქვენი მამაშვილური თხოვნა შიმშილობის შეწყვეტის შესახებ. ეჰ, ნეტა 9 აპრილის იმ ავბედით დილას დაგვეჯერებინა იქ, მოედანზე მყოფთ თქენთვის, მაგრამ მაშინ ეს, თქვენთვის, რა თქმა უნდა, გასაგები სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზის გამო განუხორციელებელი იყო.

უწმინდესო და უნეტარესო! ახლა კი ძალიან მოკლედ იმის შესახებ, თუ რამ ამაღებინა ხელში კალამი და კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გამაბედინა თქვენი შეწუხება. ამიტომ შევეცდები ძალიან მოკლედ დავასაბუთო ჩემი ეს ნაბიჯი. მით უმეტეს, არავითარ შემთხვევაში არ მინდა, რომ მავანმა ეს შეაფასოს ჩემ მიერ სახელმწიფოს და ეკლესიის ფუნქციების არევად, თუმცა აქვე შევნიშნავდი, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, არ იქნებოდა ურიგო, თუ სახელმწიფო თავისი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სხვა სახელისუფლებო შტოებით, შეისწავლიდა მართლმადიდებლობის ისტორიას, ყურს დაუგდებდა ეკლესიას, პირადად თქვენ, ჩვენს სულიერ მამებს და მოგბაძავდნენ განსჯის სიდინჯე-დარბაისლობაში, სულიერებაში, უფლისა და ურთიერთსიყვარულში და თავის ეკლესიურობას გამოხატავდნენ არა მარტო ტაძრებში სანთლის ანთებითა და პირჯვრის გადაწერა-გამოსახვით.

არ მინდა, რომ ვისარგებლო თქვენი ძვირფასი დროით და ამდენად ბოლომდე, ვერ ვიტყვი ჩემს სათქმელს. მე ისიც არ ვიცი, წაიკითხავთ თუ არა ამ წერილს და მოგვეცემა თუ არა ბედნიერება მე და ჩემს გოგონას თეას ოდესმე საშუალება თქენთან პირისპირ შეხვედრისა. **ამდენად, წინასწარ გილოცავთ აღსაყდრების ოცდამეთერთმეტე და დაბადებიდან 76-ე წლისთავს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას საქართველოს სულიერი ძლიერებისათვის.** ამიტომ გავიმეორებ ჩემ მიერ (არ მინდა მისი ავტორობა დავიჩემოძ არაერთგზის ნათქვამ ფრაზას, რომლითაც მასმედიის ბეჭდვითი თუ ელექტრონული საშუალებებით მიმართავს საზოგადოებისათვის: **„მე, ბესო შურღაიას არც „პოზიცია“ და არც „ოპოზიცია“ არ მიღირს დაღვრილი ქართული სისხლის თუნდაც ერთ წვეთადაც კი!!!“**

როგორც მოგახსენეთ, ეს წერილი დიდი ხნის დაწერილი მქონდა და ვჭოჭმანობდი, შემეწუხებინეთ თუ არა. მაგრამ „კვირის პალიტრის“ ა/წ №48 (748ძ-ში გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ კოდორში მოღვაწე მამათა მონასტრის ბერთან, მამა გიორგისთან კიდევ უფრო განმამტკიცა ჩემს გადაწყვეტილებაში თქვენთან ამ ბარათის გამოგზავნის და იმავე „კვირის პალიტრის“ მეშვეობით გამოქვეყნების სურვილში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პირადად ვიცნობ ამ პუბლიკაციაში ნახსენებ მამებსა და დედებს, რისი საშუალებაც მომეცა 2006-07 წწ. შემოდგომა-ზამთარში, როდესაც სხვა თანამოაზრე-კოლეგებთან ერთად ვმუშაობდი ხეობაში აჭარის საუბნო საავადმყოფოში. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ლოცვა-კურთხევით ისინი **როგორც აქამდე არ იშურებდნენ, ასევე კვლავაც არ დაიშურებენ სულიერ და ფიზიკურ ძალ-ღონეს, საკუთარ სიცოცხლესაც კი, საქართველოს სულიერი სიმტკიცის გაძლიერებისათვის.** ამ მიმართებით მე, როგორც პროფესიონალ ნეიროქირურგს (ნევროლოგსძ და ექსტრემალურ პირობებში მომუშავე საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე ექიმს, საკუთარი მოსაზრებებიც მაქვს, რომელთა შესახებ ბედნიერი ვიქნებოდი პირადად მომეხსენებინა თქვენთვის, არ გამოვრიცხავ, ხელისუფლებისათვის და თუნდაც პრეზიდენტისათვის, რის მცდელობაც არაერთგზის მქონია, ანუ მე კვლავ მზად ვარ, წავიდე ხეობაში და რამდენსაც საჭიროება მოითხოვს, იმდენი ხანი ვილოცო მამებთან და დედებთან ერთად ჩვენი სამშობლოსათვის და, რაც მთავარია, ვიმუშაო არა მარტო იქ დარჩენილი მოსახლეობისათვის, არამედ ნებისმიერ იქ მყოფი ადამიანისათვის, მიუხედავად მისი ეროვნებისა. ამდენად, თავს უფლებას ვაძლევ, ვთხოვო რედაქციას, რომ ამ წერილის ელექტრონული ვარიანტი გამოაქვეყნოს თავის ვებგვერდზე, რათა შესაძლებლობა მიეცეს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას გაეცნოს მას და შესაბამისი რეაგირებაც მოახდინოს.

ამაში ვხედავ ე.წ. „სახალხო დიპლომატიის“ ერთ-ერთ მიმართულებას, რაშიც როგორც თქვენ, უწმინდესო, ასევე საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო, ჩვენი მეგობარი თუ არამეგობარი სახელმწიფოების ხელისუფლებები დარწმუნდებიან, თუ გადახედავენ ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩემს არაერთგზის მიმართვას მათ მიმართ.



პატივისცემით

ბესიკ შურღაია.

2.12.08 წ.

ქ. თბილისი.

არის ასეთი წინადადება

# თბილისის აეროპორტს – რუსთაველის სახელი

***აეროპორტი ნებისმიერი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძი, ფაქტობრივად მისი საჰაერო კარიბჭე და „სავიზიტო ბარათია“. ამიტომაცაა, რომ ბევრ ქვეყანაში გამოჩენილი პირების, მსოფლიოში სახელგანთქმული პოლიტიკური, სახელმწიფო მოღვაწეების, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლების უკვდასაყოფად აეროპორტებს ასეთ პირთა სახელებს არქმევენ ხოლმე – ყველაზე ხშირად მათი გარდაცვალებიდან მალევე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – მათსავე სიცოცხლეში (რონალდ რეიგანის სახელი ვაშინგტონის ეროვნულ აეროპორტს და ლეხ ვალენსას სახელი გდანსკის აეროპორტს ამ პოლიტიკურ მოღვაწეთა სიცოცხლეშივე მიენიჭათ). ზოგიც „სააეროპორტო აღიარებას“ საუკუნეების შემდეგ ღებულობს (მაგალითად, მარკო პოლოს სახელობის აეროპორტი ვენეციაში).***

ამ მხრივ საქართველოს დედაქალაქის საჰაერო კარიბჭის სახელწოდება „ორმაგადაა დაზარალებული“. – ის, ერთის მხრივ, არავის სახელობის არაა, მეორეს მხრივ კი, მას „ირიბ დამატებასავით“ ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი, გაუთვითცნობიერებული მნახველის, მკითხველისა თუ მგზავრისათვის აბსოლუტურად არასწორი ორიენტაციის მიმცემი სახელწოდება „ნოვოალექსეევკა“(?!) ჰქვია. საერთაშორისო საფრენოსნო კატალოგებში ჩვენი დედაქალაქის საჰაერო კარიბჭე სწორედ ამ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი დასახლებული პუნქტის სახელწოდებითაა მოხსენიებული: „**თბილისი-ნოვოალექსეევკა**“. თავად „უბრალოდ **ალექსეევკა**“ სად არის და რას ჰქვია, ამაზე, ზოგადად, ენციკლოპედიური ცნობარებიც კი დუმან, თუმცა ამ ტიპის სახელწოდებების მქონე დასახლებების სიმრავლე რუსეთის ყოფილ იმპერიაში (ალექსეევკა, მიხაილოვკა, ნიკოლაევკა...) ძნელად საცნობადს არ უნდა ხდიდეს მათი წარმომავლობის რეალურ საფუძველს. რამე ისტორიული და შემეცნებითი დატვირთვის მატარებელი მაინც რომ იყოს ეს სახელი, როგორც მაგალითად, ამერიკული ნიუ იორკისა და ახალი ორლეანისათვის აღმოჩნდა ბრიტანული იორკი და ფრანგული ორლეანი, ამას არა თუ იგუებდა, მოიწონებდა კაცი... მაგრამ საამისო რომ არაფერი „სცხია“ ამ სახელწოდებას?!

სადაცაა საქართველო დამოუკიდებლობის ორ ათეულ წელს იზეიმებს. ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში შეიცვალა არა მარტო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობა და კონსტიტუცია, არამედ გერბიც, ჰიმნიც და ფულის ნიშნებიც (ლიდერებსა და კერპებზე საერთოდ არ ვლაპარაკობძ. ქვეყნისა და კერძოდ, დედაქალაქის ამ მართლა და სტრატეგიული გარეუბნის იმპერიულ წარსულთან ჭიპლარივით დაკავშირებული სახელის შეცვლას კი საშველი არ დაადგა.

დავიჯერო, ჩვენს ევროორიენტაციის მქონე პოლიტიკოსებს მაინც, მათ შორის ისეთებსაც, პუშკინის ხსენებაზე „ბალანი რომ ეშლებათ“ და რუსული პოეზიის სიამაყის სახელის განდევნას ცდილობენ ჩვენი დედაქალაქის ცენტრში მდებარე ერთი სკვერიდან, დისკომფორტს არ უქმნით ჩვენი აეროპორტის სახელწოდებაში ასეთი ისტორიულ-ესთეტურად ანაქრონისტული და ამორტიზებული სახელწოდება?!

ამასთანავე, ვფიქრობ, დადგა დრო, თბილისის აეროპორტს ეწოდოს რომელიმე დიდი ქართველის სახელი. რადგანაც ეს აეროპორტია, მისი სახელის მეშვეობით დანარჩენი მსოფლიოს ყველა კუთხის წარმომადგენლებმა ქართველი ერის შესახებ უნდა მიიღონ რაც შეიძლება სწორი, კონცენტრირებული გზავნილი, კოდირებული ინფორმაცია. ეს სახელწოდება მათთვის მაქსიმალურად გასაგები და ქართველი ერის საუკეთესო თვისებებისა და წარმატებების, ნიჭისა და ტალანტის მატარებელი უნდა იყოს.

ამ მხრივ, ვისი სახელი შეიძლება ეწოდოს თბილისის აეროპორტს?

ბევრი ჩვენი თანამემამულისათვის სანიმუშო და სამაგალითო ქართველი დავით აღმაშენებელია; ეს „პირველი არხით“ წარმოებული **ბი-ბი-სი**-ს ანალოგიურ პროექტ „დიდი ქართველების“ მიმდინარე რეიტინგული გამოკითხვითაც დასტურდება. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ტერიტორიებშემოგლეჯილ, ბოლო წლებში რამდენჯერმე დამარცხებულ ქვეყანას შინაგანად გამძაფრებული აქვს მოთხოვნილება ისეთ წინამძღოლზე, რომელთანაც ასოცირებული იქნება ეროვნული კონსოლიდაცია, გამარჯვება, წინსვლა, აღმშენებლობა...

მაგრამ დავითს, რომ იტყვიან, „ხმალი ხელიდან არ გაუშვია“... მის ცხოვრებასა და ღვაწლს წმინდა ქართულ-სახელმწიფოებრივი დატვირთვა და სახელი აქვს. უცხოელთათვის მებრძოლი მეფე საინტერესოა, მაგრამ არა „ჩვენებურად“ აღმაფრთოვანებელი და მოწიწებითი. უცხოელთა თვალში მებრძოლი მეფის (თუნდაც „აღმაშენებელის“ საერო ტიტულით შემკულისაძ, სახელის გამოტანა აეროპორტის სახელწოდებაში მათთვის გარკვეული მინიშნებებისა და მისი მემკვიდრეების განწყობისა და პრეტენზიების ლატენტური ხაზგასმის აღმნიშვნელი იქნებოდა.

დღევანდელ მსოფლიოს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების მატარებელი იდეები და თვისებები ხიბლავს. ასეთი კი ქართული მწერლობის, პოეზიის მწვერვალი, სიამაყე **რუსთაველია**. სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში მყოფ ქვეყანას, სამოქალაქო დაპირისპირებასა და კონფლიქტებში გახვეულ საზოგადოებას, ვერ ვიტყვი, რომ „მიავიწყდა“ რუსთაველი, თუმცა მას ყოველდღიურობაში აშკარად აკლია სიყვარულის, რაინდობის, მეგობრობის, ჰუმანიზმის ის იდეები, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ წითელ ზოლად გასდევს. ამიტომაც ვფიქრობ, უპრიანი იქნებოდა, **თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ერქვას სწორედ რუსთაველის სახელი,** რომელიც შინაურსა და გარეულს, მტერსა და მოყვარეს შეახსენებდა, თუ რა იდეებისა და ფასეულობების ერთგული მატარებელია საქართველო.

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის რუსთაველის სახელის მინიჭებით ჩვენ არა მარტო პატივს მივაგებდით უდიდეს ქართველ პოეტს, არამედ საერთაშორისო მასშტაბით მძლავრ იმპულს მივცემდით მისი უკვდავი პოემის პოპულარიზაციის საქმეს. ეს იქნებოდა ქართველი ერის თავისებური გზავნილი-შეხსენება დანარჩენი მსოფლიოსთვის იმაზე, რომ საქართველომ სამყაროს „აჩუქა“ არა მარტო მსოფლიო მნიშვნელობის ავტორიტარები, არამედ უდიდესი ჰუმანისტი-პოეტი...**

ისე, სირცხვილი არ არის – ქვეყანას **რუსთაველი** ყავდეს და აეროპორტს ნოვოალექსეევკის სახელი ერქვას?!..

**იოსებ არჩვაძე.**

2008 წლის დეკემბერი

**მოვუსმინოთ ყველას!**

***ქართველმა ხალხმა კარგად უწყის, რისთვის გავიწირეთ აფხაზეთელი ქართველობა. თავდაპირველად ხელისუფლება ჩაგვჩიჩინებდა — ცოტა ხანს გაიჭირვეთ, მალე მშობლიურ კუთხეში სწრაფად და ღირსეულად დაგაბრუნებთო. დრო გადიოდა, დაპირება კი დაპირებად რჩებოდა. ამასობაში ხელისუფლებამ ჯერ სიტყვა „სწრაფად" გადაივიწყა, შემდეგ — „ღირსეულად", თავს კი იმით იმართლებდა, რაკი თქვენს ღირსეულად დაბრუნებას ვაპირებთ, ამ საქმეში აჩქარება არ ეგებისო. ბოლოს კი ჩვენს დაბრუნებაზე საერთოდ აღარ ლაპარაკობდა. ხუთი წელიწადია „ვარდების ხელისუფლება" „გვაბრუნებს", მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერ დაგვაბრუნა. 2008 წლის აგვისტომ კი საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი დაბრუნებას საშველი არ დაადგება.***

# მაღალხელფასიანი კაცი, ანუ მოუცლელი აკიშბაია

## აფხაზეთიდან დევნილს მოთმინების ფიალა აევსო...






აფხაზეთელ დევნილთა უმრავლესობას შინ დაბრუნების იმედი კარგა ხანია გადაეწურა და აღარ სჯერა არც პრეზიდენტის ყალბი ღიმილით გაბრწყინებული სიცრუე და არც „ნაცმოძრაობის" ლიდერთა და სულისჩამდგმელთა უაზრო ბრახაბრუხი, რომელნიც შავს უტიფრად გვასაღებენ თეთრად, მარცხს — გამარჯვებად, მათთვის სანუკვარ სიზმარს — სინამდვილედ.

რუსთა აგრესიული შემოტევის შემდეგ საქართველოს კიდევ დაემატა რამდენიმე ათეული ათასი დევნილი. ამდენი დევნილის მოვლა-პატრონობა მხრებგაშლილი ქვეყანასაც გაუჭირდება და ამთავითვე ცხადია, რომ გაყიდულ, დაჩეხილ, წელში გაწყვეტილ საქართველოს საამისოდ არც შეძლება გააჩნია, არც ნება. და, რაღა თქმა უნდა, რომ მილიონების საშოვნელად მკლავებდაკაპიწებული მაღალჩინოსნები, რომლებიც, როგორც ახლა ამბობენ, ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშებით მოვიდნენ, ჯერ საკუთარი სტომაქების ამოსაყორავად ირჯებიან და მერმე, თუ რამე გადაურჩათ, ჩვენთვის გამოიმეტებენ.

გულახდილად გითხრათ, მწარედ იმედგაცრუებული გახლავართ, რადგან მეთექვსმეტე წელიწადია (1992 წლის 4 ოქტომბრიდანძ დევნილები ვართ და შემიძლია, ხატზე დავიფიცო, რომ ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს ერთხელაც არ მოსვლია აზრად, დაინტერესებულიყო, რით ვსულდგმულობთ მე და ჩემი მრავალსულიანი ოჯახი. არადა, უკვე ოთხმოცი წლისა ვარ. 1951 წელს დავამთავრე სოხუმის პედინსტიტუტი და გაგრის პირველ საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დავინიშნე. იმ დროიდან მოყოლებული მუდამ ჩემი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ვიყავი. „ვარდების რევოლუციამაც სამსახურში" მომისწრო და იმ ავბედითი რევოლუციის მეორე დღესვე გამომაძევეს ქუჩაში „ვარდოსნებმა". არც მანამდე და არც მას შემდეგ ჩემი ბედით არავინ დაინტერესებულა.

მყავს სამი შვილი, რვა შვილიშვილი და შვიდი შვილთაშვილი. „დაწყევლილი" კომუნისტების დროსაც კი ასეთი ოჯახის პატრონი კაცი ყურადღებისა და პატივისცემის ღირსად მიაჩნდათ. დღეს კი... 60 წლის შრომითი სტაჟის მქონე კაცს 80 ლარს მიხდიან თვეში პენსიის სახით. არადა, გულით ავადმყოფს ყოველთვიურად წამლის შესაძენადაც არ მყოფნის ეს თანხა. შვილებისა და შვილიშვილების მცდელობით გაჭირვებით ვართმევ თავს ამ პრობლემას.

„ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლება არ გეხმარებათ?" — ხშირად მეკითხებიან ხოლმე საქმეში ჩაუხედავი ნაცნობ-მეგობრები.

ადრე, სანამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ეკისრებოდა დევნილებზე ზრუნვა, ხოლო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ცხონებული თამაზ ნადარეიშვილი იყო, დევნილები გრძნობდნენ, რომ ღირსეული პატრონი ჰყავდათ. ბატონი თამაზი იყო ყურადღებიანი, დინჯი, გულითადი ადამიანი, ვისაც თითოეული დევნილის გასაჭირი საკუთრად მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ დევნილთა ძირითადი მასა კმაყოფილი ჰყავდა.

დღეს კი რა ხდება?

ვარდების რევოლუციის შემდეგ ლტოლვილთა ბედზე მზრუნველობა მიენდო მთავრობას. ერთი სიტყვით, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ჩამოაშორეს ლტოლვილებს, მაგრამ, სამწუხაროდ, „სისხლის ამ გადასხმამ" სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ლტოლვილები თანდათან ვრწმუნდებით რომ სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. საქმე ის გახლავთ, რომ მთავრობა იშვიათად თუ იცლის დევნილთა პრობლემებისადმი ყურადღების მისაქცევად, დევნილები და ხელისუფლება გაუცხოებულებივით ვართ ერთმანეთის მიმართ. რად ღირს თუნდაც ეს ფაქტი: აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ყაზბეგის ქუჩაზე ერთ შენობაშია განთავსებული. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია უმაღლეს საბჭოში დაუბრკოლებლივ შეაღწიოს და სასურველ პირს შეხვდეს. სულ სხვა ამბავია მეხუთე სართულზე განთავსებულ მინისტრთა საბჭოში, ანუ აკიშბაიას კანტორაში შეღწევა. ათასნაირად გაგჩხრეკენ და დიდი დავიდარაბის შემდეგ აგინთებენ მწვანე შუქს... ერთი სიტყვით, მინისტრთა საბჭო დაცვის გამორჩეულ ობიექტად არის გადაქცეული. მისი ხელმძღვანელობის უმაღლესი პირები კი დევნილებთან შეხვედრას რატომღაც გაურბიან, ყოველ შემთხვევაში ცდილობენ, დევნილები სათოფეზე არ მიიკარონ. ხანდახან ისიც კი გგონია, რომ ავიწყდებათ, ვისთვის არსებობენ ისინი. ვისგან იცავენ თავს, ან ვის გაურბიან „ლეგიტიმური" მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელები?! ნუთუ არ იციან, რომ, როცა დევნილები აღარ იარსებებენ ამ ქვეყანაში, ისინიც აღარვის არაფრად დასჭირდება და მათაც ისევე გამოაპანღურებენ მაღალი სართულებიდან, რიოგორც ჩვენა ვართ გამოპანღურებული.

თუმცა არა, მთლად ასეც არ არის საქმე:

ისინი „ტუზები" არიან, ე. წ. მაღალხელფასიანები და ჩვენსავით შიმშილი და სიღატაკე არ ელოდებათ.

მაგალითად, ბატონი მალხაზ აკიშბაია ავიღოთ. იგი ყოველწლიურად 43 652 ლარს იღებს ხელფასის სახით, ხოლო სამივლინებო ხარჯების დასაფარავად 13 183 ლარს იღებს. როცა ჩემსა და აკიშბაიას შორის (ან ნებისმიერ დევნილს შორისძ შემოსავლის მიხედვით ამოდენა განსხვავებაა, რაღა გასაკვირია, რომ კაცმა ზემოდან დაგვიწყოს ცქერა?!

აი, ასეთია ჭეშმარიტი სურათი მაღალჩინოსნისა და რიგითი დევნილის ყოფისა.

ერთი სიტყვით, დევნილები და დევნილი ხელისუფლება ცხოვრების კიბის სხვადასხვა საფეხურებზე ვდგავართ. და რომ ჭეშმარიტად ზემოდან დაგვცქერენ და არაფრად გვაგდებენ შემდეგი ფაქტიდანაც კარგად ჩანს: ამას წინათ დევნილთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, ბატონ მალხაზ აკიშბაიას შეხვედროდა. მიმდინარე წლის 10 ნოემბერს დაიწერა განცხადება, რომელსაც რამდენიმე ათეულმა დევნილმა მოაწერა ხელი. ითხოვდნენ, მალხაზ აკიშბაიას დევნილთა წარმომადგენლებისთვის მოესმინა.

ძვირფასო მკითხველო, თავს არ შეგაწყენთ იმ წინააღმდეგობის დეტალებისა და მასში მონაწილე სუბიექტების ვინაობის აღწერით, დევნილთა ამ სურვილს წინ რომ აღუდგა. ეს იყო მინისტრთა საბჭოს თითქმის მთელი აპარატი.

თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც დევნილებმა განცხადებით მიმართეს მ. აკიშბაიას. ნუთუ დიდად პატივცემულ მაღალჩინოსანს არ დააინტერესა, რამ შეაწუხა ამდენი დევნილი, რა პრობლემა გაუჩნდათ, სასწრაფოდ შეხვედრას რომ მთხოვენო.

მართალი გითხრათ, დევნილები ასეთ რეაქციას ბატონი მალხაზისგან ნამდვილად არ ველოდით.

ჩვენთვის გასაგები და სასიამოვნოა ის დიდი ყურადღება, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობამ და ჩვენმა ხელისუფლებამ გამოიჩინეს „ახალი", შიდა ქართლიდან დევნილებისადმი: უმალ დაიჭირეს თადარიგი მათთვის დროებითი საცხოვრებლის ასაშენებლად, საერთაშორისო საზოგადოებრიობამ კი მათი რეაბილიტაციისათვის უზარმაზარი თანხა გამოჰყო.

მაგრამ გულწრფელები არ ვიქნებით, თუ ისიც ხაზგასმით არ აღვნიშნეთ, და ჩვენი გულისტკივილი არ გამოვხატეთ: როცა სარეაბილიტაციო თანხის განაწილებაზე მიდგა საქმე, არავის, არც ქვეყნის და არც ჩვენი ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელთაგან არავის გავახსენდებივართ აფხაზეთიდან დევნილები. ასე გეგონება, ჩვენ უკვე „რეაბილიტირებულნი" ვართ, ხელისუფალთ უკვე ქერის ორმოში ვეგულებოდეთ. ჩვენც ხომ ყველაფერი დავკარგეთ, რაც გაგვაჩნდა, დაგვიწვეს და გაგვინადგურეს სიმწრით ნაშენები დიდებული სახლები, წაიღეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეძენილი უძრავ-მოძრავი ქონება.

რაო, ჩვენ აღარ გვჭირდება რეაბილიტაცია?!

ამ ბოლო ხანს დევნილებში მუსირებს აზრი, როგორც ჩანს, სხვისი იმედი არ გვარგია და საკუთარ თავს თვითონ უნდა ვუწამლოთო. არიან ისეთებიც, ვინც პირდაპირ აცხადებენ: „აფხაზებთან ჩვენ საუკუნეების განმავლობაში გვიცხოვრია, მაგრამ ერთმანეთისთვის ავი თვალით არასოდეს შეგვიხედავს. თუ საქართველოს მეორეხარისხოვან ქართველებად მივაჩნივართ, მზად ვართ, ნებისმიერი პასპორტი ავიღოთ, რათა მშობლიურ გარემოს დავუბრუნდეთო!..

აი, ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე სასაუბროდ გვინდოდა მალხაზ აკიშბაიასთან შეხვედრა. ბევრი ჩვენგანი იმთავითვე პესიმისტურად იყო განწყობილი. ერთმა კი ასეთი რამ გაიხსენა: ამ წლებში აკიშბაია, თითქოსდა ცენტრალური ხელისუფლების მიბაძვით, კულტურას გადაეკიდა. მან საკუთარი ინიციატივით გააუქმა აფხაზეთის ტელევიზია და ასობით დევნილი უმუშევრად დატოვა. ტელევიზიის მუშაკებმა სასამართლოში უჩივლეს, სარჩელი მოიგეს და ტელევიზიამ მუშაობა განაახლა. მაგრამ აკიშბაიამ არ მოისვენა, სანამ გამარჯვება არ იზეიმა. მაშინ იყო, ცხინვალში „ალანია" რომ დააარსეს.

სანამ აფხაზეთის მთავრობას ჭეშმარიტად პატრიოტი ქართველები ედგნენ სათავეში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად მცირეოდენი თანხა გამოიყოფოდა ხოლმე ბიუჯეტიდან. ასე მაგალითად, თუკი რომელიმე დევნილი მწერალთაგანი ახალ, ღირებულ ნაწარმოებს შექმნიდა, მინისტრთა საბჭო მცირე თანხას გამოუყოფდა წიგნის გამოსაცემად. აკიშბაიამ ეს ფულის უაზრო ფლანგვად მიიჩნია და წიგნის გამოცემაზე ერთი თეთრის დახარჯვაც კი კატეგორიულად აკრძალა.

კულტურისადმი მის კეთილგანწყობილებაზე არც ის მიუთითებს, რომ სწორედ მისი ინიციატივით მინისტრთა საბჭომ გააუქმა გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემია, რომლითაც აკიშბაიას მინისტრთა საბჭოში მოსვლამდე, ყოველწლიურად აღინიშნებოდა მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა მიერ შექმნილი ღირსეული ნაწარმოებები.

კი, ბატონო, მიიღოს მაღალი ხელფასი მ. აკიშბაიამ, მაგრამ იმას მაინც ნუ დაივიწყებს, რისთვის უხდიან მას ამ ხელფასს.

სხვათა შორის ჩვენ მოვისმინეთ პარლამენტის აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის მიერ მ. აკიშბაიას დაკითხვა, სადაც მან აღიარა, რომ ზუგდიდში მანქანით მიმავალმა მარშრუტი შევცვალე და ზემო აფხაზეთიდან ხალხის ევაკუაციის უკეთ კოორდინაციის მიზნით თავი აჭარაში ამოვყავიო. შეგახსენებთ, ეს ის დღეებია, როცა მაღალჩინოსნები თავიანთი ოჯახებითურთ თავპირის მტვრევით გარბოდნენ თურქეთისკენ.

„სად იყვნენ თქვენი ოჯახის წევრები ამ დროს"? — ჰკითხა მ. აკიშბაიას კომისიის ერთ-ერთმა წევრმა.

„თბილისში"! — მიუგო ნირწამხდარმა აკიშბაიამ.

არავინ ჩასძიებია ბატონ მალხაზს — ბოლოს და ბოლოს ის ხომ ხელისუფლების ერთგულ კაცად მიიჩნეოდა და მიიჩნევა, სხვა სურათი იქნებოდა, მის ადგილას ეროსი კიწმარიშვილი რომ მჯდარიყო.

თუმცა დარწმუნებული ვართ, იმ დღეს სხვებთან ერთად აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოჯახიც იმყოფებოდა თურქეთის საზღვარზე. ბათუმში იმიტომ წავედი, დევნილთა ევაკუაციის კოორდინირება უფრო ადვილად მომეხდინაო. ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, მაგ სიმართლით გატაროს ღმერთმაო.

**ნოდარ ხუნდაძე.**
**2008 წელი, 15 დეკემბერი.**

◎ დროამ მოიტანა

# ფერმერული მეურნეობა თუ გლეხური მეურნეობა?

## რომელი ტერმინი უნდა ვისმაროთ?

**ამ ბოლო დრომდე, მეცნიერთა შორის ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია სწორი ტერმინი „ფერმერული მეურნეობა“ თუ „გლეხური მეურნეობა“.**

როგორც ცნობილია, ადრე, საბჭოთა კავშირის პერიოდში, სოფლის მეურნეობაში ფუნქციონირებდა შემდეგი სახის ორგანიზაციული სტრუქტურები: კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისი საწარმოები, მეცხოველეობის კომპლექსი. ამის პარალელურად, სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას, მათ შორის, გლეხობას, ჰქონდა პირად-დამხმარე მეურნეობები. ეს უკანასკნელი არაიურიდიული პირის საწარმოები იყო, რომლებიც სოფლის მცხოვრებლებს საშუალებას აძლევდა, დამატებით მიეღოთ საოჯახო (ოჯახში გამოსაყენებელი) პროდუქცია და, ამასთან, ნაჭარბი საქონლის რეალიზაციის შედეგად დამატებითი ფულადი შემოსავალიც.

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა პირობები და მიდგომა საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით. ასეთი საწარმოები დაფუძნდა „კანონის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ მოთხოვნების საფუძველზე. ამ გზით შეიქმნა ისეთი ახალი კომერციული ხასიათის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორიცაა: სააქციო საზოგადოებები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, კომანდიტური საზოგადოებები, ინდივიდუალური საწარმოები, აგრეთვე კოოპერატივები.

ამ ფორმათა უმრავლესობამ, სოფლის მეურნეობაში, ამ დარგის ბუნებრივ-ეკონომიკური სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე, ფართო გასაქანი ვერ ჰპოვა და მათ ნაცვლად ძალზე დიდი მასშტაბი შეიძინა აგრარული სექტორისათვის ზედმიწევნით მორგებულმა და ისტორიულ ფესვებზე დამყარებულმა ისეთმა ფორმამ, როგორიცაა ფერმერული მეურნეობები, რომელთა რაოდენობაც 800 ათასს აღემატება.

სოფლის მოსახლეობა, გლეხობა, ადრე თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იყო დასაქმებული, ახლა, სოციალიზმის პრინციპების უკუგდებისა და საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პირობებში, როცა გადამწყვეტია კომერციული ინტერესები და მოტივაციები, ჩართულია და უძლვება თავის კერძო მეურნეობას (საწარმოსძ, რომელიც იწოდება ფერმერულ მეურნეობად (საწარმოდძ.

ფერმერულ მეურნეობას სრულიად განსხვავებული ფუძემდებლური პრინციპები გააჩნია, ვიდრე ეს ჰქონდა პირად-დამხმარე მეურნეობას.

ფერმერული მეურნეობა ჩვენი, დღევანდელი სოფლის ახალი სახეა და თუ ადრე სოფლად მცხოვრებ მეურნე კაცს გლეხად მოვიხსენიებდით, ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა თანამედროვე, შინაარსობრივი ინტერპრეტაციით იგი ფერმერად იწოდება.

აქ საჭიროა კიდევ ერთი განმარტება. გლეხი სოციალური კატეგორიაა, ფერმერი კი ეკონომიკური კატეგორია. გლეხური მეურნეობა შინაარსს არასწორად გადმოსცემს. ეს იგივეა რომ ვთქვათ სოფლური მეურნეობა, მოხევური მეურნეობა, აჭარული მეურნეობა და სხვა. ამ შემთხვევაში მართებული იქნება ითქვას: გლეხის მეურნეობა, გლეხის საკარმიდამო მეურნეობა, გლეხის პირად-დამხმარე მეურნეობა. ასეთი გამოთქმები მიანიშნებს, რომ მეურნეობა გლეხისაა და არა გლეხური.

რაც შეეხება ფერმერულ მეურნეობას (უპასუხებს კითხვას – როგორი?ძ ეს შინაარსობრივად განმარტავს, რომ საქმე ეხება ფერმერის (ანუ მეწარმისძ კომერციული ხასიათის საქმიანობას. ეს ნიშნავს, რომ ამგვარი საქმიანობა სამეწარმეო, კერძომესაკუთრული ხასიათისაა და აიგება კომერციულ პრინციპებზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამართლებული არ არის გავაიგივოთ „ფერმერი“ და „გლეხი“, ასევე „ფერმერული მეურნეობა“ და „გლეხური მეურნეობა“ და ისინი სინონიმებად წარმოვიდგინოთ.

აგრარულ ეკონომიკაში უნდა დამკვიდრდეს მხოლოდ „ფერმერული მეურნეობა“ და ჩვენი აზროვნებაც ამ ტერმინზე უნდა გადაეწყოს, ერთმნიშვნელოვნად.

ფერმერი, ახლებური ტიპის, სამეწარმეო მოტივაციებზე მორგებული სოფლის მეურნეა. იგი, აგებს და უძღვება ამა თუ იმ სიდიდისა და მასშტაბის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, რომელიც იწოდება ფერმერულ მეურნეობად (საწარმოდძ.

თუ იურიდიულ მხარესაც დავეყრდნობით, ახალი კანონმდებლობა („კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ სრულყოფის შემდეგძ ლოგიკურად გამორიცხავს ფერმერული და გლეხური მეურნეობების გაიგივებული სახით წარმოდგენა-ფორმულირებას.

შესაბამისი კანონის სრულყოფისდაკვალად ფერმერული მეურნეობა იურიდიულ პირს უნდა წარმოადგენდეს.

ამრიგად, ფერმერული მეურნეობები წარმოადგენს სოფლის ახალ სახეს, მის მფლობელს (მფლობელებსძ, ფერმერს (ფერმერებსძ უფლება აქვს გამოიყენოს დაქირავებული მუშახელი, დაამყაროს შიდა და საგარეო-ეკონომიკური კავშირები, იქონიოს „საკუთარი ბაზარი“ და როგორც ითქვა, ფერმერულ მეურნეობათა საქმიანობა ეყრდნობა სამეწარმეო კანონის მოთხოვნებს და შესაბამისად კომერციული ანგარიშის პრინციპებს.

ფერმერულ მეურნეობათა განვითარება პერსპექტივაში, ეტაპების მიხედვით, ახლებურ მოდიფიკაციებს შეიძენს და წარმოების რაციონალიზაციის აუცილებლობიდან გამომდინარე ახლებურ მოტივაციებს დაეყრდნობა.

**ომარ ქეშელაშვილი,**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

◎ ინიციატივა

# სიტყვა საქმედ აქციეს



**ძველ ნაცნობებთან მიმეჩქარება აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოში. კარგა ხანია, არაფერი დამიწერია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სისიტის“ შესახებ. ახალი ფეხადგმული მეურნეობის თავკაცები რამდენიმე წლის წინათ დამპირდნენ, საქმეს ისე ავაწყობთ, მოყვარეს გულს გავუხარებთო. ჰოდა, მეც მათი მოკეთე და ქომაგი იქითკენ მივეშურები, სადაც უწინდელი მეცხოველეობის ფერმის გაპარტახებული შენობა იდგა. თვალს არ ვუჯერებ, ისე გაულამაზებიათ აქაურობა. ღიმილით შემომეგება ფერმერული მეურნეობის თავკაცი არკადი კიზირია.**

– ხომ ხედავთ, სიტყვას ვასრულებთ, – მისალმებისთანავე მითხრა მან. – თქვენ რომ აქ პირველად იყავით, მაშინ 17 სული კამეჩი და ძროხა გვყავდა, ამჟამად მათი რაოდენობა 75 სულამდეა გაზრდილი, სახნავ-სათესი და საძოვარი მიწებიც 34-ის ნაცვლად 75 ჰექტარს აღემატება. მეცხოველეობაში 11 კაცი გვყავს დასაქმებული, მემინდვრეობაში – 62 ოჯახი. ყოველთვიური გამომუშავება, ჯერჯერობით, საშუალოდ 150 ლარზე ოდნავ მეტია, მაგრამ ცოტა ხანში ეს თანხაც სოლიდურად გაიზრდება.

**– რის ხარჯზე?**

– საშუალო საჰექტარო მოსავლიანობისა და პირუტყვის რაოდენობის, ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის პროდუქტების წარმოების გაზრდით... განსაკუთრებით კვარაცხელიას ჯიშის საქონლის აღდგენა-მოშენება გვინდა. ამ საქმეში სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლები გვეხმარებიან. უკვე ამ ჯიშის რამდენიმე პირუტყვი გვყავს. ისინი კოლხეთის ბუნებრივ პირობებს კარგად ეგუებიან, შენახვაც იაფი ჯდება და მათი პროდუქტი მაღალი ცხიმიანობით გამოირჩევა.

საძოვრები მდინარე ნოღელას და რიონის სანაპიროებზე გვაქვს. ამ ადგილების ერთი ნაწილი ჭაობიანია, რაც მეკამეჩეობის განვითარებას უწყობს ხელს. სამი წლის პირუტყვი უკვე 400-500 კილოს იწონის. კამეჩის რძე ძროხისაზე ბევრად ცხიმიანია, ამიტომ მის ყველსა და მაწონზე დიდი მოთხოვნილებაა. სამომავლოდ რძის პროდუქტების საწარმოებლად უცხოურ დანადგარებს შევიძენთ, რათა ხელით შრომა მექანიზაციით შევცვალოთ და პროდუქციის წარმოებაც გავზარდოთ.

**– რეალიზაცია ხომ არ გიჭირთ?**

– ჯერჯერობით ნაწარმის სარეალიზაციოდ ადგილობრივი ბაზარიც გვყოფნის. თუმცა მალე დადგება დრო და რძისა თუ მარცვლეულის პროდუქტების სარეალიზაციოდ ფოთსა და ქუთაისში სათანადო ობიექტებს გავხსნით.

**– თქვენ მარცვლეული ახსენეთ. სიმინდის როგორი მოსავალი გქონდათ?**

– უამინდობის მიუხედავად, მოსავალს არ ვუჩივით – საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერი „აბაშის ყვითელი“ მოვიწიეთ. წლეულს ამ ჯიშს მივეცით უპირატესობა, რადგან იგი სტაბილურ მოსავალს მინიმალური სასუქების გარეშეც იძლევა, თან სხვა ჯიშებთან შედარებით ვეგეტაციის ვადა 15-20 დღით ნაკლები აქვს, რის გამოც დამარცვლიანებას აგვისტოს ცხელ ქარებამდე ასწრებს და სექტემბრის მიწურულისთვის უკვე მოსავლის აღებაც შეიძლება. სიმინდთან ერთად იმდენი ჩალა ავიღეთ, რომ პირუტყვის გამოსაზამთრებლად უხეში საკვებიც საკმარისზე მეტი გვაქვს. მოსახლეობაც კმაყოფილი გვყავს, რადგან მოსავლის 40 პროცენტი მათ მივეცით გაწეული შრომის ასანაზღაურებლად.

მთავარია, მშვიდობა და სტაბილური მდგომარეობა იყოს და ქვეყნის საკეთილდღეოდ ძალას არ დავიშურებთ.

ესაუბრა
**იოსებ გოგეჩია,**
„სრ“ საკ. კორ.





◎ ინფორმაცია

## რას მოიტანს ფუნქციების გამიჯვნა?

**სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც მისმა დირექტორმა, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის ყოფილმა მინისტრმა ნიკა ვაჩეიშვილმა მოაწყო. მისი თქმით, სააგენტოს ფუნქციები იქნება მკვეთრად გამიჯნული სამინისტროს ფუნქციებისაგან – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განახორციელებს ძეგლთა დაცვას, რეაბილიტაციას, პასპორტიზაციას, არქეოლოგიურ კვლევებს და სხვა ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მოვლა-პატრონობას, ფიზიკურად გადარჩენას შეეხება.**

**რაც შეეხება სამინისტროს ფუნქციებს, ამ შემთხვევაში იგი იქნება უფრო იურიდიული ხასიათის, განახორციელებს ზედამხედველობას კულტურულ მემკვიდრეობაზე, მიადევნებს თვალს მისი დაცვის პროცესს და იქნება იურიდიულად პასუხისმგებელი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პირობებზე, შექმნის სამართლებრივ ბაზას კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად, რასაც უკვე, ფაქტიურად, ეს სააგენტო განახორციელებს.**

**დროა, კულტურის სამინისტროს დაუბრუნდეს პოლიტიკური ფუნქცია, აწარმოოს მართვა და მენეჯმენტი, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ძეგლთა დაცვასა და მის მოვლა-პატრონობას, ეს უნდა განახორციელონ სპეციალისტებმა. მე ვიყავი კულტურის მინისტრი და მესმის, თუ რაოდენ მძიმეა ერთდროულად ძეგლთა მოვლა-პატრონობაზეც იზრუნო და იყო პოლიტიკური ფიგურაც. აქედან გამომდინარე ეს ფუნქციები ახლა გამიჯნული იქნება და სახელმწიფო ყველაფერ იმაზე, რასაც ჩვენ გავაკეთებთ, კონტროლს განახორციელებს, – აღნიშნა ვაჩეიშვილმა.**

ინტერპრესნიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო არმიის აღდგენას ვერ ახერხებს



**რუსეთთან აგვისტოს ომის დროს მთლიანად განადგურებულ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ჰყავს სუსტი და არაკვალიფიციური ხელმძღვანელობა. საიდუმლო გამოკვლევის მონაცემების, რომელიც ამ შემოდგომით მოამზადა პენტაგონმა, ნათქვამია: იმისთვის, რომ არმია გახდეს თანამედროვე და ბრძოლისუნარიანი ორგანიზაცია, მას სჭირდება მასშტაბური რეფორმები.**

გამოკვლევას აწარმოებდა ამერიკის შეიარაღებული ძალების ოფიცრების ჯგუფი, რომლებიც მუშაობდნენ საქართველოს დედაქალაქში ოქტომბერსა და ნოემბერში, და ცდილობდნენ არ მიეპყროთ განსაკუთრებული ყურადღება. გამოკვლევაში მოცემულია პოლიტიზირებული კულტურის ანალიზი და თანამედროვე მოთხოვნებისადმი შეუსაბამო პრაქტიკა ამ ქვეყნის არმიაში, რომელიც ნატოში შესვლას ცდილობს, თუმცა ჩაეფლო რუსეთთან ორ სისხლისმღვრელ დავაში.

გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ახლადარჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა იძულებული გახდება გააკეთოს ძნელი არჩევანი. მის საგარეო-პოლიტიკურ უწყებას ხომ მოუწევს მიიღოს მეტად გაწონასწორებული გადაწყვეტილება საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ შეშფოთების ფონზე იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკულმა დახმარებამ საქართველოს არმიისთვის შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის უფრო მეტი გაღიზიანება.

ანგარიშში გაკეთებულია მინიშნება იმაზე, რომ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე მზადების შემდეგ საქართველოს შეიარაღებული ძალები კვლავ სუსტია და ცუდად მომზადებული.

ანგარიშში ნათქვამია ნაკლოვანებებზე და სისუსტეებზე, რაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებშია. ეს ძალები მეტად ცენტრალიზებული არიან. მათი ხელმძღვანელობა ღებულობს იმპულსურ გადაწყვეტილებებს სათანადო მომზადების გარეშე, არმიაში არ არის ზუსტად განაწილებული მოვალეობანი, მას ხელმძღვანელობენ პირადი კავშირებით შერჩეული ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ პროფესიული ჩვევები და უნარი.

უფრო მეტიც, საქართველოს სამხედროებს არ გააჩნიათ თანამედროვე სამხედრო ბიუროკრატიის დასაბუთებული ელემენტები: ძირეული უსაფრთხოების ჯანსაღი დოქტრინიდან საიდუმლო დოკუმენტების გაცნობამდე, არ გააჩნიათ კადრების მართვის სათანადო სისტემა, რაც განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურეების საკარიერო ზრდას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველო ცდილობდა ეკისრა ნატოსთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობის როლი უცხოეთში სამხედრო ოპერაციებში. მისი სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობდნენ კოსოვოში, ავღანეთსა და ერაყში საერთაშორისო ძალებში, სადაც საქართველოს კონტინგენტი თავისი რიცხოვნობით მესამე ადგილზე იყო. მიმდინარე თვეშიც ბრიუსელში ნატოს 26 წევრი-ქვეყანა აცხადებდა, რომ გარკვეული დროის შემდეგ მიიღებდნენ საქართველოს მისი 30-ათასიანი შეიარაღებული ძალებით თავის ალიანსში. მაგრამ მათ მაინც ვერ შესთავაზეს საქართველოს შესვლისთვის მზადების პროგრამა, რომელიც ცნობილია, როგორც მაპი. ეს გახდა იმის ნიშანი, რომ საქართველოს სწრაფი შესვლა ალიანსში არ მოხდება.

გადაწყვეტილება, შეეჩერებინათ საქართველოს სწრაფვა ნატოსკენ, აიხსნება უმთავრესად რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობებით, რომელიც სააკაშვილის მთავრობას უწოდებს არამყარსა და არამუდმივს, და გამოდის ნატოს შემდგომი გაფართოების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ყოფილი სფეროს ფარგლებში.

ის შეიარაღებული ძალები, რომლებიც სააკაშვილმა მიიღო მემკვიდრეობით, იყვნენ წითელი არმიის ღარიბი გერები. არმია იყო მცირერიცხოვანი, ნახევრად დანგრეული, ცუდად მომზადებული და არასაკმარისად აღჭურვილი. 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს არმიამ წააგო ორი ომი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რომლებსაც რუსეთი უჭერდა მხარს. ზოგიერთი მისი ნაწილის მისამართით გაისმოდა ბრალდებანი სამხედრო დანაშაულობათა შესახებ (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სამხედროებსაც ადანაშაულებდნენ საშინელ მოქმედებებში საბრძოლო მოქმედებათა ზონაში).

სააკაშვილმა შეისყიდა ახალი შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა, გაზარდა ფულადი ანაზღაურება, ააგო ახალი ბაზები, აამაღლა ქვეყნის თანამშრომლობის დონე პენტაგონთან და მოუწოდა თავის სამხედროებს, მიებაძათ დასავლელი სახელმწიფოების მოქმედებათა პრაქტიკისთვის.

საქმე ისე მიდიოდა, რომ გეგონებოდა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარეობდა გარდაქმნის პროცესი. ამერიკელი ოფიცრები აქებდნენ ზოგიერთ თავის ქართველ კოლეგას ერაყში. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა თქვა, რომ ქართველი სამხედროები აგვისტოს ომის დასაწყისში გაცილებით უფრო მომზადებული იყვნენ და მოქმედებდნენ უფრო უნარიანად, ვიდრე ადრე. მაგრამ მეორე დღეს, როდესაც სამხრეთ ოსეთში შეიჭრა რუსეთის ჯარი, საქართველოს არმია უცბადვე დაიშალა. ბევრ მეთაურს კავშირის დამყარება უხდებოდა მობილური ტელეფონით. ბევრი ქვედანაყოფი გარბოდა ბრძოლის ველიდან, ტოვებდა ადგილზე საბრძოლო ტექნიკას, იარაღსა და აღჭურვილობას, დაღუპულ მეომრებს.

სააკაშვილმა მოახდინა გადაადგილებანი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობაში. თუმცა სრულიად გაურკვეველია, ასრულებდა თუ არა მთავარ როლს კანდიდატების შერჩევაში სამხედრო გამოცდილება.

თვის დასაწყისში მან გაათავისუფლა თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან თავისი მოკავშირე, 30 წლის დავით კეზერაშვილი, რომელიც ამ პოსტზე იყო ომის პერიოდში. იგი შეცვალა დავით სიხარულიძემ. ახალი მინისტრი განათლებით ფსიქიატრია. იგი განეკუთვნება სააკაშვილის მოკავშირეებს, გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდა ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკელი და ქართველი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ანალიზი დამთავრებული არ არის. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროებს ნატოს წარმომადგენლებთან ერთად განზრახული აქვთ, წარადგინონ თავდაცვის სამინისტროში თავიანთი რეკომენდაციები საქართველოს არმიის მზადყოფნის შესახებ.

**ტომ შენკერი**

INTERNATIONAL Herald Tribune
THE WORLD'S DAILY NEWSPAPER | iht.com

# ბრიტანელმა მეთვალყურემ გაართულა საქართველოს ამოცანა, რომელიც ცდილობდა მთელი პასუხისმგებლობა რუსეთისთვის დაეკისრებინა

**საქართველოში რუსეთის აგვისტოს შეჭრის შემდეგ მოსკოვმა შეძლო შეეცვალა თავის სასარგებლოდ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი, თუმცა დასაწყისში ომის დაწყების მთელ პასუხისმგებლობას მსოფლიო აკისრებდა მხოლოდ რუსეთს.** ამისთვის კრემლმა მადლობა უნდა გადაუხადოს ძირითადად ბრიტანეთის არმიის ყოფილ კაპიტანს, 47 წლის რაიან გრისტს, რომელიც ომის დაწყების მომენტში ხელმძღვანელობდა საერთაშორისო მეთვალყურეების ჯგუფს. მაგრამ დღეს საქართველოსა და თბილისში მომუშავე ზოგიერთი დიპლომატი ეჭვქვეშ აყენებს მის ობიექტურობას.

ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გრისტი პირველად აღიარებს, რომ, როდესაც დაიწყო ომი, იგი უფროსების დაუკითხავად გაემგზავრა რუსეთის მიერ დაკავებულ რაიონებში, რათა გამოეკვლია მიზეზები და დაეზუსტებინა ფაქტები. შემდეგ მას ეს დამოუკიდებელი წასვლა, სამსახურის დაკარგვად დაუჯდა.

როდესაც 7 აგვისტოს ღამით საქართველოს სეპარატისტულ ანკლავში სამხრეთ ოსეთში დაიწყო საბრძოლო მოქმედება, გრისტი ხელმძღვანელობდა ეუთოს მეთვალყურეთა ჯგუფს ამ რეგიონში. გასულ თვეს მან ნამდვილი აურზაური გამოიწვია, როდესაც კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მისი მეთვალყურეები ვერავითარ პროვოკაციებს ვერ ხედავდნენ რუსეთის მხრიდან, თუმცა საქართველო აცხადებს, რომ სწორედ მოსკოვმა მოახდინა ომის დაწყების პროვოცირება.

მან აგრეთვე განაცხადა, რომ არაერთგზის აფრთხილებდა ეუთოს დიპლომატებს საქართველოს თავდასხმის შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ მის გაფრთხილებას ყურადღებას არავინ აქცევდა. მას შემდეგ, რაც მან განაცხადა თავისი ცნობების შესახებ, მას ბრალი დასდეს რუსეთის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტთან თანამშრომლობაში და ცრუ უწოდეს. იგი აღნიშნავს, რომ „სურდა გამოერკვია, თუ რა ვითარებაა სინამდვილეში“.

გრისტის კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ცდილობდა შეესუსტებინა ევროკავშირის კონფრონტაცია მოსკოვთან რუსეთის როლის გამო, რაც მან შეასრულა კონფლიქტის დროს, იგი მიუთითებდა პრესაზე, რომლებიც ძირითადად ეყრდნობოდნენ გრისტის განცხადებებს. საქართველოს პრეზიდენტის ყოფილ მოკავშირეებსაც მოჰყავდათ გრისტის ცნობები მაგალითის სახით, როდესაც მოითხოვდნენ ვადამდელი არჩევნების მოწყობას მიხეილ სააკაშვილის განდევნის მიზნით.

სააკაშვილმა ამ ცოტა ხნის წინათ გადააყენა თავდაცვის მინისტრი, რომელიც ამ ომს აწარმოებდა, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ქართული ვერსიების გავრცელებაზე ომთან დაკავშირებით. საქართველოს ლიდერები შეშფოთებას გამოხატავენ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მიმართ ბრალდება, როგორც ამ ომის გამჩაღებლისა, აიძულებს ახლადარჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამას უარი თქვას მოსკოვთან კონფრონტაციაზე რუსეთის ჯარების გამო, რომლებიც რჩებიან სამხრეთ ოსეთში.

სამხედრო და დიპლომატიური მისიების ვეტერანი გრისტი, რომელიც იმყოფებოდა სხვადასხვა „ცხელ წერტილებში“ დაწყებული ჩრდილოეთი ირლანდიიდან ბოსნიამდე და კოსოვომდე, მეტად მწვავედ ეხმაურებოდა საქართველოს მოქმედებას ომამდე და ომის შემდეგ. ამჟამად კი ის აცხადებს, რომ ზოგიერთი მისი კომენტარი არასწორად იქნა გაგებული.

„მე არასოდეს მითქვამს, რომ სამხრეთ ოსეთის მხრიდან არ ყოფილა პროვოკაციები“, – განაცხადა გრისტმა. ეუთოს ოფიციალურ დოკუმენტებში ნათქვამია, რომ ზავი, რომელიც ცალმხრივად გამოაცხადა საქართველომ 7 აგვისტოს, დაირღვა დახლოებით საღამოს 10 საათისთვის, ესე იგი თითქმის 2 საათით ადრე საქართველოს არტილერიის მიერ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის ცხინვალის დაბომბვის დაწყებამდე. „მე ვამბობდი მხოლოდ იმას, რომ საქართველოს ხელისუფლების რეაქცია იყო აბსოლუტურად გაუთანაზომიერებელი, – განაცხადა გრისტმა, – როდესაც გადაწყვიტა დაეწყო საარტილერიო სროლები, რის გამოც რუსეთი იძულებული იყო მოეხდინა რეაგირება ამაზე“.

საქართველოს გრისტი მიაჩნია ჯაშუშად. „მე არ შემიძლია განვაცხადო, რომ გრისტი რუსეთს ემსახურება. მე ეს არ ვიცი. მაგრამ ასე ფიქრობენ ჩვენი სპეცსამსახურები“, – ამბობს მაღალჩინოსანი ქართველი ხელმძღვანელი თემურ იაკობაშვილი, – რას აკეთებდა იგი, როდესაც თავისი ხელმძღვანელის დაუკითხავად სადღაც წავიდა?“ ხელისუფლებამ გაავრცელა იმ პიროვნების საუბარი, ვისთანაც გაჩერდა გრისტი. ეს იყო სამხრეთ ოსეთის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის შეფი. მაგრამ ეს ფაქტი ისევე, როგორც ამ საუბრის შინაარსი, არ წარმოადგენს საქართველოს ბრალის დადასტურებას.

7 აგვისტოს საქართველომ დაიწყო თავისი ჯარების გადაყვანა ცხინვალის მიმართულებით. მათი შემადგენლობა რამდენიმე ათასი კაცი იყო. გრისტის სიტყვებით, რომელიც მაშინ თბილისში იმყოფებოდა, მან მიიჩნია, რომ ეუთოს სამი დამკვირვებელი შეიძლება იმყოფებოდეს ქალაქში და ეს მათთვის უსაფრთხო არ იქნებოდა. მაგრამ უკვე შუა ღამისთვის საქართველოს არტილერია თავს დაესხა ცხინვალს, დაიბომბა ეუთოს ოფისი და მეთვალყურეები დაიმალნენ სარდაფში. პარასკევს დილით გრისტის ყოფილი უფროსი, ფინეთის ელჩი ტერჰი ჰაკალა ურეკავს ჯგუფის ხელმძღვანელ ფინელ მაიორს და უბრძანებს მას, მოახდინოს თავისი ხალხის, რაც შეიძლება, სწრაფი ევაკუაცია.

გრისტი ბობოქრობდა. მისი სიტყვებით, იგი ცდილობდა მოეწყო უფრო მასშტაბური ევაკუაცია. მეორე დღეს, როდესაც ქართული არმია გარბოდა საბრძოლო მოქმედებათა ზონიდან, ხოლო საქართველოში დაირხა ხმები თბილისისკენ რუსეთის ტანკების მოძრაობის შესახებ, გრისტი და ჰაკალა შეხვდნენ თბილისში ერთმანეთს ღამის 2 საათზე. მათი სიტყვებით მათ შორის გაიმართა დიდი დავა. ჰაკალამ უბრძანა გრისტს, დაუყოვნებლივ წასულიყო შვებულებაში.

გრისტი ამბობს, რომ ჩავიდა ცხინვალში, სადაც გაემართა თავისი ნაცნობის ლირა ცხოვრებოვას სახლისკენ, რომელიც არაკომერციულ ორგანიზაციაში მუშაობდა და კარგი ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მეგობრებმა დამალეს გრისტის მანქანა და იგი წაიყვანეს სამხრეთ ოსეთის მაღალჩინოსან ხელმძღვანელებთან.

ეუთოს ხელმძღვანელობამ სთხოვა ბრიტანეთის საკონსულოს გაესახლებინა გრისტი ქვეყნიდან.

**მარკ ჩემპიონი**

THE WALL STREET JOURNAL

ახალი ქართული პიესის კონკურსი

# მიხეილ თუმანიშვილის ფონდი რეჟისორებს ახალი პიესებით მოამარაგებს

**„მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური განვითარების ფონდმა“ მეოთხე კონკურსი გამოაცხადა, სახელწოდებით „ახალი ქართული პიესა“. პიესების მიღება 20 ნოემბერს დაიწყო და 10 დეკემბრამდე გაგრძელდა.**

კონკურსის ორგანიზატორი და ფონდის დამფუძნებელია ქალბატონი მანანა ანთაძე. კონკურსის შემდეგ, ყველა პიესა თეატრებში დაიგზავნება. „კონკურსის მიზანია ქართველ დრამატურგებს წერის სტიმული მიეცეთ, და რასაც წერენ, ის სცენაზეც დაიდგას. „თეატრებს არა აქვთ პიესები, დღეს პიესების დიდი ნაკლებობაა. ქართულმა საზოგადოებამ არ ვიცით თანამედროვე დრამატურგია, არ ვიცით, რა იწერება“... – აღნიშნა მანანა ანთაძემ.

კონკურსს საფუძველი 2006 წელს ჩაეყარა, იგი წელიწადში ორჯერ იმართება. ფულადი პრემიებით ჯილდოვდებიან ქართული პიესები და თანამედროვე უცხოური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების თარგმანები. თუმცა კი, ყველა დრამატურგისთვის, ალბათ, საუკეთესო ჯილდო პიესების სცენაზე განხორციელებაა. წინა სამი კონკურსის შედეგად ფონდმა ასამდე პიესა დააგროვა. მათგან კი, რამდენიმე უკვე დაიდგა სხვადასხვა თეატრში. მაგალითად: რეჟისორმა გოშა გორგოშაძემ რუსთაველის თეატრის სცენაზე განახორციელა ქეთი კვანტალიანის თარგმანი - ერიკ ემენუელ შმიდტის „სტუმარი“. პირველი თარგმნილი პიესების კონკურსში ჟიურის წევრი იყო რეჟისორი გოჩა კაპანაძე, მას ძალიან მოეწონა თამაზ გოდერძიშვილის გადმოქართულებული „ჯამბაზები“, წაიღო თეატრში და დადგა.. თუმცა თამაზ გოდერძიშვილი თუმანიშვილის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონკურსში ფულადი პრემიის მფლობელი არასოდეს გამხდარა (თუ რატომ, თავადაც ვერ ხვდება და უკვირს)... ამის მიუხედავად, როდესაც ქალბატონ მანანას კონკურსზე ვესაუბრებოდით, მან მეოთხე კონკურსშიც შემოიტანა ახალი ქართული პიესა.

რაც შეეხება კონკურსის ჟიურის, ის დაკომპლექტებულია რეჟისორების, თეატრმცოდნეების, მსახიობებისა და ლიტერატორებისაგან. როგორც ირკვევა, ჟიური საკმაოდ მკაცრია. 2006 წელს, ივნისში გამართულ პირველ „ახალი ქართული პიესის“ კონკურსში პირველი პრემია არ გაიცა. საპრიზო მეორე ადგილი ბასა ფოცხიშვილს, მესამე კი თამარ ბართაიას ერგო.

ლაშა ბუღაძეც გაოცებული იყო. პიესა – „ როცა თავს ესხმიან ტაქსისტებს“ კონკურსზე შეიტანა და საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვა. არადა ამ პიესამ, შემდეგ, ბი-ბი-სის კონკურსზე გაიმარჯვა.

კონკურსის ორგანიზატორები თამამად აცხადებენ, რომ ამ სამ კონკურსზე საუკეთესო პიესები დაგროვდა... ქართველი მწერლები ამ წამოწყებაში აქტიურად ჩაერთვნენ – ბასა ჯანიკაშვილი, ირაკლი სამსონაძე, ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი...

კონკურსის ორგანიზატორები ცდილობენ საკონკურსო ნამუშევრების პოპულარიზაციას. ეწყობა პიესების კითხვა. შარშან რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე მსახიობებმა კითხვის საღამო გამართეს და საკონკურსო პიესები წაიკითხეს. მსგავსი საღამოები უწინ თეატრალურ სარდაფშიც იმართებოდა.

„ახალი ქართული პიესის“ კონკურსის გენერალური სპონსორია „მაგთიკომი“. საპრიზო თანხა კი 3 ათასი ლარია. კონკურსის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ სხვა წამახალისებელი პრიზებიც იქნება. დაჯილდოების ცერემონია, ქართული თეატრის დღეს, 14 იანვარს გაიმართება.

**თამარ ბუზალაძე**

მწარე სინამდვილე

**გასული საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში ტელემაყურებლებს ბედნიერება ჰქონდათ ეყურებინათ ხალხური შემოქმედებისადმი მიძღვნილ გადაცემათა ციკლისათვის. მისი ორგანიზატორი და წამყვანი გახლდათ ამ დარგის მახვში და დიდებული ქართველი ვახუშტი კოტეტიშვილი.**

85 თუ 86 წელს, მერგო ბედნიერება, სამეგრელოს ხალხურ შემოქმედებაზე მე გამეკეთებინა ერთ-ერთი პირველი გადაცემა. მოვიარე აბაშის, სენაკის (ცხაკაიასძ, მარტვილის (გეგეჭკორის), ხობის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის რაიონები. გადაცემა ზუგდიდში ჩავიწერეთ. დიდი ზეიმი იყო იმ დღეს ზუგდიდში. სოფელ რუხის კულტურის სასახლეში შეიკრიბნენ მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლები, სახალხო მთქმელები, ფოლკლორისტები, ეთნოგრაფები. ღონისძიებას ამშვენებდა საქართველოს უსაყვარლესი ბულბული გოგი დოლიძე და ანსამბლი „ჟურნალისტი“ და მრავალი სხვა, ცნობილი კოლექტივები.

# არ მეთქვა, გული ვერ მომითმენდა!

გადაცემას, რა თქმა უნდა, უძღვებოდა ბატონი ვახუშტი და მეც დამდეს პატივი, მეკისრა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანაწამყვანობა. კონცერტი გრანდიოზული გამოვიდა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ შესანიშნავი მხატვრული კოლექტივები. დარბაზში (და დარბაზს გარეთაცძ ყველა ერთმანეთს უღიმოდა, ეფერებოდა და აღზევებული იყო მათი სიამაყე. ისმოდა „სქანი გოლუაფირო“ და „სქანი სანთელო!“

სცენის მარცხენა მხარეს, სპეციალურად მოწყობილ სავარძლებში ვისხედით ბატონი ვახუშტი და მე, და, შიგადაშიგ, ვკითხულობდით მეგრული ხალხური შემოქმედების მარგალიტებს. ბატონი ვახუშტი განსაკუთრებული მოწიწებით კითხულობდა (როგორც თვითონ ბრძანაძ მეგრული ტკბილი ქართულით დაწერილ ლექსებს, სიტყვა-თქმებს, გამოცანებსა და ანდაზებს. მეც ვცდილობდი. იყო პატრიოტული, საყოფაცხოვრებო და სახუმარო ლექსები. ერთი-ორი სკაბრეზული ქარაგმაც გამოვურიეთ.

„...ილაში წისქვილი სარ სალანც, მუჟამი წყარი მესქრნი ილა ინაჩხარჩხალანც!“

„...ნგერქ დირჩინუა დო ჭიჭე ტურაქ ორჩქილარც ქალატყორინუა!“

მაყურებელი ოვაციით ხვდებოდა ჩვენს ყოველ გამოსვლას, შესრულებულ ყოველ ნომერს, მაგრამ „სკაბრეზულობამ“ ხმა ჩააწყვეტინა მათ. სამარისებურ სიჩუმეში შეამჩნევდით აღშფოთებულ სახეებს...

...მაგრამ, რა თქმა უნდა, ისევ გაგრძელდა „ლამაზი სტროფები“ და დარბაზმაც ამოისუნთქა!..

მერე იყო სუფრა და ლხინი, და მორიდებული საყვედურები:

– რა აუცილებელი იყო, მაინცდამაინც, ცუდი სიტყვები გვეთქვა სცენიდან?..

მიუხედავად ამ მცირე „შენიშვნისა“, ზეიმი საბოლოოდ, მართლაც და, სახალხო ზეიმად იქცა და გადაცემაც ერთობ წარმატებული გამოვიდა. მატარებელში კი, ბატონმა ვახუშტიმ მითხრა:



– ხედავ ზაურ, როგორი დალოცვილი კუთხის შვილი ხარ შენ! წიგნში შეიძლება შეიტანო, მაგრამ სცენიდან გაჟღერებული „უხერხული“ სიტყვა იუცხოვეს ამ დალოცვილებმა!.. ეს ის კუთხეა, რომელსაც გინება ტრადიციულად არ ჰქონდა და თუ შეგინება უნდოდათ, „სი ჯოლორიო“ იტყოდნენ და ეს იყო სასტიკი შეურაცხყოფა – „შე ძაღლოო!“

მადლიერებით ალვივსე ბატონი ვახუშტისადმი და ახლაც ასეთი მახსოვს იგი. ოღონდ, სამწუხაროდ, განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში, მრცხვენოდა მისი!!

ბოლო ათწლეულებში ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულმა უბედურებამ შეცვალა ბევრი რამ. შეცვალა ჩვენი ხასიათი, შეცვალა ჩვენი ზნეობა, ფრაზაც და სიტყვაც! პოლიტიკურმა ძვრებმა შეცვალა ხალხი, შეცვალა მეგრელიც!

ვიცი, ბევრი გამიპროტესტებს, რასაც ქვემოთ ვიტყვი, მაგრამ სანამ შემედავებოდეთ, დავიაროთ ჩვენი ქალაქები, ჩვენი სოფლები და ყური მივადევნოთ უამრავი, ფუძეს მოწყვეტილი, გაწამებული ხალხის „ლექსიკას“ და, სამწუხაროდ, დავრწმუნდებით, – იმ ორ ფრაზას ვინ ჩივის, მე და ბატონმა ვახუშტიმ რომ გავახმოვანეთ რუხის კულტურის სასახლის სცენიდან... გაცილებით უარესად გვაქვს საქმე!

ხშირად (თითქოს ყოველდღეძ დავეხეტები იმ ადგილებში, სადაც თავმოყრილები არიან ჩვენი კუთხიდან ლტოლვილი ადამიანები. ხალხი, რომლებმაც აგერ უკვე თითქმის ოცი წელიწადია არ იციან საკუთარი კერის სითბო. გავესაუბრები, მოვეფერები, ხან ვიცინით, ხან თვალები ცრემლებით გვევსება და სევდას ვუმძაფრებთ ერთმანეთს. მაშინ, კი როდესაც უბრად დავდივარ, ჩემს ყურთასმენას ჭრის უხეში, გამწარებული ადამიანების ბილწსიტყვაობა. და ვაი, რომ ამ ბილწსიტყვაობის „ავტორები“, ხშირად, ქალები არიან!!

– უიმე!... მეგრელი ხარ, ბიჭო?.. – შეიცხადა ერთმა სანდომიანმა „გარემოვაჭრე- ქალბატონმა, როცა მეგრულად ვკითხე პომიდვრის ფასი.

– ა, გოგო, რომ იგინები... აგერ, ეს კაცი მეგრელი ყოფილა და ყველაფერი გაიგო!.. მოგვეჭრა თავი!

„შემგინებელს“ ბეწვიც არ ჩამოვარდნია თავიდან.

– ნუ გაგიკვირდება, ჩემო ძმაო! ცხოვრებამ ისე გაგვამწარა, რომ ამასაც მიგვაჩვია! – თქვა და თვალები ცრემლებით აევსო.

არ დაგიმალავთ, მეც წამომცვივდა კურცხალი.

– ახლა ჩვენ ხომ ხალხი არა ვართ!.. ახლა „გარემოვაჭრეებს“ გვეძახის ყველა!..

არადა, სამეგრელოში ღედას არავინ უხსენებდა უღიერად მტერსაც კი. „სი ჯოლორიში სქუაო“ (შე, ძაღლის შვილოო“ძ, „სი ღეჯიში სქუაო“ („შე ღორის შვილოო“ძ თუ იტყოდნენ, ეს იყო ყველაზე ბილწი სიტყვა. ტრადიცია და ღმერთი უკრძალავდა მათ სხვანაირად თქმას.

მაგრამ ღმერთსაც კი, დაავიწყდა, ალბათ, დღეს ეს, ქვეყნისგან დავიწყებული ხალხი! და ესაა, რომ მკლავს! ამან დამაწერინა ეს სტრიქონები, რომელსაც ამხელა შესავალი გავუკეთე საბოდიშოდ, მაგრამ არ მეთქვა, გული ვერ მომითმენდა!

**ზაურ ფიფია.**

დისკუსია

**ამ თემას მიეძღვნა დისკუსია, რომელიც გაიმართა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის საკონფერენციო დარბაზში ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ ინიციატივით.**

# რატომ ვერ ასრულებს ქართველი გლეხი თავის ისტორიულ ფუნქციას?

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა მეცნიერებმა, სპეციალისტებმა და ექსპერტებმა ნოდარ ჭითანავამ, თამაზ კუნჭულიამ, პაატა კოღუაშვილმა, რევაზ მახაროზლიძემ, ნოდარ ჩხარტიშვილმა, იაკობ მესხიამ, სულიკო ყამარაულმა, თენგიზ ლაჭყეპიანმა, სერგო თურმანიძემ და სხვებმა.

დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელსაც ეკონომიკური განვითარების პროგრამა არ გააჩნია. ბუნებრივია, არ არსებობს საქართველოს აგრარული განვითარების კონცეფციაც, რომელიც ქვეყნის აგრარულ პოტენციალზე და სათანადო პრაქტიკაზე იქნებოდა დაფუძნებული.

– ცხადია, ამისთვის, როგორც მინიმუმ, ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა საჭირო, თუმცა, არანაკლებ როლს ასრულებს პრაქტიკოს აგრარიკოსთა და მეცნიერ-სპეციალისტთა ძალისხმევაც, - თქვა ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ დამფუძნებელმა და რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ზაურ ნაჭყებიამ. – ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მსოფლიოს სასურსათო კრიზისი ემუქრება. რესურსების შემცირებასთან ერთად კატასტროფულად იზრდება ფასები აგრარულ პროდუქციაზე და მან ბოლო წლებში გლობალური ხასიათი მიიღო, რამაც სიღარიბის ზღვარს მიღმა დამატებით დატოვა მილიონობით ადამიანი. მიზეზი ბევრია. მათ შორის, გამოვყოფდი პოლიტიკურ არასტაბილურობას, რომელიც საგრძნობლად აფერხებს აგრარული სექტორის განვითარებას და რომლის ცოცხალი მაგალითია საქართველოც.



ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იაკობ მესხია აცხადებს, რომ 2000 წლიდან სურსათზე ფასების ზრდამ საქართველოში გამოკვეთილი ტენდენცია მიიღო და იგი ბოლო 2 წლის განმავლობაში თითქმის გაორმაგდა. ის ამის გამომწვევ შიდა ფაქტორებს შორის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შემცირებისა და სურსათის ექსპორტ-იმპორტის უარყოფით ბალანსს ასახელებს.

ერთი სიტყვით, საქართველომ, როგორც აგრარულმა ქვეყანამ დაკარგა ბუნებრივი სახე. აგრარული მეურნეობის განვითარებაზე კი ბევრადაა დამოკიდებული არა მარტო ეროვნული ეკონომიკის განვითარება, არამედ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხიც. ისევე, როგორც ეროვნული ეკონომიკა მთლიანად, აგრარული მეურნეობაც უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ფაქტობრივად მოიშალა ადრე არსებული პოტენციალი, არ არსებობს სოციალური ინფრასტრუქტურა, დაცარიელდა სოფელი – ქართველი გლეხი მის ისტორიულ ფუნქციას ვეღარ ასრულებს.

ექსპერტების აზრით, ქვეყანა არჩევანის წინაშე დგას – ან უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ქართული სოფელი იკარგება, ან უნდა განხორციელდეს საგანგებო ღონისძიებები სოფლის მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობის გასაძლიერებლად და, მთლიანად, ეროვნული ეკონომიკის გადასარჩენად. თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა, კონკრეტული რეცეპტის გამოწერა ძნელია, მაგრამ პროფესიონალთა მოსაზრებების შეჯერებით გარკვეული მიდგომები გამოიკვეთა და სათანადო დასკვნების გაკეთება შესაძლებელია.

ჩვენდა სამწუხაროდ, მიგვაჩვიეს იმ აზრს, რომ საქართველომ, როგორც აგრარულმა ქვეყანამ, თავისი ბუნებრივი ფუნქცია დაკარგა და გზა იმპორტირებულ გენმოდიფიცირებულ, შხამქიმიკატებით და პესტიციდებით გატენილ პროდუქციას უნდა დაუთმოს.

აქვე ითქვა, რომ თურქეთ-საქართველოს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება დიდ საფრთხეს შეიცავს ჩვენი ქვეყნის მოსავლისათვის. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, მწვანე შუქი ენთება უცხოურ გენმოდიფიცირებულ აგრარულ პროდუქციას, რომელიც თავდაპირველად თავისი სიიაფით ბაზრიდან განდევნის ქართულ პროდუქციას (ამას ხელს შეუწყობს ნულოვანი დაბეგვრის რეჟიმიძ. საგანგაშოა ისიც, რომ შემოტანილი პროდუქტი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

ერთი სიტყვით, პრობლემები მასშტაბურია. მის შერბილებას ხელისუფლების, მეცნიერ-პრაქტიკოსთა და მთლიანად საზოგადოების ძალისხმევა სჭირდება. მოგეხსენებათ, ხელისუფლება მოდის და მიდის, პრობლემები კი არა მარტო რჩება, არამედ დღითი დღე ღრმავდება კიდეც.

დისკუსია მიმართული იყო იმაზე, რომ აუცილებელია გამოვლინდეს ხელისუფლების და საზოგადოების მზადყოფნა გარდაქმნებისთვის და ქმედითი მუშაობა საქმის წალმა შემოტრიალებისთვის.

**მურად ალაშვილი.**
**ავტორის ფოტო.**

მიგნება

ქართველმა ერმა, მისმა მდიდარმა და უძველესმა კულტურამ მრავალი სიბრძნე და ტრადიცია დაგვიტოვა მემკვიდრეობით. მათგან გამორჩეულად დგას ქალის განსაკუთრებული ადგილი და როლი ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში. ამ მხრივ მარტო თამარის მეფობის აღნიშვნა რად ღირს, მისი მმართველობის **„ოქროვანი ხანა“**. მის შვილებსაც ხომ **„თამარის ძედ“** და **„თამარის ასულად“** მოიხსენიებენ „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეები.... . .

გავიხსენოთ რუსთაველის ბოლო სტროფებიც:

**„ამირან დარეჯანის ძე**
**მოსეს უქია ხონელსა...„**

იქვეა **„წუთისოფლის“** საოცარი რუსთველური გააზრებაც, იშვიათად რომ ნახავს კაცი მსოფლიო პოეზიაში:

**„ესე ასეთი სოფელი,**
**არვისგან მისანდობელი,**
**წამია კაცთა თვალისა და**
**წამწამისა მსწრობელი,**
**რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ?**
**ბედია მაყივნებელი...„**

# ისევ 1828-1832 წლების აჯანყების ირგვლივ

**ახალი მასალები „ამირან დარეჯანის ძის“ ფენომენის შესახებ**

ასეთი ფიქრები და განწყობა აღეძვრება კაცს, როცა ბოდბის მონასტრის ერთ-ერთი ეკლესიის – ბოდბისხევის „დარეჯაანთ უბნის“ კვირიკეს ეკლესიის საფლავის ქვის წარწერას წაიკითხავს. XIX საუკუნის დასაწყისის ეს წარწერა ეძღვნება ნინიკა დარეჯანიშვილის ხსოვნას და ცხოვრებას :

**„ჩემს ცოლ-შვილსა გექადებით დამუნჯებულ**
**ჩემის პირით,**
**მამული და საქონელი შევიძინე**
**მრავლის ჭირით,**
**საუნჯე და ნივთეული დაგიმყოფეთ**
**დიდი სკივრით,**
**მოყვასთა და მეგობართა ვპატიჟობდი**
**ერთი კვირით,**
**ვპურადობდი, ვქეიფობდი, დრო ვატარე**
**კაი ლხინით,**
**აღარაფრის ჯავრი მიმდევს, ჩემთვის**
**ბევრსა ნუღარ სტირით,**
**ჩემი სული მოიხსენეთ პურით, ღვინით,**
**ლოცვით, წირვით.“**

ნინიკა დარეჯანიშვილის ეს რუსთველური 16-მარცვლოვანი ლექსი ქართველი კაცის და ქართული ცხოვრების წესის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა. იგი ეხმიანება რუსთაველის **„ამირან დარეჯანის ძის“** და ხალხური **„ამირან დარეჯანიანის“** ქალის ჩვენს ეროვნულ კულტს: **„დარეჯანი – დარეჯანიძე – დარეჯანიანი – დარეჯანაშვილი“** ქართველი ქალის, როგორც ოჯახის და ოჯახთან ერთად, ერის **„ბურჯისა და დედა ბოძის“** ქართული სიმბოლიკაა.



აღსანიშნავია, რომ წმინდა ნინოს სამონასტრო კომპლექსის მეორე – მარიამის ეკლესიამ ( სულ ეს კომპლექსი 12 ეკლესიას მოიცავს) კახეთის 1812 წლის აჯანყების ერთი მრავლისმეტყველი წარწერაც შემოგვინახა – **„ღმერთო, გვიხსენ რუსისაგან!“**, რაც ასე სიმბოლურად ეხმიანება ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ვითარებასაც. ეს ეკლესიაც „დარეჯაანთ უბანში“ მდებარეობს. როგორც საარქივო წყაროებიდან ჩანს, აჯანყების ცენტრი სიღნაღი და ბოდბის მონასტერი იყო. აჯანყება ბოდბისხევიდან დაიწყო და ნინიკა დარეჯანიშვილის ცხენზე ამხედრებული და თოფიარაღში ჩამჯდარი ბარელიეფიც სიმბოლურად გამოხატავს აჯანყებულთა მებრძოლ სულს. ეს ქართული სული კი ყველაზე ნათლად გამოჩნდა დედოფალ მარიამის გმირულ ქმედებაში, როცა მან ხანჯლით განგმირა მოძალადე რუსი გენერალი ლაზარევი.

ახლად აღმოჩენილი მასალები კიდევ ერთხელ ამტკიცებს, თუ როგორი **„ერთნებაობითა და თანადგომით“** ებრძოდა ხალხი და ქვეყნის მაშინდელი პოლიტიკური ელიტა დამპყრობელს. 1812 წლის აჯანყებას სათავეში **ერეკლე II-ის შვილიშვილი გრიგოლ იოანის ძე ჩაუდგა, ხოლო იგი ეკლესიამ მეფედ აკურთხა**. რიგითი ქიზიყელი მებრძოლის ნინიკა დარეჯანიშვილის ბარელიეფზე გამოსახული სიმბოლიკა ზუსტი ასლია ერეკლე II ბაგრატიონთა გერბის ფრაგმენტისა. ესეც თავისებური სიმბოლიკაა ამ 200 წლის წინათ განვითარებული მოვლენებისა, ხალხისა და ბაგრატიონთა ერთიანობისა. ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავს **„ბაგრატიონთა დინასტიის გასაოცარ დემოკრატიულობას და ხალხთან ერთიანობას“**.

კავკასიურ ფოლკლორშიც ჰპოვა ამ მოვლენებმა თავისი ასახვა. ხალხის კოლექტიურმა მეხსიერებამ რუსი დამპყრობლის სისასტიკის არაერთი ფაქტი შემოგვინახა. სწორედ ამან ასაზრდოვა ის საყოველთაო სიძულვილიც, რაც რუსეთმა და რუსულმა პოლიტიკამ დათესა საქართველოსა და კავკასიაში ამ ორი საუკუნის მანძილზე....

ისიც ფაქტია, რომ კახეთის 1812 წლის აჯანყება სწორედ **„ქალების ბუნტით“** დაიწყო. მათი სახელები ისტორიულმა წყაროებმა არ შემოგვინახა. მაგრამ როგორც ქართულ-კავკასიური ფოლკლორის ცნობილი მკვლევარები მილერი, მარი და აბაევი მიუთითებენ, **„დარეჯანთა თქმულებები თითქმის მთელი კავკასიის მასშტაბით იყო გავრცელებული და ისინი ყოველთვის ორგანულად იყვნენ დაკავშირებულნი აქ განვითარებულ მოვლენებთან“.** ქართველი ქალი აქაც ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გამოხატულებაა. აღსანიშნავია, რომ 1878 წელსაც მოხდა იგივე „დარეჯაანთ ბუნტი“. მას ქიზიყის სხვა სოფლებიც აჰყვნენ, რის შედეგად „სალდათში გაწვევა“გააუქმეს. ამ მოვლენებზე „დროებაც“ წერდა 1878 წლის ივნისში. მეამაყება, რომ მეც ამ აჯანყებულ **„დარეჯაანთა“** წარმომადგენელი მეშვიდე თაობა ვარ.

დიდია ქალის დამსახურება 1828-1832 წლების შეთქმულებაშიც: შეთქმულებს ქართული საბრძოლო დროშა თავისი ხელით მოუქსოვა თეკლე ბატონიშვილმა, ხოლო თამარ ბატონიშვილი ტრაპიზონს და იერუსალიმს მიავლინეს მოსალოცად და თურქეთიდან დახმარების მისაღებად. ტრაპიზონში გადახვეწილი მარიამ ბაგრატიონი და ქართული ემიგრაცია აქტიურად იყო ჩართული აჯანყების სამზადისში.

ისიც სათქმელია, რომ 1828-1832 წლების შეთქმულება იყო არამარტო ქართული, ანდა საერთო-კავკასიური, არამედ **საერთო-ევროპული შეთქმულებაც რუსეთის კავკასიიდან გაძევების მიზნით**. ახალი დოკუმენტური მასალებით მტკიცდება, რომ მასში აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიაში გადმოსახლებული პოლონელი პატრიოტები, აგრეთვე, ინგლისი და საფრანგეთი. შეთქმულების ასეთი საერთაშორისო ხასიათი თხოულობს სათანადო პოლიტოლოგიურ ანალიზს და თანამედროვეობასთან დაკავშირებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ილია ჭავჭავაძე თავს შეთქმულთა პირდაპირ და უშუალო მემკვიდრედ მიიჩნევდა. მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია შეთქმულთა პოლიტიკური პროგრამის გაგრძელებაა. „ილიალოგთა კლუბს“ განზრახული აქვს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მთელი ციკლის ჩატარება თემაზე – **„1828-1832 წლების შეთქმულება და „საერთო ნიადაგის თეორია“: რუსეთის კავკასიური პოლიტიკა და თანამედროვეობა“.**

მემკვიდრეობითობა კაცისა და ხალხის უნივერსალური კანონია და ჩვენ ყველა ვალდებული ვართ ვუერთგულოთ მას. გლობალიზაციის ეპოქაში ეს ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთადერთი გზა და საშუალებაა.

**ელბერდ ბატიაშვილი**

**შპს „სამთომაშველი“ აცხადებს აუქციონს თავის ბალანსზე რიცხული ტექნიკური შენობის 827 კვ.მ თავისუფალი ფართის (მთლიანი ან ნაწილ-ნაწილ) იჯარით გაცემაზე. 1 კვ.მ. ფართობის ყოველთვიური საწყისი ღირებულებით – 7 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.**
**პირობების გაგება და აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს გაზეთის გამოსვლის დღიდან 2 კვირის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თრიალეთის ქ. №54, ტელ: 822-27-83-79; 899-10-37-98.**
*დირექტორი თენგიზ ვადაჭკორია*

რეპლიკა

# ერთი უნდა ჩავიხველოთ...

**ამ ბოლოს საეჭვოდ გახშირდა თამაში-კონკურსების მოწყობა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. თამაშობს და კონკურსს აწყობს მაღალი თუ დაბალი, მცოდნე თუ უცოდინარი, ჯანმრთელი თუ საპყარ-ხეიბარი; ტესტებს ბეჭდავენ ან აწვდიან ყმაწვილებს ამ საქმისათვის გამოუსადეგარი პედაგოგებიც კი.**

ამას წინათ ამგვარი კონკურსი მოაწყო საერთაშორისო ასოციაციამ, რომელსაც ეწოდება „ბალავარი – საგანმანათლებლო რეფორმის ცენტრი“. მისი ტელეფონი ყოფილა 37-09-77, ხოლო თამაშ-კონკურსს ფრიად თავისებური სახელი რქმევია – „ლინგვისტ კენგურუ – 2008“.

სანამ სერიოზულ კენგურულ შეცდომებზე მივუთითებდე, მანამ მცირე შეცოდებებისა ვთქვათ: ჩართულია არა **„ამასთან“** (!ძ, არამედ – **„ამასთანავე“**, ან კიდევ **„ამასთან ერთად“**; **„კალკულატორის გარეშე“** (!ძ რუსულის კალკია. ქართულია **„უკალკულატოროდ“**; **„გისურვებთ წარმატებებს“** (!ძ კი არა, **„გისურვებთ წარმატებას“**!



ერთიც. 34-ე დავალება ისე უცნაური რებუსია, მას ვერავინ გასცემს პასუხს. თვით საკითხი კი არ არის რთული, მასზე პასუხის გაცემის წესია დრაკონულ-რებუსული (ვაი ჩვენს დღეს! სწორედ ეგაა სქოლასტიკა და ფორმალიზმიძ.

ახლა მთავარზე გადავიდეთ.

მე-15 პარაგრაფში გამოყენებულია კითხვა: „ვეფხისტყაოსნის“ რომელი აფორიზმი გამოიყენა ილიამ „აჩრდილის“ ეპიგრაფად? (გვ. 2ძ. და იქვე წარმოდგენილია ოთხი სიბრძნე. პირველ აფორიზმად მოყვანილია – **„რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზედ შაში თუ არ მოვა!“** არადა ეს ფრაზა რუსთაველის არაა. იგი არ მოიპოვება პოემის ნაბეჭდ ტექსტში და არც ერთ ხელნაწერში!

მაშასადამე, ყმაწვილებს ვატუებთ, როცა არარუსთველურ ფრაზას რუსთველისეულად ვასწავლით.

მე-19 კითხვა ასე გამოიყურება: „რომელი პერსონაჟი დაახასიათა შოთა რუსთაველმა ასე: **„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების!“** და იგულისხმება, რომ ასე დაახასიათა ფატმანი. სინამდვილეში ამ ფრაზით უსენის ცოლი კი არ ხასიათდება, არამედ ვერაგი და უმსგავსო წუთისოფელი. პოემაში პირდაპირ და უთუმცაოდ არის მითითებული:

**ბინდის გვარია სოფელი,**
**ესე თურ ამად ბინდდების,**
**კოკასა შიგან რაცა დგას,**
**იგივე წარმოდინდების!**

მითითებულ სტროფში სოფლის მუხანათი ბუნებაა დახატული და მერე კი გენიალური აფორიზმით გაცხადებული: რაცა დგას წუთისოფლის კოკაში, იგივე გადმოდინდებაო.

შეცდომის თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა 38-ე კითხვა: „**ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული“... ეს ვინ ლაპარაკობს ქართულად „ვეფხისტყაოსანში“?**

შეკითხვის მომფიქრებელს, ეტყობა, არა სცოდნია, რომ საშუალო საუკუნეებში **„ქართული“** ნიშნავდა არა **„ქართულ მეტყველებას“,** არამედ **„სიტყვას“.** მაშ, **„ტკბილ-ქართული“** ნიშნავს არა ქართულად ტკბილად მოლაპარაკეს, არამედ **„ტკბილსიტყვიანს“, „ტკბილმოუბარს“.**

ასე რომ, „ვეფხისტყაოსანში“ ქართულად არავინ ლაპარაკობს. მათ შორის, არც არაბი მოყმე ავთანდილი.

ზემორე ამ კონკურს-კენგურუს მომწყობთა ტელეფონის ნომერი შემოგთავაზეთ. აქვე მოგაწვდით ჩემსას, რათა აღნიშნულ საკითხებში მსურველთ ჯეროვანი კონსულტაცია გავუწიო – 39-53-74.

**მურმან თავდიშვილი**

განცხადება

**ცხადდება ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის საგულე გლიკოზიდების და სტეროიდების ლაბორატორიაში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად – 1 საშტატო ერთეული; ალკალოიდების ლაბორატორიაში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად – 1 საშტატო ერთეული.**

**განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:**

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CVძ;
3. მეცნიერებათა დოქტორის (კანდიდატისძ დიპლომის ქსეროასლი.
4. სამეცნიერო პუბლიკაციების საერთო რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში. გამოქვეყნებული ძირითადი სტატიების ნუსხა.
5. ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის ქსეროასლი.
6. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

საბუთების მიღება იწარმოებს იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში.

**მისამართი: ქ. თბილისი, პ. სარაჯიშვილის ქ. №36 (11 სთ-დან 15 საათამდე, შაბათ-კვირის გარდაძ, 2008 წლის 22 დეკემბრიდან 22 იანვრამდე.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**
**ტელ: 520023, 524798.**
e-mail: pharmhem@yandex.ru

**იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის**
**ინსტიტუტის დირექტორი**
**ზ. ქემოკლიძე**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**XX ეროვნული ჩემპიონატი. XVI ტური.** ვიტ ჯორჯია – ოლიმპი 1:1. **გოლები:** რაზმაძე, მეგრელიძე. სიონი – გაგრა 2:0. **გოლები:** შენგელია, კოშკაძე. მგლები – ლოკომოტივი 0:0. დიდთოვლობის გამო გადაიდო დინამო – ზესტაფონისა და ბორჯომი – ცხინვალის შეხვედრები. ისვენებდა მესხეთი.



**სატურნირო მდგომარეობა:** ვიტ-ჯორჯია – 34, დინამო – 28, სიონი, ზესტაფონი – 24-24, ოლიმპი – 22, ლოკომოტივი – 19, მგლები – 18, მესხეთი – 16, გაგრა – 14, ბორჯომი – 11, ცხინვალი – 6 ქულა.

**ბომბარდირი:** ვაწაძე („დინამო"ძ – 8 გოლი.

**შემდეგი ტური:** ცხინვალი – გაგრა, ოლიმპი – მგლები, დინამო –მესხეთი (27 დეკემბერიძ, ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია, ლოკომოტივი – ბორჯომი (28 დეკემბერიძ. ისვენებს სიონი.

* * *

**იტალია. XVII ტური.** სიენა – ინტერი 1:2, ატალანტა – იუვენტუსი 1:3, მილანი – უდინეზე 5:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** ინტერი – 42, იუვენტუსი – 36, მილანი – 33 ქულა.

**ბომბარდირები:** დი ვაიო (ბოლონიაძ, მილიტო (ჯენოაძ, ჯილარდინო (ფიორენტინაძ – 12-12 გოლი.

**შემდეგი ტური:** ინტერი – კალიარი, იუვენტუსი – სიენა, რომა – მილანი.

**ესპანეთი. XVI ტური.** ვილიარეალი – ბარსელონა 1:2, მალიორკა – სევილია 0:0, ესპანიოლი – ატლეტიკო 2:3, რეალი – ვალენსია 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ბარსელონა – 41, სევილია – 31, ატლეტიკო, ვალენსია – 30-30 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო (ბარსელონაძ – 15 გოლი.

**შემდეგი ტური:** ბარსელონა – მალიორკა, სევილია – ოსასუნა, ვალენსია – ატლეტიკო.

**ინგლისი. XVIII ტური.** არსენალი – ლივერპული 1:1, ვესტ ჰემი – ასტონ ვილა 0:1, ევერტონი – ჩელსი წუხელ გვიან ღამით დასრულდა.

**ლიდერთა ჯგუფი:** ლივერპული – 39, ჩელსი – 37, ასტონ ვილა – 34 ქულა.

**ბომბარდირი:** ანელკა (ჩელსიძ – 14 გოლი.

**შემდეგი ტური:** ლივერპული – ბოლტონი, ჩელსი – ვესტ ბრომვიჩი, ასტონ ვილა – არსენალი.

**საფრანგეთი. XIX ტური.** კაენი – ლიონი 0:1, მონაკო – ბორდო 3:4, ლორიენი – რენი 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** ლიონი – 38, ბორდო – 35, რენი – 34 ქულა.

**შოტლანდია. XIX ტური.** ფოლკირკი – სელტიკი 0:3, რეინჯერსი – ჰიბერნიანი 1:0, ჰართსი – დანდი იუნაიტედი 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** სელტიკი – 47, რეინჯერსი – 73, დანდი იუნაიტედი, ჰართსი – 31-31 ქულა.

**ჰოლანდია. XVI ტური.** ალკმაარი – უტრეხტი 2:0, გრააფსხაფი – აიაქსი 0:6, ტვენტე – ტილბურგი –2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ალკმაარი – 38, აიაქსი – 35, ტვენტე – 33 ქულა.

**ბელგია. XVII ტური.** ანდერლეხტი – გენკი 2:0, სტანდარდი – გენტი 2:1, მუსკრონი – ბრიუგე 5:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** ანდერლეხტი – 38, სტანდარდი – 34, ბრიუგე – 31 ქულა.

**პორტუგალია. XII ტური.** პორტუ – მარიტიმუ 0:0, ლეიშოეში – ამადორა 1:1, ბენფიკა – ნასიონალი წუხელ გვიან ღამით დასრულდა.

**ლიდერთა ჯგუფი:** ბენფიკა – 25, ბორტუ, ლეიშოეში – 24-24 ქულა.

**თურქეთი. XVI ტური.** გენჩლერი – სივა 1:2, ტრაბზონი – ესკიშეჰირი 2:1, გალათასარაი – ბეშიქთაში 4:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** სივა, ტრაბზონი – 34-34, გალათასარაი – 33 ქულა.

მემორიალი

# ასათიანის სახელობისა



**საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის (თავმჯდომარე იროდი ბეჟაშვილიძ, კახი ასათიანის საერთაშორისო ფონდისა (ვალერი ჩოლარიაძ და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის (გრიგოლ ცაავაძერთობლივი ინიციატივით „ქარიშხალას" სპორტულ კომპლექსში კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა სამინისტროებისა და უწყებების თანამშრომელთა პირველობა მინიფეხბურთში კახი ასათიანის პრიზზე.**

დაძაბული ჯგუფური ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში თბილისის მერიის ფეხბურთელებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი დაამარცხეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს. მესამე ადგილზე „საქართველოს რკინიგზის" ორი გუნდი გავიდა.



ტურნირის დამთავრების შემდეგ პრიზიორებთან ერთად დააჯილდოვეს საუკეთესო ფეხბურთელები – თემურ გიორგაძე, გიორგი კვანტალიანი (ორივე – მერიაძ, ბორის დერევიანჩენკო, ზურაბ ჟანკვეტაძე (ორივე – რკინიგზაძ, ლევან შალვაშვილი (შსსძ, საუკეთესო მწვრთნელი – მერაბ დეკანოიძე (რკინიგზაძ.

–სახელოვანი ფეხბურთელისა და ღირსეული მამულიშვილის კახი ასათიანის მემორიალი სამინისტროებისა და უწყებების გუნდებს შორის წლეულს მესამედ გავმართეთ, – მითხრა იროდი ბეჟაშვილმა. – წინა ორ ტურნირში თითოჯერ მერიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. ეს შეჯიბრება ტრადიციული გახდა და მომავალშიც ასე იქნება, რადგან ბატონი კახი ამას იმსახურებს. იგი დიდი პიროვნება გახლდათ. 10 წელიწადი ხელმძღვანელობდა ქართულ სპორტს და ბევრი კარგი საქმე გააკეთა. ჩვენ ბავშვობიდან ვმეგობრობდით, მოედანზე კი მეტოქეობაც გაგვიწევია ერთმანეთისთვის, რადგან ჭაბუკობისას მე ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლაში ვვარჯიშობდი ვოვა ელოშვილის ხელმძღვანელობით, კახი კი „ნორჩი დინამოელის" წევრი იყო.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

წყალხტომა

# ოქროსფერი „ზრინჯაო"



**კიევში დამთავრდა წყალმხტომელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.** სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში მესამე ადგილი საქართველოს წარგზავნილებმა – ჭოლა ჭანტურიამ და შოთა კორახაშვილმა (მწვრთნელი ირაკლი ბართაიაძ დაიკავეს. ჩვენს სპორტსმენებს უკრაინელებმა და რუსებმა გაუსწრეს. ახლა „ჯვაროსნები" მომავალი წლის პაექრობისთვის მოემზადებიან: თებერვალში მათ სარეიტინგო ორთაბრძოლები ელით, აპრილსა და ივლისში კი, შესაბამისად, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში იასპარეზებენ.

ინტერნეტიდან

## „მანჩესტერ იუნაიტედის" კიდევ ერთი ტრიუმფი

**კვირას ამომავალი მზის ქვეყანაში, კერძოდ, იოკოჰამაში გაიმართა საკლუბო გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი.** ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ეკვადორის **„ლიგა დე კიტო"** და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" მსოფლიო ჩემპიონის ბედი გადაწყვიტა რუნის მიერ 73-ე წუთზე ეკვატორელთა კარში გატანილმა ერთადერთმა ბურთმა. პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე მანჩესტერ იუნაიტედელები ავიდნენ. მათ საპატიო თასი ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გადასცა. მატჩს სჯიდა უზბეკი მსაჯი რავშან ორმატოვი. მესამე ადგილისთვის იბრძოლეს „პაჩუკამ" (მექსიკაძ და „გამბა ოსაკამ" (იაპონიაძ. იმარჯვეს მასპინძლებმა იამასაკის მიერ 29-ე წუთზე გატანილი გოლით.



აი, გახარებულ-გამარჯვებული მანჩესტერელები (სურათზეძ.

* * *

**კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა მსოფლიო ფეხბურთში. იტალიურ „მილანში" წარადგინეს „ახალზედა" მოთამაშე – „ლოს-ანჟელეს გალაქსის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი.** ფეხბურთის ვარსკვლავი ამ გუნდიდან არენდით ითხოვეს. ის გუნდსაც და ფართო საზოგადოებასაც წარუდგინა კლუბის ვიცეპრეზიდენტმა ანდრიანო გალიანმა. მან, სხვათა შორის, განაცხადა „მიუხედავად იმისა, რომ ბექჰემის არენდის ფორმალური ვადა 2009 წლის 30 ივნისამდეა, ჩვენ გვაქვს ჯენტლმენური შეთანხმება „ლოს-ანჟელესი გალაქსთან", რომ ფეხბურთელს 9 მარტს დავუბრუნებთ. ისე რომ, ბექჰემი ჩვენს განკარგულებაში იქნება „რომასთან" თამაშით, 11 იანვრით დაწყებული და დასრულდება 8 მარტს „ატალანტასთან" თამაშით. შეიყვანს თუ არა ბექჰემს უეფას თასის მატჩებში, ეს მთავარი მწვრთნელის პრეროგატივაა!




## გაიმარჯვა ტოპალოვმა

**შანხაიში დამთავრდა ჩინეთისთვის პირველი სუპერტურნირი, რომელშიც მსოფლიოს 6 ცნობილი დიდოსტატი მონაწილეობდა.** პირველი ადგილი 10 შესაძლებლიდან 7 ქულით დაიკავა ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა. მეორე პრიზიორი გახდა სომეხი ლევონ არონიანი – 5,5 ქულა, მესამე კი, 5 ქულით, მასპინძელი ბუ სიანჩჟი გახდა.



## ცვალებადი ამინდის გამოყენებით

**დედამიწის გარშემო იალქნიანი იახტებით რბოლის Volvo Ocean Race მონაწილე ფლოტილიამ, რომელმაც ინდური კოჩინიდან სინგაპურამდე 1950 საზღვაო მილი უნდა გაიაროს, მიაღწია საშუალედო ფინიშს, კუნძულების პულაუ ვეხსა და სუმატრას შორის.** ამის შემდეგ იახტები შევიდნენ მალიკსის სრუტეში, რათა ამ ვიწრო გასასვლელში განავითარონ მაღალი სიჩქარე, ცვალებადი ამინდის გამო ეკიპაჟებს მოუხდებათ აფრებით ინტენსიური მუშაობა, რათა სწორი ტაქტიკური გადაწყვეტილება მიიღონ. გუშინ ფლოტილია სინგაპურში უნდა ჩასულიყო.



## ურონალდოდაც პოპულარულია

**სწორედ რომ უფრო პოპულარული გახდა სამშობლოში ცნობილი ბრაზილიელი მოდელი და ტელეწამყვანი ლივია ლემოსი, როცა ასევე ცნობილ ფეხბურთელს რონალდოს ჩამოსცილდა.**

თუმცა სამშობლოში თავად რონალდოც დაბრუნდა, მაგრამ ლამაზმანის პიკანტურ ფოტოებზე მოთხოვნა არნახულად გაიზარდა. ამის ყველა შესაძლებლობა მას გააჩნია.

ასე იფიქრეს „პლეიბოის" რედაქციაშიც, დანახვისთანავე ლამაზმანი თავისთან რომ მიიწვია. ამის შემდეგ ლივია ტელეწამყვანიც გახდა. მას სპორტული შოუ მიჰყავს და მოდელის კარიერასაც აგრძელებს.



ხალხის სიყვარული

# მცხეთელები ტაშს უკრავდნენ ცოცხალ არსაკიძეს...

**თენგიზ არჩვაძეს ხალხის სიყვარული არ აკლია, მაგრამ რა გასაკვირია, რომ მცხეთელებს განსაკუთრებით უყვარდეთ ეს ჭეშმარიტად სახალხო მსახიობი — არსაკიძის სახის გამცოცხლებელი ვახტანგ ტაბლიაშვილის ფილმ „დიდოსტატის მარჯვენაში“**. ვინც ბატონ თენგიზს იცნობს, მან კარგად იცის, თვითონაც როგორ ეთაყვანება იგი საქართველოს უძველეს დედაქალაქს, „ქალაქ-მუზეუმს“, მის ციხე-ტაძრებს, ეკლესია-მონასტრებს... ის კი არა, იქვე, მცხეთასთან ახლოს, არაგვის ხეობაში შეიძინა აგარაკი, რომ უფრო მეტად ტკბებოდეს მცხეთის უმშვენიერესი ხედებით. ჰოდა, მოულაპარაკებიათ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების



გენერალურ დირექტორს **გოჩა ქავთარაძეს** და მის თანამშრომლებს, ვთხოვოთ ბატონ თენგიზ არჩვაძეს, რომ შეხვდეს მცხეთელებს, გაუმხილონ ერთმანეთს სიყვარულიო...

სიტყვა საქმედ აქციეს გოჩა ქავთარაძემ და „მისმა“ მშვენიერმა ქალბატონებმა — **ნინო მამულაშვილმა, ნანული თათარაშვილმა, მეგი მამალაძემ, ნინო იმერლიშვილმა, დოდო გაგოშვილმა, რუსუდან მრევლიშვილმა...** ბატონი თენგიზი დაითანხმეს და მცხეთის კულტურის სახლში, მართლაც შესანიშნავი შეხვედრა გაუმართეს... აბა, მისალმებები, აბა, ადგილობრივი მომღერლების, მოცეკვავეების თუ მსახიობების გამოსვლები, უამრავი შეკითხვა მსახიობს ხალხით გაჭედილი დარბაზიდან, ნაწყვეტები ქართული კინოფილმებიდან თენგიზ არჩვაძის მონაწილეობით... სიყვარული არც „თანმხლებმა პირებმა“ დააკლდეს საყვარელ მეგობარს, პოეტმა ჯემალ ჩახავამ ლექსი უძღვნა და ქართული თეატრის ავთანდილი უწოდა ბატონ თენგიზს, ტარიელი — აკაკი ხორავა, მთაწმინდაზე განისვენებსო, დაამატა...

კულტურის სახლის გვარიანად გაყინულ დარბაზში გულმხურვალების სითბო იდგა...

**სურათზე: თენგიზ არჩვაძე მცხეთის კულტურის სახლის სცენაზე საღამოს წამყვან მეგი მამალაძესთან ერთად.**

აჩრდილების გამოხმობა

**საქართველოს ტელევიზიის I არხის ლოგოს დაბრუნებამ ის შორეული დრო გაგვახსენა მე და ომარ ჩიტაიას, როდესაც „ცისფერი ეკრანი“ მკვიდრდებოდა ჩვენს ოჯახებში, ცვლიდა ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას, რადიო კი, ჩვენი ერთგული რადიო, ძალაუნებურად, ნელ-ნელა უკან იხევდა...**

**ომარი, შესანიშნავი ჟურნალისტი და მომღერალი, პატარა აკაკის როლის შემსრულებელი კინოფილმ „აკაკის აკვანში“, კარგა ხანს მოღვაწეობდა ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა რედაქციაში, მღეროდა მამია ხატელიშვილის კვარტეტში (მოგვიანებით „ფიროსმანი“ რომ ერქვა), შემდეგ კი, ათი წლის განმავლობაში მიჰყავდა სიუჟეტების ციკლი — „მამული ჩემი“... იმხანად მეც დავდიოდი რადიო-ტელევიზიაში, დიქტორობის ჭია მღრღნიდა და ხანდახან გადაცემები მიმყავდა ხოლმე! ღმერთო, რა ხალხი მუშაობდა იქ, რა გულისხმიერებას ვგრძნობდი ჩემზე ბევრად უფროსი ადამიანებისგან (მედეა გეგეშიძე, ზინა დიაკონიძე, ანზორ გელაშვილი, აკაკი ძიძიგური, შოთა სალუქვაძე, სოლომონ ლაფაური, რეზო გამცემლიძე, გივი ძნელაძე... ნათელი დაადგეთ)... ვსხედვართ კაფეში და ამ ადამიანებს ვიხსენებთ ახლა მე და ბატონი ომარი. უფრო სწორად, იგი ჰყვება და მე ვუსმენ:**

# დიდი სოლომონი

— სწორედ ამ ადამიანებმა, დიდი შემოქმედებითი ნიჭისა და ეროვნულობის მაღალი პოტენციის ადამიანებმა შექმნეს ქართული კლასიკური და ხალხური შემოქმედების იშვიათი არქივი და ფონდი გადაცემების, ფოტოების, კინოფილმების, მხატვრული სიტყვისა და სატელევიზიო-პრაქტიკული მოღვაწეობისა, რომელსაც, ბუნებრივია, ეყრდნობიან დღევანდელი ტელევიზიები და პირველყოვლისა, საზოგადოებრივი ტელევიზია, ახლა რომ ისევ I არხი გახდა. მაგრამ დღევანდელი ორშაურა და ტუტრუცანა „ჟურნალისტები“, რომლებიც საუკეთესო შემთხვევაში კარგ რეპორტიორობამდეც ვერ „ქაჩავენ“, ხანდახან, საიუბილეო თარიღების გამო, მხოლოდ ძველ ტელედიქტორებს თუ გაიხსენებენ, რომელთა მოვალეობას ჟურნალისტების ჭკუითა და კალმით მომზადებული ტექსტების მაყურებლამდე სრულყოფილად მიტანა შეადგენდა მხოლოდ და მხოლოდ.

ხოლო ის დიდი შრომა, როგორიც რუტინულ-ჩინოვნიკური, ისე შემოქმედებითი, რასაც ტელევიზიის ეკრანს ამოფარებული, უჩინმაჩინი კოლექტივი ეწეოდა, უცნობია დღევანდელი თაობისთვის.

**— საინტერესოა, თქვენ თვითონ როგორ მიხვედით ტელევიზიაში?**

— ხელოვნების მუშაკთა სახლში ვმუშაობდი. სოლომონ ლაფაურმა იქ გამიცნო და მიმიწვია ტელევიზიის მუსიკალურ რედაქციაში. საქართველოს ტელევიზიის შექმნა თუნდაც ამ ერთი რედაქციის გამო ღირდა. მით უმეტეს, როცა მას ხელმძღვანელობდა ილიასებურად ბრძნული, პრინციპული და ეროვნულად მოაზროვნე პიროვნება — სოლომონ ლაფაური...

**— კარგად ვიცნობდი...**

— სოლომონმა შექმნა კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებების, ოპერების, ოპერეტების, კომპოზიტორების შემოქმედების ამსახველი იშვიათი ფონდი. მან წამოიწყო მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მუსიკალური ფესტივალები, რომლებშიც ათასობით ადამიანმა — მომღერალმა, მოცეკვავემ თუ ხელმარჯვე ოსტატმა მიიღო მონაწილეობა. სწორედ სოლომონმა დააფუძნა (ხალხური რედაქციის ეგიდით) ხალხური პოეზიის საღამოები, რომლის წამყვანადაც მიიწვია ვახუშტი კოტეტიშვილი (დღეს ეს ამბავი არავინ იცის).



**— არც მე ვიცოდი...**

— აბა... სოლომონმა შექმნა ბავშვთა ანსამბლი „მართვე“ და პირველად თვითონ ლოტბარობდა მას, მერე კი მომღერალ რამინ მიქაბერიძეს გადააბარა, საიდანაც ანზორ ერქომაიშვილის პატრონაჟის ქვეშ მოექცა „მართვე“ (არც ეს იცის საზოგადოებამ).

თუნდაც რად ღირდა სოლომონ ლაფაურის ბრძოლა (მეამაყება, რომ მეც ამ ბრძოლაში გვერდით ვედექი) ტელეეკრანზე ქართული საგალობლების დამკვიდრებისათვის, რომელიც ათეული წლების მანძილზე გაგრძელდა, თუმცა უშიშროება და საბჭოთა იდეოლოგია ეწინააღმდეგებოდა ასეთი მუსიკის პროპაგანდას. ეს ის დრო იყო, როდესაც სიტყვა „ეროვნულის“ ხსენებაც კი გვეკრძალებოდა გადაცემებში.

ერთხელაც „ბრახ!“.. და დაინგრა საბჭოთა კავშირი და მოვიდა ეროვნული ხელისუფლება. გახარებულმა სოლომონმა შემომძახა: „ჩემო ომარ, გვეშველა შენც, მეც და საგალობლებსაცო“...

საგალობლებს კი ეშველა, მაგრამ ეროვნულმა ხელისუფლებამ აითვალწუნა თავად სოლომონ ლაფაური: „შენო, საბჭოთა იდეოლოგიის ქურუმი და პროპაგანდისტი იყავიო“.

უსაფუძვლო განაჩენით გულმოკლულმა სოლომონმა ორივე მუშტი დაჰკრა მაგიდას: „ეჰ, ჩემო ომარ, მათხოვარი არასოდეს ვყოფილვარ და ამათი ხომ მით უმეტეს არ ვიქნებიო“.

ამოიჩარა იღლიაში თავისი ნაწერები და წავიდა მშობლიურ სოფელ კისისხევში (სხვათა შორის, მისი მოგონებების შესანიშნავი წიგნი გამოვიდა და ამ ცოტა ხნის წინათ), იქ, მდინარის რიყეზე მიიზომა ყამირი მიწა, დათესა სიმინდი, პური (ვენახი მამაპაპისგან ჰქონდა დანატოვარი), თოხნიდა, ბარავდა, საკუთარი მარჯვენით სიცოცხლის ბოლომდე ალალ პურს ჭამდა და ოჯახსაც ეხმარებოდა.

ორიოდე წლის შემდეგ მე და რეჟისორმა ვანო გელაშვილმა ვინახულეთ სოლომონი და ტელეკამერით მასთან ინტერვიუ მოვამზადეთ, რომელიც ეკრანზეც გავიდა. ეს იყო სოლომონის უკანასკნელი საჯარო გაელვება და საჯარო სიტყვაც... ეეეე.. ნათელი დაადგეს...

და სოლომონის, მის გვერდით მყოფი ბევრი მამულიშვილის ხსოვნისას ვსვამთ მე და ომარ ჩიტაია.

წიგნი

# გულუხვობა მიქელაძისა

**სახელმწიფო სამსახურში იყო და, რამდენადაც ვიცი, უკანონოდ არავის მოქცევია. იმ გარემოში (დღეს რომ ასე აგდებულად მოიხსენიებენ) ბევრი ინარჩუნებდა კაცობას, ოჯახიშვილობას, პატრიოტიზმს ერთი ციცქნა სამშობლოსადმი, რომელიც, თავისი უბედობისა გამო, დიდი საბჭოეთის გუბერნია გამხდარიყო, თუმცა მომავლის იმედი ყოველთვის ჰქონდა. ამ იმედს ჯემალ (ჯიმი) მიქელაძისდარი ადამიანები იძლეოდნენ, მართალია, იმხანად, საბჭოთა საქართველოს მომსახურენი, თუმცა, მისწრაფებებით, ფიქრებით, ოცნებებით მომავალი თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს ღირსეული შვილები.**

თითქოს ბედის ირონია იყო: მიქელაძეთა უძველესი, დიდი გვარის შთამომავალმა ჯემალ (ჯიმი) მიქელაძემ კომკავშირში მოღვაწეობით დაიწყო და საქართველოს კპ ცეკას ბოლოო პირველი მდივნის თანამდებობით დაამთავრა აქტიური სახელმწიფო მოღვაწეობა, „შუალედში“ კი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაირ-ნაირი თანამდებობები იცვალა და გენერლობამდე მივიდა.




როგორი იყო იმ დროს, იმ სიტუაციებში, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირს ზნეობა და ღირსება შეენარჩუნებინა? დამეთანხმებით, რომ ძალიან ძნელი! ჰოდა, ჯიმი მიქელაძემ შეინარჩუნა.

ქალაქ თბილისის მილიციის უფროსს, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, შეუძლებელია ყველა მსჯავრდებულის „ჭკუაზე ევლო“, თუმცა ობიექტურობის გრძნობა არასდროს დაუკარგავს. ამას მისი უამრავი მეგობარი დამიდასტურებს, რომლებიც, შეიძლება ითქვას, „სულში იძვრენდნენ“ ჯიმის და ისიც, ნიადაგ, მეგობრების ჭირისა და ლხინის მოზიარეა.



ის კი არა, ამ ხანდაზმულობის ჟამს, კალამი აიღო და ამ მეგობართა, ახლობელთა შესანიშნავი პორტრეტები შემოგვთავაზა. ის რომ ნაღდი მიქელაძე და სიყვარულის გულუხვად გამცემი კაცია, ზედმიწევნით ჩანს ამ პორტრეტებში, მე რომ მთხოვა რედაქტირება, თუმცა ისე ლაღად და თავისუფლად „უქნევია“ კალამი, ჩემი მხოლოდ აქა-იქ ხელის გაკვრაღა დასჭირდა ჩანაწერს.

ბევრი ნაცნობ-მეგობარი, ღირსეული მამულიშვილი შემხვდა მომავალ წიგნში, ზოგიც ავტორის ნიჭისა და საინტერესო თხრობის წყალობით გავიცანი. ერთი „წუთშესვენების“ დროს კი მუზას მოვუხმე და ორსტროფიანი ლექსპრომტი შევკადრე ბატონ ჯიმის:

**ამ წიგნში თქვენი სულია**
**და თქვენი ჯიშის ყივილი,**
**აფერუმ, როგორ გიგრძვნიათ**
**ძმების ლხინი და ტკივილი.**

**თუმც თქვენი ახლოს გაცნობა,**
**აქამდე ბევრმა დამასწრო,**
**გთხოვთ, რომ მეგობრად მიგულოთ —**
**სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!**

ჯიმი მიქელაძემ შეიძლება ამაყად თქვას, რომ ვალმოხდილია მისი საყვარელი სამშობლოს, მისი დიდი გვარის, მისი დიდი ოჯახის, წინაპრებისა და მშობლების წინაშე, ხოლო შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს კაცურად განვლილი ცხოვრების მაგალითს უტოვებს.

**ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი**

ხსოვნა

# ანდრო რურუა



77 წლის ასაკში გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი ანდრო რურუა, კაცი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრება ქართული მეცნიერების განვითარებას და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს შეალია.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა ფიზიკოსი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მიავლინეს, სადაც მან საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის სრულყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, 1961 წლიდან სამუშაოდ გადადის რუსთავის „ავტომატმრეწვის“ ინსტიტუტში და იქ ფართოდ გააჩაღა შემოქმედებითი საქმიანობა. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოში პირველი ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ცენტრი. პარალელურად, ამ დარგში კადრების მომზადებაზე იზრუნა და რუსთავის ტექნიკურ სასწავლებელში თვითონვე ზრდიდა მომავალ დარგის სპეციალისტებს. შემდგომ თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში განაგრძო ლექციების კითხვა. ანდრო რურუამ მოსკოვში წარმატებით დაიცვა დისერტაცია სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. იმავდროულად მონაწილეობდა დიდ საკავშირო თუ საერთაშორისო სიმპოზიუმებში და ფართო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე გამოდიოდა ლექციებით, რომელთაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

ჯერ კიდევ ინსტიტუტ „ავტომატმრეწვში“ მუშაობისას ანდრო რურუა ხელმძღვანელობდა მილსაგლინავ „აგრეგატ 400“-ის უნივერსალური მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნას, რაც პირველი იყო საბჭოთა კავშირში, რომელიც შემდგომ დაინერგა სხვა მონათესავე საწარმოებში, მთელ რიგ უცხოურ ქვეყნებშიც კი, რისთვისაც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ა. რურუა იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიზნესაკადემიის წევრი, მან უდიდესი წვლილი შეიტანა რუსთავის ტექნიკურ-საინჟინრო-სამეცნიერო ინტელიგენციის აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ინსტიტუტ „ავტომატმრეწვს“. ენერგიული ორგანიზატორის ხელმძღვანელობით შემუშავდა მრავალი ტექნიკური სიახლე ენერგეტიკის დარგში. ამავე დროს ათობით სამეცნიერო მონოგრაფიის და გამოგონების ავტორი იყო, ბატონი ანდრო ასევე გახლდათ საერთაშორისო კონფერენცია „საიდენტიფიკაციო სისტემების მართვის ამოცნობის“ საპროგრამო კომისიის წევრი და სამეცნიერო ჟურნალ „ინტელექტის“ რედკოლეგიის წევრი. ამავე დროს იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, „რუსთაველის“ საზოგადოებისა და დემოგრაფიის პრობლემებზეც ზრუნავდა.

ჩინებული მეოჯახე, სამი შვილის მამა და შვილიშვილების ბაბუა, უანგარო მეგობარი და ქველმოქმედი — ასეთად დარჩება იგი ახლობელ-მეგობართა ხსოვნაში.

სამეგობრო

---

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის სისტემებისა და რობოტოტექნიკის მიმართულების (ყოფილი ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრისძ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი

ანდრო აპოლონის ძე რურუა

და თანაუგრძნობს ოჯახსა და სანათესაოს.

# იაშკა

დავით იაშვილი დაიბადა 1972 წლის 16 აგვისტოს, თბილისში, გერმანისტების ოჯახში. თვითონაც თბილისის მეოთხე საშუალო, გერმანული სკოლა დაამთავრა. ბავშვობაში ხატვა უყვარდა, კომიქსებს ხატავდა, ანიმაციური ფილმების რეჟისორობა სურდა. მხატვრულ კითხვას პიონერთა სასახლეში ელდინო სალარაძესთან სწავლობდა. დედასთან ერთად ოპერის, მარჯანიშვილის, კინომსახიობთა თეატრებში დადიოდა, ძალიან უყვარდა სპექტაკლი „ჩვენი პატარა ქალაქი“... სამი წლისამ რუსთაველის თეატრში „კავკასიური ცარცის წრე“ ნახა, ცამეტი წლისამ — „მეფე ლირი“ და ამ სპექტაკლმა ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ... მსახიობობა გადაწყვიტა. ლევან წულაძემაც წააქეზა, მსახიობი გახდიო და მართლაც თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა. აქ კი უკვე რეჟისორ-მასწავლებლებთან მოუხდა შეხვედრა — მსახიობის ოსტატობას დავით კობახიძე ასწავლიდა, მეტყველებას — ბაბულია ნიკოლაიშვილი. ინსტიტუტში სწავლის ოთხი წლის მანძილზე რვა სპექტაკლის თამაში მოასწრო. როგორც კი მესამე კურსზე, „გუშინდელნში“ გენერალ ბერდოსანის როლის შესრულებისთვის დიდი მოწონება ხვდა წილად, მას შემდეგ სასწავლო სცენიდან არ ჩამოსულა. თამაშობდა მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფურ სექტაკლებში: „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი“, „ცხრაკლიტული“... „ხანუმაში“,



ჩვენი სპექტაკლის თილისმა იყოსო, და მისთვის ტყუილ-კოტრიანცის მდივნის როლი მოიგონეს, როლი კი იმდენად კარგი გამოვიდა, რომ „მიშა ბაბუასაც“ მოეწონა... ითამაშა ტენტაჟილი — „ტენტაჟილის სიკვდილში“. სადიპლომო როლი პარუმ ოსეფა იყო ოთარ ეგაძის სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“... თავიდან მასში თითქოს სახასიათო სამსახიობო თვისებები გამოიკვეთა...

თეატრალური ინსტიტუტი დამთავრებული არ ჰქონდა, მაგრამ ყველას ეგონა კინომსახიობთა თეატრში გააგრძელებდა სამსახიობო კარიერას. როდესაც დათო დოიაშვილის დადგმულ „მადამ ბოვარში“ ვაჭარი ლერუს როლი შეასრულა, რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრის არტისტობა შესთავაზა და მისი ბედი საბოლოოდ გადაწყდა. მაშინ მცირე სცენაზე გიზო ჟორდანია „კაცია-ადამიანის?!“ დადგმას აპირებდა და დავით იაშვილიც სპექტაკლის განაწილებაში აღმოჩნდა. თუმცა სპექტაკლი არ შედგა, მომავალში როლები საკმაოდ გამოჩნდა მისთვის, ითამაშა ვოიცეკი — „ვოიცეკში“, ბიჭი — „პირდაღებულში“, ლანიშ — „ლამარაში“, ჯეონკა — „ქალ-გველში“, დონალბეინი, ფლიანსი, მაკდაფის ვაჟი — „მაკბეტში“, ოსიკო — „დარისპანის გასაჭირში“, გოგი — „ბრალდებაში“, ჰაინცი — „განაჩენი ჩვენს ბავშვს“... ყველგან თავისი დროის ტკივილი და სუსხი მოჰქონდა...

რუსთაველის თეატრში 1993 წელს მოვიდა, მაშინდელი საქართველოს არეულმა დროებამ მისი ტიპაჟი, მისი პიროვნული გმირი კინოსთვისაც გახადა საინტერესო, ქართველმა თუ უცხოელმა კინორეჟისორებმა ეპიზოდური და მთავარი როლები შესთავაზეს ფილმებში: „ჩემი საყვარელი, სანატრელი ბაბუ“, „კავკასიური ღამე“, „მედიატორი“, „მოგზაურობა ყარაბაღში“, „სუბორდინაცია“, „სამი სახლი“, „SMALL CITY“. „ამ მომხიბლავი მსახიობის პლასტიკა და მეტყველება სრულ ჰარმონიაშია, ძუნწი სამსახიობო რესურსები ძალზე დიდი აქვს, გვეიმედება, რომ დავით იაშვილს დიდი მომავალი ელის და გონიერი რეჟისორი მას გვერდს არ აუვლისო“... წერდნენ მის შესახებ.

ამასობაში მოხეტიალე მსახიობის სალერღელიც აეშალა და საქმიანობა გერმანიაში გააგრძელა. იქ კი საკუთარ თავზე გამოსცადა უცხო ქვეყანაში ცხოვრების სირთულე და კიდეც ათქმევინა: ჩემთვის რუსთაველის თეატრი პირველი სიყვარულია, ქვეყნის სახე და ჩემი პასპორტი მსოფლიოში... ადრე ყველაფერი რთული მეგონა, ერთ დღესაც მივხვდი, რომ სულაც არ არის ასე, ყველა შემდგარი ურთიერთობა მარტივია, ყოველივე გენიალურიც მარტივი. ის კი, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, ბუნებრივია... ჩემს მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ იჩენდნენ, რომ სტურუას არტისტი ვარ, ეს სულაც არ არის თვითკმაყოფილება, ასეთ დროს პასუხისმგებლობა გიმძაფრდება...

— იაშკა!

ყველა ასე მიმართავდა...

ყველა საოცარი სინანულით და წუხილით წარმოსთქვამს დღეს ამ სახელს...

მოკრძალებული, მორიდებული, ღიმილიანი, წესიერი, განათლებული... ინტელიგენტი, თავისი დროის შვილი და დარდი...

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.



დედა მაშო, მეუღლე ლეილა არღვლიანი-ლომიძე, დები მარინა, ლელა, ლამზირა, შვილები ნათია, ლაშა, ნინო, სიძეები მიხეილ ტატიშვილი, ამირან რეზესიძე, შვილიშვილები დათო, ლუკა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ომის მონაწილე

ნოდარ (ჯიბოძ გოდერძის ძე

ლომიძე

პანაშვიდი 23, 24 XII, დაკრძალვა 25 XII, 14 სთ. მისამართი: ისანი, საექიმოს გასასვლელი, მე-4 სადარბაზო.

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა:** ვართ ახალშექმნილი საწარმო. ასე რომ, ჯერ შრომის ხელშეკრულების ფორმაც არ გვაქვს შემუშავებული. არ გვყავს იურისტი. შრომით ხელშეკრულებას გავართმევ თავს, მაგრამ, გთხოვთ, მიგვითითოთ, რა შეიძლება განისაზღვროს შრომის შინაგანაწესით?

ოთარ ტურაბელიძე

**პასუხი:** შრომის შინაგანაწესით, შეგიძლიათ განსაზღვროთ: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას — ცვლის ხანგრძლივობა; დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ადგილი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები; წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. აღსანიშნავია, რომ სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელმა შრომის შინაგანაწესით შეიძლება განსაზღვროს სპეციალური წესებიც.

* * *

**კითხვა:** გთხოვთ, განგვიმარტოთ, უთანაბრდება თუ არა შრომის ხელშეკრულებას ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნებართვა პირის სამუშაოზე მიღების შესახებ?

მარინა გოგოხია

**პასუხი:** პირის წერილობითი განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების შესახებ, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

* * *

**კითხვა:** მყავს 2 წლის ბავშვი. გთხოვთ, განმიმარტოთ, მძიმე ოჯახური პირობების გამო, მომეცემა თუ არა უხელფასო შვებულება?

ანუკა მჭედლიძე

**პასუხი:** კანონის თანახმად, დასაქმებულ ქალს, თავისი თხოვნით, უწყვეტად, ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო — 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი.

* * *

**კითხვა:** გთხოვთ, განგვიმარტოთ, გოგონას საკუთრებაა თუ არა საჩუქრები, რომელიც მან ჩვენთან არსებული ტრადიციის მიხედვით, ნიშნობისას მიიღო?

ინგა ოთარაშვილი

**პასუხი:** არ არის მისი საკუთრება, თუ ნიშნობას არ მოჰყვა რეგისტრირებული ქორწინება. ნიშნობასთან დაკავშირებით საჩუქრები, დაუქორწინებლობის შემთხვევაში, როგორც გოგონას, ისე ვაჟს უკან უბრუნდებათ, რასაც ვერ ვიტყვით რეგისტრირებული ქორწინების შედეგად შეუღლებული პირების განქორწინების შემთხვევაში. ამ დროს თითოეული მეუღლის საკუთრებაში რჩება ნიშნობის ან ქორწინების დროს მიღებული საჩუქრები.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.

## ინფორმაცია

# ბრაკონიერო, შეჩერდი!..

გარემოს დაცვის ინსპექციას შავი ზღვის აკვატორიის გასაკონტროლებლად თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კატარღა გადაეცა. ცერემონიას გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე დაესწრო.

— აქამდე არ გვქონდა ასეთი სწრაფი, ასეთი კარგად მანევრირებადი, კომფორტული კატარღა. ის ძალიან დაეხმარება ჩვენს თანამშრომლებს უფრო ეფექტიანად განახორციელონ შავ ზღვაზე პატრულირება და უკანონო თევზჭერის ფაქტები აღკვეთონ. კატარღის უპირატესობა მისი სისწრაფე არის. გარემოს დაცვის ინსპექციას მალე უფრო მეტი ტექნიკა, მეტი სპეცავტომობილი და ყველა პირობა შეექმნებათ, რათა უფრო ეფექტურად იმუშაონ, — განაცხადა ხაჩიძემ.

ახალი კატარღის შეძენა 250 ათასი ევრო დაჯდა. მისი დახმარებით შავი ზღვის კონვენციური ინსპექციის თანამშრომლები ბათუმისა და ფოთის აკვატორიაში პატრულირებას ყოველდღიურად განახორციელებენ.

ჯი-ეიჩ-ენი

## ინფორმაცია

### სად მიდიხარ, ახლა გამგებელო?

ოზურგეთის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახურის უფროსმა ჯუმბერ დუნდუამ თანამდებობა საკუთარი განცხადებით დატოვა. კულუარებში ამბობენ, რომ მისი ეს გადაწყვეტილება ქორეოგრაფიული ჯგუფის „გურიის“ ბელგიის ქალაქ ბრიუსელში მოწყობილ გასტროლს უკავშირდება.

ბელგიიდან დაბრუნებულ დუნდუას „წამოსცდა“, რომ „უცხოეთში გასამგზავრებელი სიიდან ანსამბლის ორი წევრი იმისთვის ამოაგდო, რომ კულტურის ცენტრის უფროს კობა ბანძელაძისა და მისი საცოლისთვის წინასაქორწილო სიურპრიზი მოეწყო“, რასაც დიდი ხმაური მოჰყვა.

თავის დროზე, ოზურგეთის გამგებელმა ავთანდილ მექვაბიშვილმა განაცხადა, რომ თუკი რომელიმე ჩინოვნიკი დააშავებდა, ის პასუხს აგებდა.

### ფირალობა გურიაში

ლანჩხუთის რაიონში ხუთმა შეიარაღებულმა პირმა სამარშრუტო ტაქსი დააყაჩაღა. შემთხვევა 20 დეკემბერს სოფელ ახალსოფელში, სარკინიგზო გადასასვლელთან მოხდა. მიკროავტობუსი რეისს თბილისიდან ბათუმის მიმართულებით ასრულებდა. თავდამსხმელებმა მგზავრებს იარაღის მუქარით მობილური ტელეფონები და ფული წაართვეს.

დაზარალებულთა განცხადებით, ხუთივე ბოროტმოქმედს სახეზე ნილბები ეკეთათ.

ჯი-ეიჩ-ენი

## მილოცვა

# ავთანდილ ბენდუქიძეს

## დაბადების 70 წლისთავის გამო



გამორჩეულ მამულიშვილს, ჭეშმარიტ ქართველს, დიდი ოჯახის უფროსს, საქართველოზე და მეგობრებზე უზომოდ შეყვარებულს, სატრანსპორტო დარგის დამსახურებულ მუშაკს, შრომის ვეტერანს, სამთავრობო ჯილდოების კავალერს ავთანდილ ბენდუქიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

*უახლოესი მეგობრები:*

მამია სულაბერიძე, ელგუჯა გაგეჩავა, ვალიკო გოგიშვილი, გიჭიკო მოლოდინი, გური ტუღუში

**რეკლამა** *კოსტავას 12*

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**98-65-87; 899 32-85-76.**

# ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!



## თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

**წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, „საქართველოს რესპუბლიკას“** 90 (ოთხმოცდაათი) წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! – შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე – 37-47-49; 25-33-88; საქპრესა – 51-59-05, 51-58-35; პრესექსპრესი – 93-66-78; ჯეომედია – 95-51-70; ინფო-2007 – 34-11-40; ელვა სერვისი – 38-80-02; პლანეტა ფორტე – 98-89-90; პილონი – 35-59-53; რუბიკონი – 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში – კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე – 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

**გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით – 60 ლარი, ერთი წლით – 120 ლარი.**

**ჩვენი ინდექსია – 66434**

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

## განცხადება



ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტი მძღოლებს მოუწოდებს თავი შეიკავონ გაუმართავი და გაცვეთილი საბურავების მქონე ავტოტრანსპორტით მოძრაობისაგან; გამოიყენონ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები; დაემორჩილონ მოძრაობის დაწესებულ რეჟიმებს, საპატრულო პოლიციისა და საგზაო სამსახურების მოთხოვნებს.

ზამთრის პერიოდში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი, გზებზე ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობისთვის საჭირო ღონისძიებებს სისტემატურად ახორციელებს. თუმცა, შეგახსენებთ, რომ დაწესებული რეჟიმებისადმი მძღოლების დაუმორჩილებლობა გზის გამწმენდით სამუშაოებს აფერხებს და სატრანსპორტო საცობების შექმნას უწყობს ხელს.

- გამოიყენეთ ზამთრის საბურავები!
- თან იქონიეთ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები!
- დაიცავით მოძრაობის დაწესებული რეჟიმი!

ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

## ანეკდოტები

– დედა, დღეს ჩვენ კლასში აცრა ჩაატარეს.

– მერე, შვილო, ხომ არ გიტირია?

– არა, დედა, ვერ დამეწივნენ!

* * *

შვილი მივიდა მამასთან სამსახურში, მეორე ოთახიდან ისმის: „კიდევ 150 გრამი და საკმარისი იქნება“.



ბიჭი ეკითხება მამას:

– მამა, იქ კაცები არაყს სვამენ?

– არა, შვილო, ისინი შტანგის აწევაში ვარჯიშობენ!

* * *

ფიგურულ სრიალში გამარჯვებული აშშ ნაკრები გუნდი მადლობას უხდის გულშემატკივრებს, უამრავი ყვავილი რომ გადაუყარეს ყინულის მოედანზე. თუმცა ერთი თხოვნაც დაუმატეს, თუ შეიძლება შემდეგში ყვავილებს ქოთნებით ნუ მოიტანთო.

* * *

მხოლოდ იმედით თუ ცოცხლობ, შეიძლება, შიმშილით მოკვდე.

* * *

– რაო, კომუნისტების დროს უკეთ ცხოვრობდნენ?

– სწორედ რომ ასე იყო, გაჭმევდნენ, გასმევდნენ, ბაღში წაგიყვანდნენ, იქ მთელ დღეს თამაშობ, გძინავს, ჭამ... კომუნისტების დროს დიდებულად ვცხოვრობდი!

* * *

– ექიმო, გადავწყვიტე სრული დისპანსერიზაციის გავლა, მირჩიეთ, რომელი ექიმიდან დავიწყო?

– ოკულისტიდან!

– კი, მაგრამ, რატომ?

– იმიტომ, რომ ჩემს კარს დიდი ასოებით აწერია: „ვეტერინარი“!

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.